


დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არტიტექტურული მუზეუმის
დედოფლისეული სასახლის მრავალდარგობრივი
კვლევა და საპროექტო რეკომენდაციები



დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არტიტექტურული მუზეუმის
დედოფლისეული სასახლის მრავალდარგობრივი
კვლევა და საპროექტო რეკომენდაციები

თბილისი 2015



დამფინანსებელი: აშშ საელჩო საქართველოში

შემსრულებელი ორგანიზაცია: ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

პროექტის დირექტორი: მარიამ დვალიშვილი

მკვლევარ და დამპროექტებელთათა ჯგუფი:

პროექტის მთავარი არქიტექტორი: მერაბ ბოჭოიძე, არქ.-რესტავრატორი

არქიტექტორ-რესტავრატორები: ლ. შარტავა, მ. კვიციანი, ნ. ნოზაძე

სამშენებლო მასალის კვლევა: ლელა ნინოშვილი, მ. კავსაძე

კონსტრუქციული კვლევა-პროექტირება: ირაკლი კველიშვილი

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა: მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე

ზედაპირის ფერის კვლევა: ლია ბოკუჩავა, არქიტექტორი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა: დარეჯან მღებრიშვილი, გეოლოგი

საინჟინრო ქსელები: ნინა გონაძე, გია ახვლედიანი, სიმონ ბარამიძე

დაკაბადონება: თამარ კიკნაძე

ყდა: უილიამ ფილდის ფოტო

© ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ავტორები

შინაარსი:

შინაარსი:.....	3
შესავალი	5
1. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.....	6
1.1 მოკლე ისტორიული ცნობა დადიანებისა და ზუგდიდის შესახებ	7
1.2 დედოფლისეული სასახლის აღწერა.....	13
1.3 დედოფლისეული სასახლის სამშენებლო ფენები	21
1.4 საარქივო მასალის ანალიზი	25
1.5 სასახლის კონსერვაციული მდგომარეობა.....	35
1.6 დასაცავი ფასეულობები და რეკომენდაციები	40
დანართი. ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლესთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები	44
2. ტექნიკური მდგომარეობის აღწერა და ტექნიკური რეკომენდაციები.....	62
2.1 აღწერა და არსებული ფიზიკური მდგომარეობა.....	62
2.2 ტექნიკური რეკომენდაცია	66
2.3 დასკვნა.....	67
3. შენობის ფერის საველე ანალიზი.....	68
3.1 ზოგადი განმარტება	68
ქრონოლოგიური ზონდაჟი №1, №2.....	73
ქრონოლოგიური ზონდაჟი №3, №4.....	76
ქრონოლოგიური ზონდაჟი №5. დადიანების სასახლის თავდაპირველი ფერის კვლევა	78
ქრონოლოგიური ზონდაჟი №7	79
ქრონოლოგიური ზონდაჟი №8.....	81
ქრონოლოგიური ზონდაჟი №9. დადიანების სასახლე, ცენტრალური შესასვლელი კარი.....	83
ქრონოლოგიური ზონდაჟი №10.....	84
ქრონოლოგიური ზონდაჟი №11	86
ქრონოლოგიური ზონდაჟი №12.....	88
ქრონოლოგიური ზონდაჟი №13.....	90
ქრონოლოგიური ზონდაჟი №14.....	92
ქრონოლოგიური ზონდაჟი №15.....	94
ქრონოლოგიური ზონდაჟი №16.....	96
ქრონოლოგიური ზონდაჟი -N17	98
ქრონოლოგიური ზონდაჟი №18.....	99

ქრონოლოგიური ზონდაჟი №19	101
ქრონოლოგიური ზონდაჟი №20	103
ქრონოლოგიური ზონდაჟი №21	105
ქრონოლოგიური ზონდაჟი №22	108
ქრონოლოგიური ზონდაჟი №23	110
ქრონოლოგიური ზონდაჟი №24	112
ქრონოლოგიური ზონდაჟი №25	114
ქრონოლოგიური ზონდაჟი №26	116
ქრონოლოგიური ზონდაჟი №27	118
ქრონოლოგიური ზონდაჟი № 28	120
ქრონოლოგიური ზონდაჟი №29	122
3.2 დადიანების დედა დედოფლის სასახლეზე ჩატარებული ფერის კვლევის შედეგები.....	127
3.3 რეკომენდაციები.....	131
4. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.....	132
5. საკვლევი-საფიქსაციო დოკუმენტაცია.....	146
6. სამშენებლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის კვლევა და გამაგრებითი სამუშაოების მეთოდოლოგია	168
6.1 დედოფლისეული სასახლის სამშენებლო ტექნიკა.....	168
6.2 სამშენებლო მასალის დაზიანება	170
6.3 სამშენებლო მასალის ლაბორატორიული შესწავლა.....	178
6.4 მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა.....	181
6.5 სასახლის სამშენებლო მასალის დამაზიანებელი ფაქტორები.....	185
6.6 დასკვნა.....	188
7. რეკომენდაციები ეკატერინეს სასახლის ქვისა და აგურის ფასადების საკონსერვაციო სამუშაოებისათვის	244
7.1 გასათვალისწინებელი პარამეტრები.....	244
7.2 ფიზიკური სამუშაოები.....	245
7.3 გასათვალისწინებელი რჩევები:.....	255
8. სიტუაციური გეგმა და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები.....	256

შესავალი

სამეგრელოს მთავართა უკანასკნელი წარმომადგენლების XIX ს-ის რეზიდენცია ზუგდიდში, რომელიც დადიანების სასახლეთა კომპლექსის, ვლადიკავის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესიისა და უნიკალური ბოტანიკური ბაღისგან შედგება, მაღალი კულტურული და სულიერი ფასეულობის მქონე კომპლექსურ ძეგლს წარმოადგენს. ამ კომპლექსში შემავალი ნეოგოთური სტილის დედოფლისეული სასახლე არის მისი ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი, როგორც არქიტექტურულ-მხატვრული, ისე ისტორიულ-მემორიალური მნიშვნელობით.

წინამდებარე კვლევა ეხება დედოფალ ეკატერინე დადიანის სასახლეს და წარმოადგენს საქართველოში აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ 2014-2015 წწ. განხორციელებული რეაბილიტაცია-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოების შედეგს. ნაშრომში გაერთიანებულია პროექტის ფარგლებში ჩატარებული მრავალდარგობრივი კვლევები, კერძოდ: სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (მ. სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე), ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება (ი. კველიშვილი, კონსტრუქტორი; მ. ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორი), არქიტექტურული დეტალების ზედაპირის ფერის კვლევა (ლ. ბოკუჩავა, არქიტექტორი), საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (დ. მღებრიშვილი, გეოლოგი), სამშენებლო მასალებისა და ქვის ფიზიკური მდგომარეობის კვლევა (მ. ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორი; ლ. ნინოშვილი, კედლის მხატვრობის და ქვის რესტავრატორი), მინერალურ-პეტროგრაფიული კვლევა (მ. კასრაძე). წინამდებარე ელექტრონული გამოცემა ასევე შეიცავს რეკომენდაციებს და გამაგრებითი სამუშაოების მეთოდოლოგიას.

აღნიშნული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე პროექტის ფარგლებში შეიქმნა დედოფლისეული სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მისი ტექნიკური ხასიათის გამო არ შევიდა წინამდებარე გამოცემაში.

1. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

სამეგრელოს მთავართა ბოლო წარმომადგენლების XIX ს-ის რეზიდენცია ზუგდიდში, რომელიც დადიანების სასახლეთა კომპლექსის, ვლადიკავის დედასაბუჯის გუმბათიანი ეკლესიის და მათ მიერვე გაშენებული უნიკალური ბოტანიკური ბაღისგან შედგება, მაღალი კულტურული და სულიერი ფასეულობის მქონე კომპლექსურ ძეგლს წარმოადგენს და ამ მთლიანობის შენარჩუნება აუცილებელია.



1. დედოფლისეული სასახლე. ზოგადი ხედი. 2014

კომპლექსში შემავალი ნეოგოთური სტილის დედოფლისეული სასახლე მისი ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია, როგორც არქიტექტურულ-მხატვრული, ისე ისტორიული, მემორიალური და შემეცნებითი მნიშვნელობით. მის სივრცეში ექსპონირებული დადიანების საოჯახო ნივთები, ინვენტარი, რელიქვიები და საგანძური აცოცხლებს მათ საყოფაცხოვრებო გარემოს და ამასთან ერთად, ეპოქის სულს.

1.1 მოკლე ისტორიული ცნობა დადიანებისა და ზუგდიდის შესახებ

ზუგდიდი ოდიშის სამთავროს პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი XVII ს-დან გახდა, რაც ამ დროის მკაფიო პოლიტიკური ფიგურის, ლევან II დადიანის სახელს უკავშირდება.

დადიანების მაშინდელი სასახლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის XVII საუკუნის შუა ხანებში ოდიშში მცხოვრები და მოღვაწე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნისა და სწავლული მისიონერის, ქრისტეფორო დე კასტელის ჩანახატი¹, რომელზეც საკმაოდ მასშტაბური და შთამბეჭდავი კომპლექსია გამოსახული.



2. ლევან დადიანის სასახლე, დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი

3.

ზუგდიდის იმ პერიოდის სასახლის შესახებ საყურადღებოა არქანჯელო ლამბერტის აღწერილობაც: „მთავარს ორმოც და ათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე, იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდესივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსულის მხატვრობის მშვენიერებით.“²

¹. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, ტაბ.445

². არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ.39

ზუგდიდში არსებული დადიანების სასახლის შესახებ მოგვიანებით ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „დიდსა ველსა ზედა არს ზუგდიდი სასახლე დადიანთა დიდ-შენი და პალატებიანი, ზღუდე გოდლიანი“.³

ამგვარად, ზუგდიდში დადიანების რეზიდენციის არსებობა XVII ს-დან ეჭვს გარეშეა, თუმცა მისი ადგილმდებარეობის შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. აღსანიშნავია, რომ გვიან შუა საუკუნეებში, როცა ძირითადად მონასტრები წარმოადგენდა საგანმანათლებლო-კულტურულ კერებს მდიდარი ბიბლიოთეკებით, კერძო პირებს შორის, ვისაც მნიშვნელოვანი წიგნთსაცავები გააჩნდათ იყვნენ დადიანები ზუგდიდში, რომლებიც მდიდარი კოლექციის მფლობელები ყოფილან⁴. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ დადიანებს სხვადასხვა რელიქვიებისა და ნივთების შეგროვება ხანგრძლივი დროის მანძილზე უწარმოებიათ, რასაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნივთები XIX ს-ში შემატებია. ოდიშის ბოლო მთავრის, ზუგდიდის ამჟამინდელი რეზიდენციის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ეკატერინე ჭავჭავაძის მეუღლის დავით დადიანის სახელს უკავშირდება საქართველოში ერთ-ერთი პირველი მუზეუმის დაარსება სასახლეში.

თანამედროვეთა გადმოცემით დავით დადიანი დიდ ინტერესს იჩენდა სიძველეთა დაცვის მიმართ და ამ მხრივ საგულისხმოა ერთი შემთხვევა, რომელიც მღვდელ იოანე თვალთვაძისაგან ჩაუწერია იონა მეუნარგიას:

„დავით დადიანი ყურადღებას აქცევდა, რომ არ შეხებოდნენ მის დროში ისტორიულს ნაშთებს ძველის დროებისა, მეტადრე ეკლესიებს და მონასტრებს. არ ვიცი ვისი განკარგულებით, მაგრამ ეს კია, რომ ბერძნის კალატოზებს შეუღესიათ წალენჯიხის ეკლესიაში ზოგიერთი ადგილები და კირ-ქვეშ მოუყოლებიათ ამ ეკლესიის ძველი მხატვრობა. ეს რომ დაუნახავს დ. დადიანს, ის განრისხებულა და გაურეკნია მანდემამ ბერძნები.“⁵ ბერძნებს დადიანის კაცებმა ფოთამდის მისდიესო, წერს იონა მეუნარგია.

XIX ს-ის 20-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული საქალაქო ცხოვრების კიდევ ერთ აღმავლობის პროცესში აქტიურად ყოფილა

³. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ვახუშტიშვილის რედაქც. თბ., 1973, გვ.778

⁴. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბ., 1973, გვ. 784

⁵. ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 39

ჩართული ზუგდიდიც. ამ დროისთვის მის ტერიტორიაზე განლაგებული სასახლეების მდებარეობისა და საქალაქო მშენებლობის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს მარი ბროსეს აღწერა: „ახალი ზუგდიდი შენდება ვრცელს მინდორზე, რომელსაც საზღვრავენ: აღმოსავლეთით სასახლე და ბაღი დადიანისა; ჩრდილოეთით რამდენიმე სასახლეები და პატარა მდინარე; დასავლეთით დროებითი სასახლე თავადის გრიგოლისა, ძველი სასახლე მთავრისა და დაღმართით, წყლისკენ, რომელზედაც გამწკრივებულია სახლები და მათ შორის ახალი, ჯერ კიდევ მოუთავებელი სახლი თავ. გრიგოლისა. . . და დასასრულ, სამხრეთით, საკმაოდ ვრცელი ბაზარი, აგებული დავით დადიანისაგან, რომელსაც ეტყობა სახეში ჰქონია დაეფუძნებია აქ დიდი ვაჭრობა თავის ქვეყნის მიწის ნაყოფისა და ერთმანეთთან თუ გარეშეებთან დაახლოებით, გაეგრძელებინა აქ იღეები განათლებისა. რამდენიმე ასეული სახლები გაშენდნენ აქ ორ-სამ წელს საყოველთაო სასარგებლოდ. თუ ეს მოძრაობა გაგრძელდა, ზუგდიდს მალე დაეტყობა აყვავება“.⁶



4. ზუგდიდი 1883 წელს

მარი ბროსეს აღწერილობისა და იონა მეუნარგიას ცნობის მიხედვით, სადაც ის 1851 წლისთვის ზუგდიდში 2000 მცხოვრებს ასახელებს,⁷ ჩანს, დავით დადიანის მმართველობის პერიოდში სამშენებლო პროცესი რა აქტიურად განვითარებულა ზუგდიდში და აგრეთვე, ისიც იქცევს ყურადღებას, რომ გარდა მთელ ოდიშში გაბნეული რეზიდენციებისა, როგორებიც იყო სალხინოში, მურსა, თუ გორდში, დადიანებს, დიდი

⁶. ი. მეუნარგია, იქვე, გვ.45, სქოლიო 1. M. Brosse, Rapports sur un voyage archeologique, ნაწილი პირველი, მეშვიდე მოხსენება, გვ. 20-21
⁷. ი. მეუნარგია, იქვე, გვ. 45

რაოდენობით ჰქონიათ სასახლეები თვითონ ზუგდიდშიც. სამწუხაროდ, მათ უმეტესობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ი. მეუნარგიას ცნობით, დღემდე მოღწეული რეზიდენციის ადგილას პირველად ოდიშის სამთავროს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის (1813-1853) მიერ აშენებული არცთუ მდიდრული სახლი 1835 წელს ცეცხლს გაუნადგურებია და მისი ნაადგილევიც დაკარგულა. როგორც ჩანს, ძველი და ასევე, XIX ს-ის სხვა სასახლეების უკვალოდ გაქრობის მიზეზი ადგილობრივი ტრადიციისამებრ მათი ხის მასალით შენება გამხდარა, მსგავსად დავით დადიანის ქალიშვილის სალომესა და მისი მეუღლის აშილ მიურატის ხისგან ნაშენი სასახლისა, რომელიც XIX ს-ის მიწურულს ასევე ხანძრისგან განადგურებულა მთლიანად და რომლისგანაც მხოლოდ ფოტოებია შემორჩენილი.



5. აშილ მიურატისა და სალომე დადიანის ხის სასახლე ზუგდიდში

დადიანების სასახლეთა კომპლექსი, მათ წინ და უკან მდებარე ეზოებში მოწყობილი ბაღები და მათ მიერვე 1840 წლიდან გაშენებული ბოტანიკური ბაღი – ტყე-პარკი, რომლის ფართობი 26 (ზოგიერთი ცნობით 67) ჰექტარს უდრის, დღევანდელი ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილში, უფრო დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მთლიანობაში დიდ, სწორკუთხა ფართობს მოიცავს.

დადიანების სასახლეთა კომპლექსი მათ მიერ შეგროვებული ნივთების ერთგვარ მუზეუმსაც წარმოადგენდა იმთავითვე, ხოლო 1921 წლიდან, როცა ნაგებობებმა საბოლოოდ დაკარგა სასახლეთა ფუნქცია, დადიანების უმდიდრესი კოლექციების ბაზაზე დაარსდა ზუგდიდის

სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დღეს დადიანების სასახლეთა არქიტექტურულ მუზეუმად იწოდება.

ვრცელი ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში, ბოტანიკურ ბაღში შესასვლელთან ახლოს, განთავსებულია დავით და ეკატერინე დადიანების ვაჟის – ნიკო დადიანის სასახლე; ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში დგას ვლაქერნის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია, ხოლო ეზოს განაპირა, ჩრდილო-დასავლეთი კუთხე უკავია ოდიშის მთავარ დავით დადიანის მეუღლის, ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ აშენებულ, ე. წ. დედოფლისეულ სასახლეს თავისი უკანა ეზოს შემომსაზღვრელი გალავნითა და კოშკებით.



6. ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესია

აღნიშნული ნაგებობებიდან ყველაზე ადრეული ეკლესიაა. მისი მშენებლობა 1830 წლისთვის დაუსრულებია ლევან დადიანს.



7. ნიკო დადიანის სასახლე



8. ძველი სასახლის (?) ნანგრევი

შემდგომ ეტაპზე, საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დაწყებული დედოფალ ეკატერინეს სასახლის მშენებლობა 1890-იან წლებამდე გაჭიანურებულა, ამავე პერიოდში, 1880-იან წლებში აუშენებიათ ნიკო დადიანის სასახლე.

ძველი ფოტოს მიხედვით ირკვევა, რომ ტერიტორიაზე მდგარ სამეურნეო შენობებს შორის გამორჩეული ყოფილა აბანო, რომლის რეკონსტრუქცია, დაგეგმილი ყოფილა 1884 წლის პროექტით, თუმცა იგი არ განხორციელებულა. ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

დადიანების რეზიდენციის ზემოხსენებულ შენობებს გარდა, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე შემორჩენილია რამდენიმე ისტორიული ნაგებობის ნანგრევი, რომელთაგან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქვითა და აგურის შერეული წყობით ნაშენი, საკმაოდ მასშტაბური ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც სავარაუდოდ, სასახლეს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე.

დადიანების რეზიდენცია დიდი მატერიალური და სულიერი ფასეულობის მქონე ადგილია. მას სიძველეთა მიმართ დავით დადიანის სიყვარულისა და პატივისცემის ანაბეჭდი ატყვია; აქ ცოცხლობს ხსოვნა კახელი თავადის, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის, დედოფალ ეკატერინეს ზრუნვისა ოდიშში შექმნილ ძლიერ ოჯახზე და ბოლოს, აქ აღბეჭდილია კვალი მათი მოწინავე შვილების არაორდინალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა.

1.2 დედოფლისეული სასახლის აღწერა

დედოფალ ეკატერინე დადიანის სასახლე ზუგდიდში არქიტექტურული კომპლექსის ყველაზე მასშტაბური, არქიტექტურული სამკაულით მდიდრულად გაფორმებული და პომპეზური ნაგებობაა, რომლის სათანადო წარმოჩენას მდებარეობაც დიდად უწყობს ხელს.



9. უილიამ ფილდის ფოტო, 1931 წ.

რეზიდენციის შემომფარგლავ რკინის აჟურულ მესერში სამხრეთით ჩართული მაღალი პარადული ჭიშკრიდან შემოსვლისას, შორს, საპირისპირო ჩრდილოეთ ბოლოში აღმართული გოთური სტილის ორსართულიანი თეთრი სასახლე შთამბეჭდავ სანახაობას ქმნის; მდებარეობა მის დომინანტურ როლს კიდევ უფრო უსვამს ხაზს. ამ შთაბეჭდილებას კარგად ასახავს უ. ფილდის პანორამული ფოტო, თუმცა ბუნებრივია, 1931 წლისთვის არსებული გაპარტახებული კარ-მიდამო სრულიად საპირისპირო სურათს აჩვენებს დადიანების დროინდელი მდგომარეობისა. შენობის არქიტექტურა და ფასადების დამუშავება, ასევე აღნიშნული მდებარეობა სავსებით შეესაბამება ევროპული სასახლეების მხატვრულ გადაწყვეტას და სივრცის ორგანიზაციას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე ფრონტალურად მდგარი ორსართულიანი ნაგებობის თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებულ ფასადს ასიმეტრიულად განთავსებული ორი რიზალიტი აქვს: დასავლეთ კიდეებთან ესაა სამი მხრიდან შეტეხილი თაღებით გახსნილი პორტიკი, რომელსაც II სართულზე ოთხნაწილიანი ფართო გოთური ფანჯრებით გახსნილი, გვემით კვადრატული ოთახი ადგას, ხოლო ფასადის შუა ნაწილი გრძელ,

ძირითადი სიბრტყიდან ნაკლებ გამოზიდულ რიზალიტს უკავია, რომელიც ქვედა სართულში ასევე შეტეხილი მოყვანილობის სამი თაღით გახსნილ გალერეას ქმნის და ზემოთ ლანცეტა ფორმის ამდენივე ფანჯრით გახსნილი დარბაზით გრძელდება. დარბაზის წინ რიზალიტის გასწვრივ შეკიდული, თუჯის მოაჯირიანი გრძელი აივანია. მთელ ფასადს ცრუ გუმბათებით დასრულებული კუთხის დეკორატიული კომპოზიციებით, სხვადასხვა ზომის შპილებითა და ქონგურებიანი ფრიზით გაფორმებული, პორტიკიანი რიზალიტის არეში განსაკუთრებით პომპეზურად გაფორმებული მრგვალსარკმლიანი პარაპეტი ასრულებს, რომლის დამუშავება ასევე ესატყვისება გოთურ არქიტექტურულ სტილს.

მთავარი კორპუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებსაც ანალოგიურად მაღალი, შპილებით, ცრუ გუმბათებით, საფეხურებით, მრგვალი სარკმლითა და კბილანებით გაფორმებული პარაპეტი გახდევს, რომელიც იქ წყდება, სადაც იწყება გვერდითი ფლიგელები. ჩრდილო-აღმოსავლეთის მოკლე ფლიგელი სამსართულიანი კომპლექსური მოცულობაა გარე კუთხეზე მიდგმული, მასიურკედლებიანი, ასევე ქონგურებიანი პარაპეტით დასრულებული მცირე ზომის, წახნაგოვანი, ე. წ. „ქალწულის კოშკით“. დასავლეთ კუთხესთან კი, მიდგმულია გრძელი სამსართულიანი ფლიგელი სრულიად სადა, მარტივი მართკუთხა დიობებით გახსნილი დასავლეთი ფასადით და შიდა ეზოსკენ სამ იარუსად გაყოფილი აივნებით, რომელიც ბოლოში ხის ქალაქებით დახურული ფართით სრულდება. ქვით მოპირკეთებული მთავარი კორპუსისგან განსხვავებით ორივე ფლიგელის აგურის კედლები გარედან შეეთეთრებული, ცემენტის ნალესობით არის დაფარული.

ამავე დროის თბილისის სამოქალაქო არქიტექტურის მსგავსად, სადაც ევროპული სტილის ფასადიან შენობებში საინტერესოდ იყო შეთანხმებული ეზოს მხარეს გამოყენებული ტრადიციული აივნები, ზუგდიდის სასახლეც ამ წესს მისდევს და ნეოგოთური სტილის ფასადის საპირისპიროდ, შიდა ეზოს მხრიდან, მთავარი კორპუსი და გრძელი მინაშენი სართულიანობის შესაბამისად ორ და სამ იარუსად განლაგებული ხის აივნებით იხსნება.



10. სასახლის აივანი უკანა ეზოსკენ

ეს აივანი განსაკუთრებით მდიდრულად არის დამუშავებული მთავარი ნაგებობის გასწვრივ, სადაც ისედაც ფართო ბაქანი შუაში რიხალიტისებური ნაშევრით კიდევ უფრო ფართოვდება. ბაქანს ნაპირში შემოსდევს ორ იარუსად განლაგებული, წყვილ-წყვილად და სამ-სამად დაჯგუფებული წახნაგოვანი, ორნამენტულკაპიტელებიანი სვეტები, რომლებსაც ზემოთ აჟურული სამკუთხა ფარდები ეკვრის, ხოლო ქვემოთ ბადისებური მოაჯირები კრავს. ჭერზე ხის წვრილ-წვრილი დეტალებით ფიგურული, დეკორატიული სიბრტყე იქმნება. სქელ ხეში გამოკვეთილი, ფილიგრანულად დამუშავებული დეტალები ხეზე კვეთის ხელოვნების მაღალ ოსტატობას აჩვენებს.

ამ აივანს ლაზურს უწოდებენ, გადმოცემით მასზე ლაზ ოსტატებს უმუშავიათ. აქ გამოვლენილი დახელოვნება საკვებით ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ლაზების დახასიათებას: – „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა ...“; რაც შეეხება სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ საბუთებს, საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტებში საუბარია ხუთ არშინ არაბული ორნამენტის შესრულებაზე და არაბული აივნის გამართვაზე, რაშიც სავარაუდოდ კვლავ ეს აივანი უნდა იგულისხმებოდეს.



11. ლაზური აივნის ჭერი 1982 წლის რესტავრაციის შემდეგ

ჩრდილოეთ ფლიგელს სამ იარუსად გასდევს თანაბარი მანძილით განლაგებული სადა სვეტები, რომელთა შორის მესამე სართულზე ორნამენტირებულდაფებიანი მოაჯირები და შეწყვილებულთაღოვანი „ფარდების“ ჩართული, II სართულზე – წვრილი რიკულების მოაჯირია „ფარდების“ გარეშე, ხოლო ქვედა იარუსი უმოაჯირო ღია დერეფანს წარმოადგენს. ფლიგელის დამასრულებელ, ხის ქაღუბებიან კიდურა ნაწილში განთავსებული კიბის უჯრედი სქელი ხისგან გამოთლილი ბადისებური მუშარაბებით არის შემოფარგლული. სასახლის აივანი ერთი მხრივ პასუხობს დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ხის მხატვრული დამუშავების ძველ ტრადიციას, ხოლო მეორე მხრივ – აივნის მოაჯირების, სვეტებისა და ჭერის დამუშავებაში, მაღალი ოსტატობით შესრულებულ ხის კვეთის მოტივებსა და ტექნიკაში, ასევე ახლობელი ლაზური ტრადიციები იკითხება, რომელშიც საუკუნეების მანძილზე შეთვისებული და ორგანულად გათავისებული ოსმალური კულტურის გავლენა იჩენს თავს.

რაც შეეხება გეგმარებას, იგი სასახლის მთავარი კორპუსის ორ სართულზე სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. I სართულზე პორტიკის მხრიდან მოწყობილი მთავარი კარი ჰოლს და პირდაპირ მიმართული პარადული კიბის ფართო მარშს უკავშირდება, რომელიც შუა დონეზე გამართული ბაქნიდან იცვლის მიმართულებას და ორმხრივი მარშით ადის II სართულზე; ჰოლიდან მარჯვნივ გასასვლელი კი, უკავშირდება ვიწრო, ცილინდრულკამარიან ტალანს და კიბეებს,

რომლითაც ხდება ამავე სართულის ქვედა დონეზე ჩასვლა და აქ განთავსებულ ორ დიდ სათავსთან დაკავშირება.



12. სასახლის მთავარი კიბე ლითონის აკურული მოაჯირით ⁸

აღმოსავლეთ კიდეში მდებარე, გეგმით კვადრატს მიახლოებული სათავსი გადახურულია პილასტრებიანი და საბჯენთაღებიანი, ფართომადიანი ცილინდრული კამარით. შენობის შუაში მდებარე დიდი დარბაზი კი, გრძივ ღერძზე არათანაბარი ბიჯით განაწილებული სამი დაბალი ბოძით და მათგან გადაყვანილი თაღებით დაყოფილია კვადრატულ და მართკუთხა სეგმენტებად, რომლებსაც კოლოფა და სფერული კამარები ასრულებს. კუთხეჩამოკვეთილი ბოძები ზემოთ გაგანიერებულია და ქვის დაზიანებული კაპიტელებით სრულდება. იატაკი ორივე სადგომში ცემენტის ხსნარში ჩასმული რიყის ფილებით არის მოწყობილი, რაც ამ სადგომების არქიტექტურასთან მხატვრულად შეუთავსებელია და ამასთანავე, ფარავს ბოძების ბაზისებს და ცვლის მათ პროპორციას. ორივე სადგომის კედლები შელესილ-შეთეთრებულია. აღმოსავლეთ სადგომში შეთეთრების ქვეშ მარტივი, განმეორებადი გეომეტრიული მოტივისგან შემდგარი მოშაბიამნისფრო ტონალობის ლაქები გამოსჭვივის.

⁸ მოაჯირის დამახასიათებელი მოტივი თბილისის საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებშიც გვხვდება, მაგ. იხ. მისი ზუსტი ანალოგი: ლ. ასათიანის ქ. №24-ის სადარბაზოს კიბის მოაჯირი, 1880-1890-იანი წლები, ც. კილაძე, მ. მექმარიაშვილი, თ. გერსამია, თბილისის სადარბაზოები, თბ., 2008, გვ. 35, 160;



13. დედოფლისეული სასახლის ქვედა სართულში არსებული დავით დადიანისეული მარნის თაღებიანი სადგომი და უბაზისო ბოძი

სასახლის მთავარი კორპუსის II სართულის რვა ოთახის განლაგება ორმაგ ანფილადს ქმნის, რომლის შუა ნაწილში დიდი დარბაზებია განთავსებული, ხოლო მათ ორსავე მხარეს – შედარებით მომცრო სადგომები. იატაკი პარკეტისაა, კედლებზე ზოგან შპალერია გაკრული, ჭერზე შემორჩენილია ნაძერწი ორნამენტული დეკორი და პროფილირებული კარნიზები. ოთახებს შორის პროფილებით დამუშავებული ხის გულებიანი ყრუ, ორფრთიანი კარებია ჩასმული, ხოლო მთავარი ფასადისა და ეზოსკენ ოთახები ლანცეტა მოხაზულობის შემინული კარ-ფანჯრით იხსნება.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ საბუთში ნაგებობა სასახლედ კი არა, მისი უგანათლებულებობის ციხე-სიმაგრის მთავარ კორპუსად სახელდება (ნიკო დადიანის სასახლესაც ნიკოს ციხე-სიმაგრეს უწოდებს 1912 წლის ნახაზი). დედოფალ ეკატერინეს სასახლეს მართლაც ახლავს გალავანი და ორმხრივი ფლიგელებით აღჭურვილი ორი დაბალი და მრგვალი, წოწოლასახურავიანი კოშკი, რომელსაც გარემოდან იზოლირების ფუნქცია უფრო უნდა შეესრულებინა, ვიდრე თავდაცვისა. ეს შეთანხმება ნეოგოთური სტილის ევროპული ტიპის სასახლესთან უცნაურად გამოიყურება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მის მშენებლობამდე სამეგრელოსა და სახელდობრ, ზუგდიდის ისტორიას და სულ რაღაც ორი ათეული წლის წინანდელი მწვავე საომარი მდგომარეობის ცოცხალ ხსოვნას, გასაგები გახდება სიმაგრის ელემენტის შემოტანა; რაც შეეხება

მის არქიტექტურას, იმპერიის სამსახურში მყოფი ოდიშის მთავრის ოჯახის დაახლოებული მდგომარეობა რუსეთის საიმპერატორო კართან, ახსნას უძებნის სიმაგრის სტილურ სიახლოვეს შუა საუკუნეების ხალხური მიმართულების რუსული სათავდაცვო არქიტექტურის ნიმუშებთან.

დედოფალ ეკატერინეს სასახლის პროექტის ავტორის ვინაობის შესახებ ინფორმაცია შემოინახა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა იონა მეუნარგიამ (1852–1919), რომელმაც დიდი დრო მოახმარა თანამედროვეთაგან მნიშვნელოვანი ცნობების მოგროვებას დადიანების უკანასკნელი მთავრის დავითისა და მისი ოჯახის შესახებ; ეს მასალა, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ გამოიცა მხოლოდ წიგნის სახით, მრავალმხრივ საგულისხმო წყაროს წარმოადგენს დადიანებთან დაკავშირებულ საკითხთა კვლევისა. ი. მეუნარგია ეკატერინე დედოფლის სასახლის შესახებ აღნიშნავს, რომ ნაგებობა არის „რაისის პლანით განახლებული“⁹.

არქიტექტორ რაისთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაცია მოუპოვებია გ. კალანდიას, რომელიც წერს: “ჩვენ რუსეთის არქიტექტურის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმის დირექტორს მივმართეთ. ბ. ნი ა. სარქისიანის წერილიდან გაირკვა, რომ დედოფლისეული სასახლის არქიტექტორი ედვიგ იაკობის ძე რაისი ყოფილა, რომელიც 1851-1852 წლებში ტფილისში მეფისნაცვლის კარზე არქიტექტორის და სამოქალაქო კანცელარიის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა.”¹⁰

არქიტექტორი რაისი, ვისთვისაც შეუკვეთავს დედოფალს სასახლის პროექტი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის საბუთების მიხედვით 1849 წელს თბილისის არქიტექტორის თანაშემწე ყოფილა, ხოლო 1858 წელს მას გუბერნიის მდივნის ადგილი ჰქონია დაკავებული. ხელოვნებათმცოდნე ნანა ბურჭულაძემ 2007 წელს შესწავლილი საარქივო დოკუმენტების მიხედვით გამოიკვლია, რომ რაისი „ოცდაათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. მას თბილისს გარდა საცხოვრებელი მიწები და სახლები ჰქონია ბორჯომშიც; 1853-59 წლებს შორის თბილისში, გორსა და ბორჯომში სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები უშენებია – მათ შორის ყოფილა ხიდები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სახლები და სხვ.“ 1850-იანი წლების მიწურულიდან 1870-

⁹ ი. მეუნარგია, იქვე, გვ.54

¹⁰ გ. კალანდია, გაძარცვული საგანძური, თბ., 2006

იან წლებამდე მის მიერ სამშენებლო მასალების საწარმოს დაფუძნებისთვის ჩატარებული საქმიანობა კრახით დამთავრებულა და ხაზინის ვალით და ქონების დაყადაღებით დასრულებულა.

ნ. ბურჭულაძის მოსაზრებით „70-იანი წლების დასაწყისში ფინანსურად და მორალურად ძალზე მძიმე მდგომარეობაში მყოფმა არქიტექტორმა დატოვა თანამდებობა, თბილისი და საცხოვრებლად გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც დაუახლოვდა კიდეც სამეგრელოს დედოფალს და მისი დაკვეთით დააპროექტა ახალი სასახლე ზუგდიდის რეზიდენციისთვის“.¹¹ ავტორი აქვე აღნიშნავს, – „სამომავლოდ საჭიროა ამ მხრივ კვლევის ჩატარება დასავლეთ საქართველოს, ყოფილი ქუთაისის გუბერნიის ისტორიულ არქივში“.

ჩვენც საჭიროდ ჩავთვალეთ XIX ს-ში ქუთაისის გუბერნიაში შემავალ ზუგდიდთან დაკავშირებული საბუთები და დოკუმენტები ქუთაისის ისტორიულ არქივში მოგვეძიებინა, რისთვისაც დაგუკავშირდით მეცნიერ თანამშრომელ ბატონ მერაბ კეზევაძეს, მასალის ზედმიწევნით მცოდნე სპეციალისტს, რომელმაც ეჭვს გარეშე გამორიცხა ამ ტიპის დოკუმენტების არსებობა მისდამი დაქვემდებარებულ არქივში და კვლევის ჩატარება არ მიიჩნია საჭიროდ.

¹¹. ნანა ბურჭულაძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი), „ზუგდიდის სასახლეები და ეკლესია“, კვლევა შესრულებულია 2007 წელს.

1.3 დედოფლისეული სასახლის სამშენებლო ფენები

დედოფლისეული სასახლის დაკვირვებით დათვალიერებისას აშკარა ხდება, რომ ნაგებობა XIX ს-ის მიწურულის ერთდროული მშენებლობის შედეგს არ წარმოადგენს. არქიტექტურაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანის თვალსაც არ გამოეპარება სასახლის მთავარ კორპუსსა და ფლიგელებს შორის არსებული სხვაობა, რაც ეგებ არქიტექტორის მიერ განზრახვაც იყო ხაზგასმული, რათა არ წაეშალა ზღვარი ძველსა და ახალს შორის.

განსხვავება მთავარ კორპუსსა და ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ კოშკურ მოცულობას შორის აქ გამოყენებული გოთური სტილური ნიშნების ნაკლებობაში ვლინდება, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მიდგმული გრძელი ფლიგელის სრულიად სადა, აღნიშნულ სტილურ ნიშნებს სრულიად მოკლებული დასავლეთი ფასადი და დაბალ სამ სართულზე განაწილებული სხვადასხვა დანიშნულების ოთახები დამხმარე ფუნქციასთან ერთად მშენებლობის უფრო მოგვიანო და შედარებით ნაჩქარევ ეტაპზე მიუთითებს.



14. ჩრდილო-დასავლეთით მიშენებული ფლიგელის დასავლეთი ფასადი

შენობის ძირითადი კორპუსი კი, ვფიქრობთ უფრო ადრეული ისტორიული პერიოდის ნაწილებისგან შედგება, რაც ფასადზე ნეოგოთური არქიტექტურული სტილის ელემენტებით არის შენიღბული და გამოთლიანებული.

პირველ ყოვლისა ეს სართულების სიმაღლეთა აშკარად გამოხატულ სხვაობაში იჩენს თავს – ქვედა სართული ბევრად ჭარბობს ზედას, სადაც განლაგებულია სასახლის მთავარი საცხოვრებელი და სასტუმრო დარბაზები. ამას გარდა, განსხვავებულია ქვედა სართულის არქიტექტურული ფორმები, სადაც ნაცვლად ბრტყელი ჭერისა მასიურ ბოძებზე გადაყვანილი თაღებით შემოწერილი სეგმენტები სხვადასხვა ტიპის კამარებით სრულდება. სათავსების მასშტაბი, პროპორციები და სივრცის ხასიათი მას უფრო ადრეული ეპოქის ნიმუშებთან აახლოებს.

შენობის ისტორიის შესახებ ი. მეუნარგიასთან დაცული საყურადღებო ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივ დეტალებს შეიცავს: „მთავარი კორპუსი ამ სასახლისა არის დაფუძნებული თაღებზე, რომლის ქვეშ დავით დადიანის დროს ღვინის სარდაფი იყო მოთავსებული. ამ თაღებზე იდგა ქვა-აგურის სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა მთავრის და პუპი და რომელსაც ამის გამო პუპის სახლად უწოდებდნენ. შემდეგ პუპის გათხოვებისა ამ სახლში დავით დადიანმა დროებითი სახელოსნო მოაწყო, საცა მზადდებოდა პარკეტები ახალის სასახლისათვის. დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ ეს სახლი დიდხანს იყო მიყრუებული, სანამ ეკატერინე დედოფალმა არ განაახლა ის და არ აღაშენა ზუგდიდის ეხლამდელი მთავარი სასახლე თავისის ფლიგელებით, ფრონტონით და ლამაზის ჩუქურთმებით შემკობილი მოაჯირ-აივნებით ჩრდილოეთის მხარეს.“¹²

განსაზღვრულ ადგილებში ზონდაუების გაკეთებამ შესაძლოა გარკვეული დეტალები დააზუსტოს, თუმცა ერთი უეჭველია, სასახლის ქვედა სართულის ორი დიდი, კამაროვანი სადგომი მეუნარგიასთან ნახსენები დავით დადიანის დროის ღვინის სარდაფია.

ნალესობით დაფარულ კედლებზე ოდნავ იკითხება თაღებისა და ნიშების ცალკეული შეისრული ფორმები, რაც ამ სადგომების XIX ს-ზე უწინდელობის ეჭვს ბადებს. იატაკის დონის დაწვევა და კედლის გათავისუფლება ნალესობისგან აგურის წყობას, ბოძების ბაზისებს და სხვა არქიტექტურული ელემენტების კონკრეტულ მახასიათებლებს გამოავლენს, რაც თარიღის დაზუსტების უფრო მყარ საფუძველს შექმნის.

¹² ი. მეუნარგია, იქვე, გვ.54



15. საფეხუროვანი და თაღოვანი კვალი მარნის კარის ზემოთ

რაც შეეხება თანამედროვეთაგან მოპოვებული ინფორმაციის შემცველ, მეუნარგიასეული ცნობის მეორე ნაწილს, – სარდაფის თაღებზე დაშენებულ პუპი დადიანის ქვა-აგურის სახლს, – ვფიქრობთ, ისიც საკმაოდ მოცულობით, ეგებ სრულადაც არის შენარჩუნებული ეკატერინეს სასახლის II სართულის ფარგლებში, ამის საფუძველს გვაძლევს კონკრეტული მინიშნებებისა და ნაგებობის არსებული მდგომარეობის შედარება; „ . . . **ეს სახლი დიდხანს იყო მიყრუებული**, სანამ ეკატერინე დედოფალმა არ განაახლა ის და არ აღაშენა ზუგდიდის ესლამდელი მთავარი სასახლე თავისის ფლიგელებით, ფრონტონით და ღამაზის ჩუქურთმებით შემკობილი მოაჯირ-აივნებით ჩრდილოეთის მხარეს“.

თუ გადავაგვლებთ თვალს საარქივო დოკუმენტებისა და ფოტოების მიხედვით შექმნილ სურათს, მოვლენათა ამგვარი განვითარება იხატება: ეკატერინე დედოფალს არქიტექტორ ედვიგ რაისისთვის დაუკვეთავს პომპეზური სასახლის შექმნა იმ ძველი სახლიდან, რომელიც ცნობილია, რომ მას ძალიან მოსწონდა. ამ დროისთვის „მიყრუებული“ და დაზიანებული პუპის სახლის განახლება, ნაწილობრივი გადაკეთებითა და მოდური სტილური ნიშნების მიცემით, სავსებით რეალური იქნებოდა; საზეიმო პორტიკისა და კიბის უჯრედის მოწყობით, არსებული ღიობებისთვის ნეოგოთური მოხაზულობის მიცემით, ან კედლებში ახალი ნეოგოთური ღიობების გამოღებით, რიზალიტებისა და ცრუ გუმბათებით დასრულებული კუთხის დეკორატიული კოშკურების მიღებით, ფასადის

ქვეთ მოპირკეთებითა და ქონგურებიანი პარაპეტის მოწყობით, სასახლის მთავარი კორპუსი, როგორც იხსენიებს მას იონა მეუნარგია და საარქივო დოკუმენტებიც (!), სავსებით თანამედროვე, დედოფალ ეკატერინესთვის სასურველ სახეს მიიღებდა. არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ძველი სასახლეების ამგვარი გათანამედროვება, საზოგადოდ, დანერგილი იყო XIX ს-ის საქართველოში და ამის მაგალითად აღმოსავლური არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშის, თელავის კახთ მეფეთა სასახლის სწორედ გოთურ სტილზე გადაკეთებაც გამოდგება არქიტექტორ ა. ზალცმანის მიერ. ამ შემთხვევაში ისიც საყურადღებოა, რომ ეკატერინე დედოფალი კახელი დიდგვაროვანი ბრძანდებოდა.

ზუგდიდის მუზეუმში დაცულ დოკუმენტებს შორის სასახლის მთავარი კორპუსის მიშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ ცნობების სიმწირეც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს ნაგებობა უკვე იდგა და იგი მხოლოდ შემოსვას და განახლებას საჭიროებდა, მაშინ როცა არარსებული ფლიგელის მიშენებასთან დაკავშირებით საბუთებში ყველაფერი დეტალურადაა განხილული.

1.4 საარქივო მასალის ანალიზი

დადიანების რეზიდენციაში შემავალი სასახლეების მშენებლობასთან დაკავშირებით ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თვით ზუგდიდის დადიანების სასახლეების ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცული დოკუმენტები: – ხელშეკრულებები, სამშენებლო მასალების ჩამონათვალი საჭირო რაოდენობის მითითებით, ხარჯთაღრიცხვები და სხვა საბუთები.

ერთი მხრივ, ეს დოკუმენტები წარმოდგენას იძლევა როგორი წესრიგი ჰქონიათ შემოდებული საქმის წარმოებისა და დოკუმენტების შედგენა-შენახვის კუთხით ოდიშის მთავრის ოჯახის უკანასკნელ წარმომადგენლებს, რუსეთის იმპერატორის მიერ სამთავროს გაუქმების შემდგომ მინგრელსკებად წოდებულ დედოფალ ეკატერინესა და მის ვაჟს, ნიკოლოზ დავითის ძეს. მეორე მხრივ, ამ საბუთების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო ნაგებობათა მშენებლობის ისტორიისა და მასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პერიპეტიების სურათის აღდგენა. ამასთანავე, მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება მშენებლობის დროს გამოყენებული მასალებისა და ტექნოლოგიის შესახებ წარმოდგენის შექმნა, რაც მსგავსი დოკუმენტების სიმწირის გამო, სარესტავრაციო ობიექტებზე მუშაობისას ძალზე იშვიათიად ხერხდება.

როგორც საბუთებით ირკვევა დადიანების მამულებთან დაკავშირებული საქმის წარმოება დავალებული ჰქონია ნდობით აღჭურვილ პირს, რომელსაც ქართულად შედგენილი საბუთები კნიაზ მინგრელსკის ვეჟილად, ხოლო რუსულენოვანი საბუთები რწმუნებულად (поверенный) იხსენიებს. ეს პირი დედოფალ ეკატერინეს სიცოცხლეში, 1882 წლის აგვისტომდე ყოფილა აზნაური, პრაპორშჩიკი თომა ახვლედიანი; მოგვიანებით, 1883 წლის ივლისიდან თანამდებობა დაუკაავებია ნიკოლოზ მალიშევს, ხოლო 1900-იან წლებში და თავად ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის გარდაცვალების (1903 წ.) შემდეგაც, 1917 წლის რევოლუციამდე, დადიანების მამულების რწმუნებული ყოფილა ალექსანდრე ალშიბაია.

ადგილზე დაცული დოკუმენტების შესწავლამ განსაკუთრებით საყურადღებო სურათი წარმოაჩინა დედოფლისეული სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებით; როგორც ირკვევა, სავარაუდოდ 1870-იანი წლების მიწურულს დაწყებული მშენებლობა გაჭიანურებულა და 1890 წლამდე, საქმე მნიშვნელოვნად წინ არ წაწეულა, რადგან

მშენებლობისთვის აყვანილ მენარდე (подрядчик) თბილისელ ვაჭარს, საფრანგეთის ქვეშევრდომ ევგენი ბერნეკსსა და ნიკოლოზ დადიანს შორის სადაო ვითარება შექმნილა; სამწუხაროდ, მუზეუმის არქივის მომდევნო ათი წლის – 1900 წლამდე – საბუთები არ შეგვხვდა; უნდა ვიფიქროთ, რომ მშენებლობა ამ პერიოდში დასრულდა, თუმცა მალევე, 1901-1902 წლებში საჭირო გამხდარა სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება.

დადიანების არქივში დაცული მასალები საყურადღებო აღმოჩნდა სხვადასხვა კუთხით, მათში ჩანს დაგეგმილი მშენებლობის რიგითობა, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, მოსახმარი მასალების რაოდენობა და სახეობა. ხერხდება ასევე, გარკვეული ინფორმაციის ამოკითხვა ხელოსნობის ტრადიციულ მეთოდებზე. ვარაუდს იმის თაობაზე, რომ დედოფალ ეკატერინეს სასახლის მთავარ კორპუსში დავით დადიანის ღვინის სარდაფის კამარებიან სადგომებთან ერთად, ზედა სართულზე განთავსებული პუპი დადიანის ძველი სახლიც არის ჩართული, საარქივო დოკუმენტების ანალიზიც ადასტურებს.

1882 წლის 12 იანვრისა და ამავე წლის 17 ივლისის კონტრაქტებიდან ვიტყობთ, რომ პირველ რიგში დაგეგმილი ყოფილა ეკატერინე დედოფლის სასახლის დაუმთავრებელი და ასევე, დაუწყებელი, ძირითადად სადურგლო სამუშაოების შესრულება. ამავე დროს, ეს ინფორმაცია საყურადღებოა ოთახების თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისითაც; მოვნიშნეთ მასალებისა და ტექნოლოგიის კუთხით საინტერესო ადგილები, გამოვყავით მითითებები შესასრულებელ სამუშაოთა „გემოვნებასა“ და სტილურ თავისებურებებზე (როგორცაა გოთური სტილის ფანჯრები, ოსმალური აივანი, არაბული ორნამენტი, ლუდოვიკო XV სტილის შპალერები, სპარსული გემოვნების თეთრი ალუბასტრის მორთულობა და ა. შ.), რამაც ბევრ საკითხს მოფინა ნათელი.

ჩანს, გათვალისწინებული იყო კარ-ფანჯრის და პარკეტის (პლინტუსების ჩათვლით) დამზადება და გამართვა; ხის ზედაპირის მოხვეწა პემზით ზეთზე და შემდეგ ზეთოვანი ლაკით დაფარვა; კონტრაქტი ითვალისწინებდა დაწყებული პარკეტის დამთავრებას „ავანზალაში“ და ამავე ნიმუშის მიხედვით (რომელიც სამწუხაროდ დოკუმენტებს შორის არ აღმოჩნდა) კიდევ 6 სხვა ოთახში მის დაგებას. აქედან ვიგებთ, ასევე, რომ შვიდივე ოთახის პარკეტი და პლინტუსები მუხის უნდა ყოფილიყო; დამატებით სამუშაოებში შედიოდა გადახურვების მოწესრიგება. პირველი

კონტრაქტის ბოლოში გაკეთებული მინაწერი იმის შესახებ, რომ გასანადღებელ თანხაში არ შედიოდა შპალერის გაკერა ოთახებში, კარნიზის მოქროვილი /მოვარაყებული/ თამასებისა (вызолоченные планки) და პლინტუსების მოწყობა და იატაკების შეღებვა ორივე სართულზე – შემდგომი ეტაპის სამუშაოებზე იძლევა წარმოდგენას, რომელიც გარდა შიდა მოსაკაზმი სამუშაოებისა, მოსაპირკეთებელსაც მოიცავდა.

ზემოსხენებულ საბუთებში სასახლის მთავარი კორპუსის მთელ ზედა სართულზე, ასაშენებელი კედლის წყობა 92 კვ. საუენით არის განსაზღვრული, მაშინ, როცა სამზარეულოს მშენებლობისთვის ცოტა ნაკლები – 70 კვ. საუენია დაანგარიშებული, რაც აჩვენებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ნაგებობის ზედა სართული არსებობდა და მხოლოდ მცირე მოცულობის, სავარაუდოდ, დასავლეთ ნაპირში და შუაში განთავსებული რიზალიტის მიშენება იყო დაგეგმილი. საგულისხმოა, ასევე, რომ ამ ნაგებობის დასამთავრებლად საჭირო სამუშაოებში საფასადო მოპირკეთებასა და თლილი ქვის არქიტექტურული მორთულობის ელემენტებზეც არის საუბარი, როგორცაა: ფრონტონის ქვეშ თლილი ქვის ბოძები და თლილი ქვის პლინტუსები, ფრონტონი, აგურის კოლონები და თაღები, გათლილი ზედა კარნიზი და კბილანები; ამასთანავე, ორივე სართულზე კედლების ორმხრივი შელესვა, რაც სწორედ არსებული ნაგებობის სტილურ სახეცვლილებას ემსახურებოდა.

დაგეგმილი სამუშაოების ხასიათს და მთლიან მოცულობას ნათელს ფენს შემდეგი ციფრები: 37 კარი და 71 ფანჯარა სათანადო მოწყობილობით და კაკლის დაფების რაფებით, 18 ღუმელი და ბუხარი თავისი მოწყობილობით; 2 უკანა აივანი და 6 წინა და გვერდითი აივანი (რომელიც ჩანს, აღარ გაუმართავთ), 1 პარმალი (крыльцо), პარადული კიბე, კიბე ბუფეტიდან (თუჯის), მაუერლატები ორივე სართულზე, 26 არშინი საღურგლო საქმე თუჯის „ბაღვანკებზე“, 114 საუენი „ბაგდადის“ ჭერი, 30 საუენი ხის თაღები, 900 საუენი ნაღესობა, 104 საუენი ჭერის „რევიტემენტ(?)“ (ჩანს, სახურავის მოუწესრიგებლობის გამო ჭერი დაზიანებული ყოფილა და არსებულის განახლებისთვის საკმაოდ მასშტაბური სამუშაოს განხორციელება ყოფილა დაგეგმილი, რასაც უნდა გულისხმობდეს 104 საუ. ჭერის „რევიტემენტ“-ი), 9 ოთახის შპალერი და კარნიზები, შესასვლელის და დიდი კიბის აგურის თაღები, თუჯის

ბოძები დიდი კიბისთვის, „პაპიე-მაშე“ –ს სამუშაოები წებოზე, წყალგაყვანილობის გამართვა.

გარდა სადურგლო საქმეებისა, დამატებითი სამუშაოების ჩამონათვალიდან ჩანს, რომ მთავარ კორპუსზე, კოშკზე, ფლიგელზე და თურქულ აივანზე შესაღები ყოფილა სახურავი, ხოლო ორანჟერეა და შეშის ფარდული ჯერ გადასახური ყოფილა ფურცლოვანი რკინით, ხოლო საწვიმარებისა და ორნამენტული „სავარცხლის“ მოწყობის შემდეგ შესაღები მთავარი სახურავისფრად.

ამავე დროს დაგეგმილი ყოფილა ეზოს აღმოსავლეთ და დასავლეთ კუთხეებში მდგარი ფლიგელებიანი კოშკების ფურცლოვანი რკინით გადახურვა, საწვიმარი მიღებისა და კოშკების ირგვლივ „სავარცხლების“ მოწყობა, ხოლო პირველ (აღმოსავლეთ?) კოშკზე ქარის მზომის (ветре́йник) დადგმა.

ყურადღებას იქცევს, ასევე, სტილზე, თუ დეკორის ხასიათზე მითითება: დაზუსტებულია, რომ მენარდებს უნდა გაეკეთებინათ **6 პატარა გოთური სარკმელი, 5 არშინი არაბული ორნამენტი, უნდა მოეწყოთ არაბული** (ჩანს, იგულისხმება ხის) და **თუჯის აივნები**; დიდი რაოდენობით **კარებს შორის ერთი უნდა ყოფილიყო სპარსული გემოვნების.**

საყურადღებოა, რომ 1882 წლის დეკემბერში ბერნეკსის მიერ შესრულებული კედლის ნაღესობა, რომლის შესახებ საბუთში არ ჩანს მითითება მასალაზე, ერთ თვეში უკვე დაზიანებულა და თითქმის მთლიანად ჩამოყრილა. ამით შეწუხებულ დადიანის რწმუნებულ ახვლედიანს შეუთავაზებია მისთვის ზამთრის პერიოდში სამუშაოს შეჩერება (სავარაუდოდ, ბერნეკსის ნაღესობა ცემენტის ხსნარით უნდა ყოფილიყო შესრულებული).

ჩვენამდე გაძარცვულ მდგომარეობაში მოღწეული სასახლის თავდაპირველად ჩაფიქრებული შიდა გადაწყვეტის სურათის წარმოსადგენად განსაკუთრებით საინტერესოა იმ **უცხოური მასალების დეტალური ჩამონათვალი**, რომელიც შექმნილი ყოფილა სპეციალურად ამისათვის: ვატერ-კლოზეტი (უნიტაზი) №1 და №2, მარმარილოს აბაზანა, 120 სათლიანი („ვედროიანი“) რკინის რეზერვუარი, სხვადასხვა ზომის რკინისა და ცინკის მიღები (1, 1.5, 3 დუიმიანი), ძრავი, ონკანები, 4 პირსაბანი, ვაზა კუპიდონის ქანდაკებით, თუჯის ბალუსტრადა კიბის მოაჯირისთვის, თუჯის კოლონები და ბოძები აივნისთვის, 4 თუჯის ბუხარი, ერთი – მარმარილოს ბუხარი, 1

ბუხარი საპირფარეშოსთვის, 3 ბუხრის კერა /ქურა?/ (3 очага каминных) – სპარსული ზაღის, საძინებლისა და სასადილოსთვის, ბუხრის 3 გასახსნელი მორთულობა (3 убранных для каминов распашных), 5 ჩვეულებრივი მორთულობა, ჯაგრისიანი ფესხაწმენდი დაფები შემოსასვლელისთვის, სპილენძის 48 ტროსი პატარა ბოძებით (48 медных прутьев со столбиками, ბუხრის წინ გასაჭიმი?), შიდა ზარების სამი სისტემა და ბოლოს კარფანჯრის მოწყობილობები – შესასვლელისთვის, დიდი კიბისთვის, ზამთრის ბაღისთვის, სალონებისთვის, სპარსული დარბაზისთვის, საპირფარეშოსთვის, საძინებლისთვის, აბანოსთვის, კორიდორისთვის, კაბინეტისა და სასადილოსთვის.

ჩვენ ცოდნას ცალკეული სათავის მორთულობისა და გადაწყვეტის შესახებ ავსებს 1882 წლის 27 მარტის დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ:

შესასვლელი კარი უნდა ყოფილიყო მუხის, ნატურალური ხის ფერი, მსატრულად ორნამენტირებული თუჯის სახელურით, იატაკი – ბეტონის ფილების (საბუთში მითითებული – „пол из плит „*ე ბეტონ აგგლომერი*“ – ჩანს, გულისხმობს ხელოვნური ქვის, ბეტონის ბლოკების გამოყენებას; ეს მასალა ნატურალური ქვის გაძვირებასთან დაკავშირებით ევროპაში XIX ს-ის დასაწყისიდან დაინერგა), ხოლო კედლების მორთვა და შპალერი – მარმარილოს იმიტაციით;

დიდი კიბის ზედა ბაქანი უნდა მოეწყობოთ რკინით, შიდა მხრიდან კიბის საფეხურების დასაჭერად – აგურის თალი, ჭერი – „ბაგდადი“, შელესილი; დიდ კიბესთან გათვალისწინებული ყოფილა ბრინჯაოს ბარიერის დადგმა, მოაჯირის გაკეთება და ბარიერის / ჩარჩოს/ მოვარაყება, თუჯის ბუხრის დადგმა, კედლების მორთვა მარმარილოს იმიტაციის შპალერით;

ზამთრის ბაღში (ანუ, ჩრდილოეთით მოქცეულ, აუზიან უკანა ეზოში): კედლებისა და ჭერის შელესვა, ხის თაღები და „ბაგდადი“, იატაკის ცემენტის ფილებით მოგება, კუპიდონის მარმარილოს ქანდაკებიანი აუზის მოწყობა, კედლებისა და კონსოლების მოხატვა ზეთის საღებავებით.

წინა დარბაზში: „ბაგდადის“ ჭერისა და კედლების შელესვა, პომპეის სტილის შპალერით მორთვა და პომპეის გემოვნების თუჯის ბუხრის დადგმა.

დიდ სალონში: „ბაგდადის“ ჭერისა და კედლების შელესვა, ჭერის მორთვა „*პაპიე-მაშე*“ -თი მარია ანტუანეტას სტილში, კედლებზე ამავე სტილის შპალერის გაკვრა და „*პაპიე-მაშე*“ –ს კოლონებით გაფორმება, ამავე

სტილის თეთრი მარმარილოს ბუხრის დადგმა (მოცემულია ზომებიც: სიგანე 2 არშ. 8 ვერშ. სიღრმე 10 ვერშ.);

სპარსულ დარბაზში: „ბაგდადის“ ჭერზე ხის თაღის გაკეთება, ჭერისა და კედლების მორთვა ალესტრით სპარსულ სტილში, თბილისში დიდი თავადი მიხეილის სამუშაო კაბინეტის მსგავსად (ჩანს, აქ იგულისხმება მეფისნაცვლის სასახლის, ამჟამად ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზი). ისეთივე ბუხრის დადგმა, როგორც აღნიშნულ კაბინეტშია, ოღონდ აგურით გამოყვანილი სპარსული ორნამენტებით. ბუხარს გაუკეთდეს ნაშვერი საათის დასაგმელად. ოთახის ირგვლივ მოეწყოს „ეტაჟერკა“ ნივთების დასადგებად.



16. გრძელი ფლიგელი ეზოს მხრიდან

ტუალეტის კაბინეტში: „ბაგდადის“ ჭერისა და კედლების შელესვა, მარმარილოს ბუხრის დადგმა, კედლისა და ჭერის შემკობა ლუდოვიკო XV-ის გემოვნების შპალერით.

საძინებელში: „ბაგდადის“ ჭერისა და კედლების შელესვა, დედოფლის მიერ შერჩეული ქვის ბუხრის დადგმა (ჩანს, დაუმთავრებელ სასახლეში დედოფალი ამ ოთახს შედარებით აქტიურად იყენებდა). „Украсить стены обоями цвета „კაუმონ“ (желторозовый) с бисерами черными золотом“ (შპალერის ფერის დასაზუსტებლად მითითებული – „კაუმონ“ – მოყვითალო კირქვის სახელწოდებაა).

სააბაზანო ოთახში: №1 უნიტაზის (Вотер-клозет) დადგმა, მარმარილოს აბაზანის დადგმა და გამართვა, სტელაჟის დადგმა, წყლის გასაცხელებელი კუბის გამართვა, თუჯის ბუხრის დადგმა, „ბაგდადის“ ჭერისა და კედლების შელესვა, კედლებისა და ჭერის მორთვა ზეთის საღებავებით მოხატული ფაიანსით, იატაკზე ცემენტის ფილების დაგება.

სასადილოში: „ბაგდადის“¹³ ჭერისა და კედლების შელესვა, ტილოზე შესრულებული „პაპიე-მაშე“ –ს მორთულობები ბუხრის სტილში, კედლების მორთვა „პაპიე-მაშე“ -თი და ტყავის ფერი შპალერით, ნატურალური მუხის ცოკოლი და შუშიანი „ეტაჟერკა“: აღნიშნულია ასევე წყლის შემოყვანა და რეზერვუარის მოწყობა (?).

ეს ჩამონათვალი სასახლის ოთახების თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულების გასარკვევადაც საყურადღებოა.

ბერნეკის წერილის მიხედვით ირკვევა, რომ 1884 წლის აპრილისთვის ამ გეგმების განხორციელებას ჯერ ბევრი აკლდა (ნაწყვეტი დოკუმენტიდან იხილეთ ზემოთ – „Черного пола нет, паркета нет, дверей нет, окон нет), ირკვევა, რომ შიდა სამუშაოებამდე კიდევ ბევრი იყო დარჩენილი, სახურავი წყალს ატარებდა და ა. შ. დავა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის 1890 წლისთვისაც არ ყოფილა დასრულებული და ნიკოლოზ დადიანი ცდილობდა სასამართლოს გზით დაებრუნებინა ბერნეკისგან 10000 რუბლი. სრული მასალების უქონლობის გამო ამ ჩახლართულ საქმეში ნათელის შეტანა ძნელია, თუმცა ერთ-ერთ პრობლემად აშკარად იკვეთება ბერნეკის ფაქტორი, რომელსაც ხელისშემშლელი მიზეზების მიუხედავად, რასაც იგი ასახელებს, თანხა აუღია, ხოლო ნაკისრი პირობა არ შეუსრულებია.

1901-1902 წლებში შედგენილი საბუთებიდან კი ჩანს, რომ ჩატარებულა სასახლის რესტავრაცია, რაც ასეთ მოკლე ხანში, ან წინა ეტაპის სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობას უნდა გამოეწვია, ან მათ უხარისხოდ შესრულებას. შესაძენი მასალების ჩამონათვალში ხშირად ფიგურირებს აგური და კირი (რაოდენობა არ არის მითითებული), ცემენტი (1, 6, 10 „ბოჩკა“), ცარცი (10 გირი, ალბათ გირვანქა ?) საჟა (გირი), კალა (გირი).

¹³ საინტერესოა, რომ საარქივო საბუთებში მრავალგზის ნახსენები, ჯვარედინი ლარტყებისგან შემდგარი ტიხრების ტიპის კედლებისა და ჭერის აღსანიშნავად დღემდე გამოყენებული ტერმინის – „ბაგდადკა“ – აღმნიშვნელი სიტყვა – „Багдад“-ი, რუსულ ტექსტებში დიდი ასოთია ჩაწერილი (მაგ. – „Сделать деревянный свод в потолке Багдад“), რაც შესაძლოა ქალაქ ბაღდადის ტოპონიმს უკავშირდებოდეს.

თუ გავითვალისწინებთ 1912 წლის ნახაზზე არსებულ ჩაშენებულ თაღებს ე. წ. დავითის მარანში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დატიხვრა მაშინ განხორციელდა და შესაძლოა ამისთვის იყო შექმნილი აგური და ეგებ კირიც. რაც შეეხება ფლიგელების ფასადების ნაღესობას, აქ სავარაუდოდ, ისე, როგორც დღეს, ცემენტი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო ცარცი შეთეთრებისთვის იქნებოდა საჭირო.

მრავალფეროვანია ლითონის ხელსაწყოების, ნაკეთობებისა და მასალის ნუსხა: – ფურცლოვანი რკინა, თხელი რკინა, რკინა „რეზნოი“, ურმის რკინა, „გრანციის“ რკინა, კიბის რკინა, რკინა რუსული, თეთრი თუნუქის ფურცელი, ტყვია, თუჯი, კიბის ანჯამები (петли), ანჯამა „ამერიკანსკი“, კლიტე „ამერიკანსკი“, ლურსმანი, ხელის ხერხი, ქლიბი, ნიჩაბი, თუჯის პატარა კარი (ალბათ ღუმელის), ტილოს ზუმფარა (шкурка), კიბის „საკლიტავი“; საუბარია კიბისა და აივნების მოაჯირების შექმნა-დაყენებაზე და ასევე, ძველი კლიტეების „გაპაჩინკებაზე“;

ეს ჩამონათვალი ცხადს ხდის, რომ ლითონის აივნები და მათი მოაჯირები ამ დრომდე არ ყოფილა დაყენებული, თორემ ასე მალე არ დაზიანდებოდა; მასთან ერთად არც კიბეები ყოფილა დასრულებული და კიდევ ბევრი რამ...

ხარჯთაღრიცხვებში დაანგარიშებულია სხვადასხვა ნივთიერებების, ხელსაწყოებისა და საღებავების შექმნა: სკიპიდარი, თვალი სარკე, ზეითუნის ზეთი, მოხარშული ზეთი, ლაკი ზეთზე, მწვანე საღებავი, მუყაო, საღებავის ჯაგრისი, ფანქარი, ძმარი (ბევრჯერ მეორდება), გირი ფქვილი, გირი წებო, თოფი შპალერი, გირი ღხრა, გირი კუპაროზი (შაბიამანი), ბელილა, ულტრამარინი, ბ. ესენცია, საპონი, ზეთი მოხარშული, 10 გირი კუპაროზი, 1 ბ. ესენცია; 3 გირი ულტრამარინი, 6 გირი ფქვილი; 6 გირი საპონი; ღუმელების ნაწილების ჩამოტანა ახალი სენაკიდან, ღუმელი აღებასტრის გამოსაწვავად, შეშა გამოსაწვავად; თოკი მიღებისთვის, ბლოკისთვის; გამირები, საგოზავი (замазка), რომელიც ჩანს ხელოსანს უნდა დაემზადებინა; ცარცი, მარილი და ულტრამარინი შესათეთრებლად; ტყვია, მუავა იატაკისთვის („კისლატა პოლისთვის“), მარილი, ნარმა, ნახშირი, თაფლის სანთელი (სამთელი), სარკე, მუავა („კისლატა“) და ნახშირი, ნიშადური თაფლის საწური და სხვა. დაანგარიშებულია გასავალი სასახლის სარესტავრაციოდ სარკეების შექმნაზე.

ამ მრავალფეროვანი საქონლის შექმნა აშკარას ხდის შიდა სამუშაოების მასშტაბს; აქედანვე ჩანს, რომ იგი კედლების შელესვასა და შეღებვასაც მოიცავდა.

არქივში დაცულია ასევე მასალების ანგარიშები ეკატერინეს სასახლის წყალგაყვანილობის საქმისთვის, რომელშიც 1901 წელს ჩართული ყოფილა ვინმე გრიგორი გაბუნია. ჩანს 1882 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეს საქმეც მაშინ არ განხორციელებულა, ან სისტემა სარემონტო გამხდარა.

დაცულია ხელწერილები სასახლის სარესტავრაციოდ მოსახლეობისგან, წაბლის ფიცრების შექმნის თაობაზე, რაც ვფიქრობთ უიატაკოდ დარჩენილ სათავსებში მის მოსაწყობად იყო საჭირო.

ამრიგად, 1870–იანი წლების მიწურულს დედოფალ ეკატერინეს თაოსნობით წამოწყებული სასახლის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დავით დადიანის ღვინის სარდაფისა და პუპის სახლის რეაბილიტაციას, თანამედროვე მხატვრული გემოვნებისა და კომფორტის შესაბამისად განახლებას და ფლიგელების მიშენებით გავრცობას გულისხმობდა, საკმაოდ გაჭიანურებულა და 1890-იან წლებშიც ვერ მიუყვანიათ ბოლომდე. სწორედ ამის გამო, 1901-1902 წლებში აუცილებელი გამხდარა ნაგებობის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება, რაც დაუსრულებელი სამუშაოების დამთავრებას და უხარისხოს, ან დაძველებულის განახლებას ითვალისწინებდა. გარემოებათა ამგვარი განვითარება სამწუხარო სურათს აჩენს, სასახლის დასრულებას ვერ მოსწრებია დედოფალი ეკატერინე, რომელიც 1882 წლის აგვისტოში გარდაიცვალა, ხოლო ნიკოლოზ დადიანი, რომელიც დედის შემდეგ უძღვებოდა მშენებლობას, რესტავრაციის დასრულებიდან მალევე, 1903 წელს გარდაიცვალა.

ზუგდიდის მუზეუმის არქივში ეკატერინე დადიანის სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებული მეტად საყურადღებო ტექსტური დოკუმენტების გარდა დაცულია, აგრეთვე, გრაფიკული მასალა. სამწუხაროდ, არქიტექტორ ედვიგ რაისის მიერ შედგენილი პროექტი, ან მის მიერ გამოხაზული რაიმე დეტალი, არც ადგილზე და არც თბილისისა და ქუთაისის ისტორიულ არქივებში არ მოიძებნა. „სენსონის“ მიერ 2007 წელს დამუშავებულ დადიანების ბაღ-პარკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების სადიაგნოსტიკო-სარეაბილიტაციო პროექტში, საარქივო მასალაში ჩართულია ტექნიკოს ხეთერელის მიერ 1912 წელს

შესრულებული სასახლის ქვედა სართულის გეგმა (ხეთერელის მიერვეა გამოხაზული ნიკო დადიანის სასახლის პირველი და მეორე სართულის გეგმა) და 1920-იან წლებში შესრულებული II სართულის გეგმა¹⁴, რომლის წარწერიდან ირკვევა, რომ სასახლეში ამ დროს ზუგდიდის რეკომი იყო განთავსებული. მუზეუმის დოკუმენტებს შორის არის აგრეთვე, სავარაუდოდ, XX ს-ის შუა ხანებში კალკაზე შესრულებული I და II სართულის გეგმები.

¹⁴. ამ გეგმების ელექტრო ვერსია გადმოგვცა აგრეთვე გიორგი კალანდიამ

1.5 სასახლის კონსერვაციული მდგომარეობა

სოციალისტური რევოლუციის მომდევნო 1920-იან წლებში, დადიანების რეზიდენციის შენობათა კომპლექსის ისტორიის შემდგომ ეტაპზე, სასახლეებმა დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია. ლონდონისა და ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული მეცნიერის, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, აკაკი ჭანტურიას მიერ სამეგრელოს სხვადასხვა სასახლეებში გაბნეული დადიანების საგვარეული ქონებისა და ექსპონატების თავმოყრისთვის ჩატარებული ერთწლიანი დაუღალავი საქმიანობა 1921 წელს ნიკო დადიანის სასახლეში სამეგრელოს სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნით დასრულდა (დღევანდელი ზუგდიდის დადიანების სასახლეების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი).

რაც შეეხება ეკატერინე დედოფლის სასახლეს, მისი პომპეზური არქიტექტურული გადაწყვეტისა და მდიდრული მოწყობილობის გამო, ის საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე რეკომის განკარგულებაში აღმოჩნდა. აკაკი ჭანტურიას წერილებში იკვეთება დადიანების ქონების კერძო პირთა მიერ მითვისების, სასახლის სავალალო მდგომარეობის და განდალური დამოკიდებულების სურათი. სახალხო განათლების კომისრის განკარგულებით ხელში, მას, დიდი ძალისხმევის მიუხედავად ვერ მოუგვარებია მუზეუმის განთავსების საკითხი დედოფლის სასახლეში და მხოლოდ ქონების ნაწილის გამოფენის ნება მიუციათ ორანჟერეაში. ა. ჭანტურიას იმისთვის მაინც მიუღწევია, რომ ხუთი ოთახი დაეღუქათ, ბიბლიოთეკა კი, რომელიც ამ დროს ტუალეტად უქცევიათ, დაულუქავი დარჩენილა. ცოტა ხანში, რეკომის თავმჯდომარეს, ვითომდა მუზეუმის გაფართოების მიზეზით, იგი დედოფლის სასახლის ორანჟერეიდანაც გაუძევებია და ამ საქმისთვის მეორე (ნიკოსეული) სასახლე მიუცია.¹⁵

შემდგომ პერიოდშიც, პარტიული ფუნქციონერების თვალთახედვის არეში მოქცეულ დედოფლისეულ სასახლეში წლების მანძილზე რაიკომი, აღმასკომი და ამ ტიპის სხვა უწყებები იყო დაბინავებული, რა დროსაც შენობის ინტერიერის მხატვრული დამუშავება დაზიანდა.

1921 წლიდან ნიკო დადიანისეულ სასახლეში დაფუძნებულ მუზეუმს 1976 წლიდან დედოფლისეული სასახლეც გადაეცა, თუმცა მანამდე, ძეგლთა სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტებს, არქიტექტორ-რესტავრატორებს: ო. თორთლაძეს, რ. ცინცაძეს, ნ. აღხაზაშვილსა და გ.

¹⁵. იხ. გ. კალანდია, გამარცხული საგანძური, თბ. 2006, გვ.18

ვანხაძეს ნაგებობის აზომვა-ფიქსაცია განუხორციელებიათ. ამდროინდელი ნახაზების¹⁶ შედარება ძველ გეგმებთან მნიშვნელოვან ცვლილებას არ აჩვენებს, თუმცა დღევანდელ ვითარებასთან შედარებისას ირკვევა, რომ დავით დადიანის დროინდელი მარნის ბოძებიანი დარბაზი თაღების ამოშენებით 1912 წელს და მოგვიანებით – 1976 წელსაც, რამდენიმე სათავსად ყოფილა დატიხრული. დღევანდელ მდგომარეობასთან სხვაობა ჩანს კოშკური მინაშენის მესამე სართულზეც, სადაც ამჟამად იზოლირებული კიბის უჯრედი რეკომისდროინდელ ნახაზზე მიმდებარე სივრციდან გამოყოფილი არ ყოფილა, ასევე აღარ ჩანს მცირე ტამბური ამავე კიბის მიმდებარე სათავსში.

ამის შემდეგ, 1980-იან წლებში ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოში დამუშავდა სასახლის რესტავრაციის პროექტი, რაშიც ჩართული იყო არქიტექტორ-რესტავრატორი ჯავარი სალია. სამწუხაროდ, მისი ანგარიშები და ნახაზები არქივში არ ინახება.


შემდგომი, ფიზიკური სამუშაოების ეტაპი, 1982 წლის სექტემბერში დაუწვია „ინტურისტის“ სარესტავრაციო-სარემონტო ჯგუფს, რომლის მსვლელობაზე და წამოჭრილ პრობლემებზე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჯგუფის წევრის, ალექსანდრე ჩახვაშვილის მიერ შედგენილი სამუშაოების მოკლე მიმოხილვა:

„სარესტავრაციო ჯგუფს ევალებოდა გაეწმინდათ ოთახებში გასასვლელი კარებები, შეეკეთებინათ დროისა და ხმარების მიერ დაზიანებული ადგილები ამ კარებებზე; მოეხსნათ საღებავი კარ-ფანჯრების ჩარჩოებისათვის და რაც მთავარია აღსანიშნავად, ჩრდილოეთით (ეზოს მხარეს) მდებარე წაბლის ხისგან მოჩუქურთმებული აივნები და მათი მიმდებარე კედლები, რომელნიც დაფარული იყო სქელი საღებავის ფერით, ისე, რომ თითქმის ეს ჩუქურთმები აღარც კი ჩანდა, გაეწმინდათ და მკაფიოდ გამოეჩინათ ორნამენტი და ხის ფაქტურა. აგრეთვე ჩამოეხსნათ, გაეწმინდათ, დაზიანებული ნაწილები და ახლით შეევესოთ.

ამ ამოცანების გადაწყვეტა დაიწყო დიდი აივნის სვეტების, სვეტის თავების, ბაზების და მასთან მიმდებარე კედლის გაწმენდით (საღებავის სქელი ფენის გაცლით). საღებავის ზედაპირს უსხავდნენ სპეციალურ

¹⁶ აღნიშნული ნახაზები ინახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში

ქიმიურ ხსნარს, რის შედეგადაც საღებავი წებოვან მასად რბილდებოდა და იფხიკებოდა პატარა ნიჩბებით.“



17. დედოფლისეული სასახლის ჩრდილოეთი აივნის მიმდებარე კედლის მოხატულობა ალ. ჩაბუაშვილისეული ანაზომი, 1982 წ.

„ამ პროცესმა დაგვანახა რამდენიმე ფერისაგან მოხატული, როგორც აივნის მოაჯირი, სვეტები თავის ბაზებით და სვეტის თავებით, ასევე კედლის მარტივი, მაგრამ აივნების ჩუქურთმებთან და ფერთან შერწყმული მოხატულობა.

დადგა საკითხი შეგვეჩერებინა გულმოდგინე ფხეკა ხის ფაქტობრივ სახემდე, ნახაზების და ნახატების სახით წარმოგვედგინა პირვანდელი სახე. მან დაგვანახა, რომ მთელი სასახლის აივნის ჩუქურთმების და კედლის ეს ფერადი გამა წარმოადგენდა სპარსული სტილის მხატვრობის ნიმუშს“. შემდეგ ამას მოსდევს ა. ჩაბუაშვილის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, რომელიც საკმაოდ მწყობრად და სხარტად აქვს ჩამოყალიბებული, თუმცა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სამუშაოთა პროცესის განვითარება. იგი გულისტკივით აღნიშნავს – „ ... რატომღაც სარესტავრაციო სამუშაოების ამგვარ სრულყოფილ დამთავრებას რაღაც უშლის ხელს.“



18. დედოფლისეული სასახლის ჩრდილოეთი აივნის შედებილი სვეტები ფრაგმენტი XX ს-ის დასაწყისის ფოტოდან

„შეიძლება ჩანაფიქრით და სილამაზითაც უფრო ჯობდეს დავტოვოთ ხის ლაკირებული ფაქტურა და მიმდებარე კედელი ერთ ფერში, როგორც უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს რესტავრაციასთან.“¹⁷

აივნის კედლისა და სვეტების მოხატვაზე საარქივო დოკუმენტშიც არის გამახვილებული ყურადღება. იქ, სადაც ზამთრის ბაღში ჩასატარებელ საქმიანობაზეა საუბარი, სხვა სამუშაოებს შორის, როგორცაა: ხის თაღების დამუშავება, იატაკის ცემენტის ფილებით მოგება, კუპიდონის მარმარილოს ქანდაკებიანი აუზის მოწყობა, აღნიშნულია ასევე კედლებისა და კონსოლების მოხატვა ზეთის საღებავებით.

სამწუხაროდ, აივნის ხის ნაწილებზე, აღნიშნული ფერადოვანი ნახატის კვალი, რომელიც ამავე დროს კარგად იკითხება ერთ-ერთ ისტორიულ ფოტოზეც, მთლიანად დაკარგულია, თუმცა მოხატულობა აივნის მიმდებარე კედლებზე, სავარაუდოდ, ფრაგმენტულად მაინც უნდა

¹⁷. ალ. ჩახვაშვილი, დედოფლისეული სასახლე, ზუგდიდის დადიანის სასახლის სარესტავრაციო სამუშაოების მცირე მიმოხილვა, 1984 წ. 18.V. მიმოხილვა ჩართულია კომპანია „სენსონი“-ს მიერ 2007 წელს დამუშავებულ დადიანების ბაღ-პარკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების სადიაგნოსტიკო-სარეაბილიტაციო პროექტში

იყოს შემორჩენილი, რაც დაზუსტდება ძველის ნატურაში კვლევის ეტაპზე. ამ ვითარებაში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს აივნის მიმდებარე კედლის ალ. ჩახვაშვილისეული ჩანახატი, რაც ორიენტირად გამოდგება ზონდაჟების გაკეთებისას.

ვფიქრობთ, 1982 წლის რესტავრაციის დროს უნდა მომხდარიყო მარნის ჩაშენებული თაღების გახსნა, სასახლის მთავარი კორპუსის კოშკური მინაშენის კიბის უჯრედის გამოყოფა მომიჯნავე სივრციდან და ამ კიბის მიმდებარე სათავსში გამოყოფილი ტამბურის მოშლა.

2000-იანი წლების დასაწყისში დედოფლისეული სასახლეზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა (არქიტ. მ. ბუხაიძე, ინჟინერი დ. მარგველაშვილი), რომლის დროსაც ძველი მარნის დანესტიანებული დარბაზების მდგომარეობის გამოსასწორებლად განხორციელებულა იატაკზე ცემენტის ხსნარით რიყის ქვის ფენილის დაგება, ეზოს მხარეს არსებული დერეფნების იატაკის ცემენტის ხსნარით მოლესვა და ჩრდილოეთი ფლიგელის სარდაფის სართულში გარაჟებისა და ბოქსებისთვის გამოყენებული სათავსების გამოთავისუფლება და გარემონტება.

და ბოლოს, რამდენიმე წლის წინ, ე. წ. „იაპონური პროექტის“ ფარგლებში მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეეხო რამდენიმე საექსპოზიციო დარბაზს.

1.6 დასაცავი ფასეულობები და რეკომენდაციები

სამეგრელოს მთავართა ბოლო წარმომადგენლების XIX ს-ის რეზიდენცია ზუგდიდში მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ურთულესი ქარტეხილების გამოვლის მიუხედავად, ოდიშის მთავრის, დავით დადიანის ოჯახის წევრების აქტიური მოღვაწეობით შექმნილი ეს მიმზიდველი ისტორიული გარემო საინტერესო ეპოქის მაჯისცემას დღესაც აცოცხლებს.

კომპლექსის მნიშვნელოვანმა ნაგებობამ, დედოფლისეულმა სასახლემ დღემდე თითქმის უცვლელი გეგმარებით მოაღწია, თუმცა ნახევარი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა პარტიულ-ადმინისტრაციული დაწესებულებების ხელში ყოფნის პერიოდში იგი გაიძარცვა და ინტერიერის დამუშავებას სერიოზული ზიანი მიაღება.

სამწუხაროდ, მდიდარი ტექსტური საარქივო მასალის გვერდით ინტერიერის დიზაინის ამსახველი ნახაზები, ან ფოტოები არ შემორჩა, რაც ართულებს მის აღდგენას. მაგალითად, იმის გარკვევაც ძნელია, შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალში აღწერილი სპარსული დარბაზის გადაწყვეტა დიდ მთავარ მიხეილის სამუშაო კაბინეტის მსგავსად თბილისის მეფისნაცვლის სასახლეში (რაც ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზს უნდა გულისხმობდეს), განხორციელდა და დღემდე სრულად განადგურდა, თუ, სხვაგვარად განხორციელდა და იმანაც ვერ მოაღწია ჩვენამდე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფიზიკური სამუშაოების მსვლელობისას სიფრთხილით უნდა მოხდეს ყოველი ნაშთის გამოვლენა და დაცვა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

- მოსახსნელია მთავარი კორპუსის ჩრდილოეთ ფასადზე, უკანა ეზოსკენ არსებული ე. წ. ლაზური ხის აივნის მოაჯირების ქვემოთ, სართულშუა ზოლის არეში გაყოლებულ დეკორატიულ ხის ფრიზზე არსებული საღებავის ფენა, რადგან ის ამოვარდნილია საერთო გადაწყვეტიდან.
- აღ. ჩახვაშიელის ჩანახატი, რომელიც სავარაუდოდ, სწორედ სპარსული დარბაზის გარე კედლის მოხატულობას წარმოგვიდგენს, ვფიქრობთ, დარჩენილი უნდა იყოს ზევიდან დადებული ნაღესობის ფენის ქვეშ ლაზური აივნის მიმდებარე კედელზე, რის გამოც,

აუცილებელია ფრთხილად მოხდეს არსებული ნაღესობის მოცილება და ადგილზე გადარჩენილი ფრაგმენტების კონსერვაცია.

- თუ ინტერიერში შესრულებული ზონდაყებით კედლების ძველი დეკორატიული დამუშავებისა და გაფორმების კვალი არ გამოვლინდა, გამართლებული იქნება შპალერების შერჩევა იქვე, მუზეუმში დაცული ნიმუშების კატალოგიდან და სპეციალური შეკვეთებით მათი დამზადება.



19. ლაზური ხის აივნის დეკორატიული ხის ფრიზი

- სასახლის ფლიგელების ფასადებზე ცემენტის უხარისხო, დაზიანებული და დანესტიანებული ნაღესობა უნდა ჩამოიხსნას და შემდეგ მოხდეს მისი ხელახლა შელესვა, რადგან საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფასადების შელესვა თავიდანვე ყოფილა გათვალისწინებული. ამავე საბუთების მონაცემებით, არ არის გამორიცხული, რომ ლესვისთვის თავიდანვე გამოყენებული ყოფილიყო იმ დროისთვის ახალი და მოღური მასალა – ცემენტი, თუმცა გამოცდილება მისი თავსებადობის თაობაზე ნესტიან კლიმატთან ჯერ არ იქნებოდა დაგროვებული. დღეისათვის, საარქივო მასალისა და ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, აუცილებელია დაიგეგმოს გარედან შელესვა,

თუმცა ნაგებობის გაჯანსაღების მიზნით, მართებული იქნება ბათქაშის შემადგენლობის შეცვლა.

- ვფიქრობთ, საჭიროა დაიგეგმოს დავით დადიანისეული ღვინის მარნის დიდ დარბაზში კედლებიდან ნალესობის ჩამოხსნა, რაც სავარაუდოდ, არ უნდა შეესაბამებოდეს თავდაპირველ გადაწყვეტას. ამავე დროს, შეუღესავი აგურის კედლების გამოჩენა დარბაზს სიძველეს დაუბრუნებს, უკეთ გამოავლენს ხსნარის ფენით მიჩქმალულ შეისრული მოხაზულობის კედლის თაღს, ნიშას და საფეხურებს გვერდითი სათავსის მომიჯნავე კედელზე, რაც დამატებით სიცხადეს შეიტანს ადრეული ეტაპის სამშენებლო ფენაში. ნალესობის მოხსნა უნდა განხორციელდეს ფრთხილად, რათა არ დაიკარგოს ის კვალები, რაც ამჟამად დაფარულია.

- შეთეთრების ფენა ფრთხილად უნდა მოიხსნას მარნის მეორე, კვადრატულ სადგომშიც, რომლის ქვეშ მომწვანო შეფერილობის ნახატი გამოსჭვივის; თვით ამ შიდა ფენის დატოვებისა, თუ მოხსნის საკითხი კი, მხოლოდ მისი მხატვრული ღირებულებისა და მდგომარეობის დადგენის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს.

- აუცილებელია, მოიხსნას ძველი მარნის ორივე დარბაზში 2000 წლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაგებული რიყის ქვის ფენილი ცემენტზე, რაც არათუ ემსახურება მისი გაჯანსაღების მიზანს, არამედ პირიქით, ხელს უშლის სინესტის გამოშრობას; ამავე დროს, იატაკის ფენილი ფარავს ბოძების ბაზისებს, ამახინჯებს მათ პროპორციას, ცვლის არქიტექტურას და ინტერიერის მხატვრულ გადაწყვეტაში შეაქვს სრულიად შეუსაბამო ელემენტი.

- საჭიროა მოხდეს შიდა ეზოს მხარეს არსებული ე. წ. ლაზური აივნის II სართულის დეკორატიული ხის ჭერის დაზიანებული ნაწილებისა და ამ აივნის მიმდებარე მუშარაბის და ასევე, გრძელი ფლიგელის კიდეში არსებული კიბის უჯრედის შემომფარგლავი ხის მუშარაბის ამომტვრეული ფრაგმენტების განახლება, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას ანალოგიური ჯიშის ხის მასალა; ამ სამუშაოთა სათანადო ხარისხით შესასრულებლად აუცილებელია მოიძებნოს მაღალი რანგის ხის ოსტატი.

ვფიქრობთ, მართებული იქნება რეზიდენციის ტერიტორიაზე სამხრეთის მხრიდან არსებული ცენტრალური შემოსასვლელისთვის განკუთვნილ

აქურული ლითონის ჭიშკარს, რომელიც ამჟამად მოხსნილია და ჩრდილოეთი აივნის ქვეშ არის განთავსებული, ჩაუტარდეს შესაბამისი სარესტავრაციო სამუშაო და შემდგომ დაბრუნებული იქნას თავდაპირველი დანიშნულების ადგილზე, სადაც ამჟამად ჭიშკრის ასლია დამონტაჟებული.

დანართი. ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლესთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები

დედოფლისეული სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებული მოვლენების, ნაგებობის მდგომარეობის და გამოყენებული მასალების შესახებ, ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ადგილზე, მუზეუმში დაცული საქმეები, რომელთა შორისაა – „Дело Управления именными Князя Николая Давыдовича Мингрельского по именным находившимся в пользовании покойной Княгини Екатерины Александровны Дадиани По отстройке дома покойной Княгини в М. Зугдиди подрядчиками Кикодзе и Бернексом., (ს. /საკანცელარიო/ ა. /არქივი/ 236/47) ამ პაპკაში აკონსტრუირებული საბუთები 1882 წლიდან 1884 წლამდე;

„Дело управления заповедным именем князя Николая Давыдовича Мингрельского о постройке дома княгини Екатерины Александровны в м. Зугдиде через подрядчика Бернекса., (ს. ა. 5451) საქმე დაწყებულია 1883 წლის 20 ივლისს და მთავრდება 1884 წელს. აქვეა ჩართული ერთი საბუთი, რომელიც 1890 წლით არის დათარიღებული.

„Дело поверенного Светлейшего Князя Мингрельского по селениям Зугдидского Уезда, Владимира Константиновича Алшибая о расходах по реставрации Екатерининского дворца., (ს. ა. 5445); საქმეში 1901-1902 წლების სამუშაოების საბუთებია თავმოყრილი.

„Дело поверенного Светлейшего Князя Мингрельского по селениям Зугдидского Уезда Владимира Константиновича Алшибая, О расчете с материалом по устройству водопровода Екатерининского дворца., (ს. ა. 5447)

„Дело о расчетах с мастерами по реставрации Екатерининского дворца., (ს. ა. 5450)

არის ასევე, პატარა საქმე – „Дело о покупке и постановке балконных и лестничных перил.,,

დაცული მასალიდან ირკვევა, რომ დადიანების მამულთან დაკავშირებული საქმეების წარმოება ძირითადად რუსულენოვანი ყოფილა. დოკუმენტები, ქართულიცა და რუსულიც ძნელად გასარჩევი ხელწერით არის შესრულებული. დამკვეთსა და შემსრულებლებს შორის გართულებული ურთიერთობის ისტორიისა და მშენებლობის გაჭიანურების ამსახველ დოკუმენტებს მოკლედ, მხოლოდ საქმის არსში გასარკვევად

შევხეეთ, უშუალოდ შენობასთან დაკავშირებული საყურადღებო ინფორმაცია კი, ამონარიდების სახით დედნის ტექსტის დაცვით წარმოვადგინეთ; ადგილებში, სადაც ვერ მოხერხდა სიტყვის წაკითხვა გამოტოვებულია მანძილები.



20. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი

არქივში დაცულია 1882 წლის 12 იანვრის კონტრაქტი, რომელიც გაფორმებულია დადიანების ნდობით აღჭურვილ პირს, რწმუნებულ თომა ახელედიანსა და მენარდეებს (პოდრიადჩიკებს) – ქიქოძესა და პეტრუსოვს შორის მისი უგანათლებულებლობის თავად ეკატერინე მინგრელსკის სასახლის დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების თაობაზე. სამუშაო, როგორც ირკვევა უმთავრესად გხებოდა ძირითად კორპუსს, სადაც ყველა დაუმთავრებელი და ასევე, ჯერ დაუწყებელი საღურგლო საქმე უნდა შეესრულებინათ მენარდეებს, როგორც ყოფილა კარ-ფანჯრების დასრულება, დამზადება, ჩასმა და მორგება, ასევე პარკეტებისა და პლინტუსების გამართვა.

შემოკლებით მოგვყავს კონტრაქტის ტექსტი, ის საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ამ დროისთვის ნაგებობის მდგომარეობა. კონტრაქტი ითვალისწინებს: 1) ავანზალაში დაწყებული პარკეტის დამთავრებას და ამ ნიმუშის მიხედვით კიდევ 6 სხვა ოთახში მის დაგებას. ბორდიური უნდა გაკეთდეს №3 ნახატის მიხედვით (?); ყველა პარკეტს უნდა გაუკეთდეს პლინტუსები. დაწყებული კარ-ფანჯარა უნდა დამთავრდეს გეგმის მიხედვით

და ყველგან, სადაც დაწყებულიც კი არ არის იგი – უნდა გაკეთდეს ჩვენს მიერ, ასევე გეგმის შესაბამისად. აქვე აღნიშნულია, რომ კონტრაქტს ახლავს სპეციალური სია ყველა დაუმთავრებელი და დაუწყებელი საქმეებისა, რომელსაც ქიქოძე და პეტრუხოვი იღებენ თავის თავზე და იმასაც, თუ რაიმე გამორჩენიათ და შემდეგ გამოჩნდება. ზედა სართულის სამუშაოების გარდა ისინი ივალდებულებენ მთავარი შემოსასვლელის კიბესთან და ქვედა სართულში, შვეიცარიის ოთახში კარებისა და ფანჯრების ჩასმას. აღნიშნულია, რომ ჩააყენებენ ხელსაწყო-მოწყობილობებს კარ-ფანჯრებში; 2) მოხდება კარ-ფანჯრების მორგება ჩარჩოსთან და შუშის ჩასმა საკუთარ საგოზავზე (замазка); 3) ყველა აღწერილი სამუშაო უნდა შესრულდეს სუფთად და მკვიდრად, თუ რაიმე არ იქნება სათანადოდ დამუშავებული არქიტექტორის მოთხოვნით შეიცვლება დაუყოვნებლივ და ულაპარაკოდ; 4) ყველა სადურგლო საქმე უნდა დაიხვეწოს პემზით, ზეთზე და შემდეგ დაიფაროს ზეთოვანი ლაკით. ასეთ საგნებში შედის პლინტუსებიც; 5) ხე-ტყის მასალა აღწერილი საქმისთვის, ისევე, როგორც შუშა და ყველა კარ-ფანჯრის მოწყობილობები უნდა მოიტანოს მმართველმა ახვლედიანმა საჭირო რაოდენობით ყოველგვარი ხარჯის გარეშე მენარდეების მხრიდან, ხოლო სხვა დანარჩენი, როგორცაა საგოზავი, ზეთი, წებო, ლაკი და საჭირო ინსტრუმენტები, ეს მენარდეთა ვალდებულებაა; 6) ახვლედიანისგან საჭირო რაოდენობის მასალისა და ხელსაწყო-მოწყობილობების ჩაბარების შემდეგ, თუ აღმოჩნდება დანაკლისი, უნდა აანაზღაურონ მენარდეებმა; 7) აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩაბარდეს 1882 წლის 1 დეკემბერს; 8) შესრულებული სამუშაოსთვის ახვლედიანმა უნდა გადაუხადოს მათ ხუთი ათასი რუბლი.

ამას მოსდევს დანართი ამ კონტრაქტით ნაკისრი სადურგლო სამუშაოების ჩამონათვალისა:

- 1) 12 внутренних дверей доделать для них все недостающие к ним части, т.е. дверные палотна, джамы, софиты, грунты, наличники с тумбами и фрамуги.
- 2) 8 стеклянных створчатых дверей со всеми недостающими к ним частями, как то: переплеты, фрамуги, ставни, софиты, наличники с тумбами и грунты.
- 3) 5 окон со всеми недостающими частями как то переплеты, фрамуги, джамы, дополнительные софиты и джамы под окнами, ставни, наличники, тумбы и грунты.

- 4) 4 больших окна в зимнем саду и на парадной лестнице без ставень, наличников и джамов.
- 5) В нижнем этаже: парадные двери без джам и наличников, но с закладной рамой с кованной по чертежу, тут же 6 малых готических окон без джам и наличников. Тут же один маленькая одностворчатая готическая дверь.
- 6) В верхнем этаже в 7 комнатах дубовый паркет с плинтусами как описано в контракте. Из памятных дверей один будет в персидском вкусе по рисунку.
- 7) В чердаке: одно круглое окно согласно чертежу только переплет и закладная рама без
- 8) Одни 4 створные двери из площадки парадной лестницы в зимний сад навешана с наличниками, джамами и грунтом

Добавочные работы

1. Окрасить масляной краской крышу на главном корпусе, на башне, на флигеле и на турецком балконе водосточные трубы с восточной, с западной и южной сторон три раза чистыми белилами под настоящий цвет крыши. Исправить... работу с устройством свинцовых листов надстенных желобах, обшить парапеты листовым железом в замке штукатурки
2. Покрыть листовым железом крышу оранжереи и дровяного сарая с устройством их водосточных труб и подвального желоба . с трех сторон устроить орнаментальный гребень. Окрасить все в завершение под цвет главной крыши...
3. Покрыть листовым железом две постройки у восточного и западного углов двора состоящая из башен и двух к ним флигелей. Сделать к флигелям водосточные трубы и подвесные желоба и башни обвести кругом 2.5 вершковым гребнем, на первой из башен устроить ветрейник. Окрасить все это цветом по указанию Ея Светлости.
4. Железный, свинцовый и крашенный материал по первому пункту полагается на счет подрядчиков. Железный же материал для остальных 2 и 3 пунктов должны быть доставлены управляющим без всякого расхода со стороны подрядчиков. Доставка реек под железные листы на крыше оранжереи лежит на обязанности г. Ахвледиани и прибивка реек на обязанности подрядчиков.
5. За производство всех прописанных работ поверенный Ахвледиани обязан уплатить нам подрядчикам оптовую сумму 800 рублей в следующие сроки при заключении условия 200 руб. и за тем первого Марта 100 руб. и первого Апреля 100

руб; остальные же 400 руб. должны мы получить по осведетельствованию и приема работ 1 Июня к каковому времени вся работа должна быть окончена.

გარდა ამისა, 1882 წლის 27 მარტს შეუდგენიათ პირობა, რომელშიც ასახულია მასალებისა და სამუშაოთა განაწილება. ეს ნუსხა უფრო კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა როგორი ამბიციური პროექტის განხორციელება ყოფილა დაგეგმილი და რა მოლოდინი ჰქონია დედოფალ ეკატერინეს, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო ჩანაფიქრის განხორციელებას.

საქმეში ჩაკერებული ხელწერილიდან, რომელიც ეკუთვნის მენარდუ (подрядчик) ალექსანდრე ქიქოძეს, ჩანს, რომ იგი საქმეს 1882 წლის 24 აპრილს შედგომია.

ხელწერილს მოსდევს შენობის სხვადასხვა ნაწილებისთვის საჭირო მასალების მიახლოებითი გამოანგარიშება, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროისთვის სასახლის მთავარი კორპუსის მშენებლობა დაუმთავრებელი, ხოლო ფლიგელი – საერთოდ ხელუხლებელი ყოფილა. აქვე დაანგარიშებულია სამზარეულოს ასაშენებლად საჭირო მასალები და ...სამუშაოები, საიდანაც ჩანს, რომ საუბარი ეხება საკმაოდ მოზრდილ მოცულობას, რომელიც, ან დამოუკიდებლად უნდა აშენებულიყო, ან შენობაზე უნდა ყოფილიყო მიდგმული. მთელ ამ ანგარიშებში ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა გამოყენებული მასალების სახეობებისა და რაოდენობის გაცნობა (წვრილ-წვრილი ფასები გამოვტოვეთ და მხოლოდ ზოგადი თანხები მივუთითეთ).

ფლიგელის სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების მოცულობა ამგვარადაა დაანგარიშებული: კედლები ფლიგელის ქვედა სართულზე და ზედა სართულის ნაწილში – 530 კვ.საუ; იატაკის კოჭები – 180 ცალი; სუფთა იატაკი ორივე სართულზე 250 კვ.საუ. (დაფა 4 ცალი ერთ საუენზე = 1000 ცალი); სუფთა იატაკის დაგება – 250 კვ. საუ; ლურსმნები დასაჭედებლად; ჭერის კოჭები – 180 ცალი; ჭერის შეფიცვრა (подшивка) – 1000 დაფა; ლარტყები (рейки) – დაახლ. 500ც; „შავი ჭერი – და ამავე დროს ორი ოთახისთვის „შავი იატაკი“ – 1000ც; დაჭედება – 250 კვ. საუ; ლურსმნები ამისთვის; სუფთა ჭერი 2 ოთახში II სართულის – 32 კვ. საუ; დაფა 4 დაფზე (?) – 512 ც; შავი ჭერი ორ ოთახში II სართულის – 32 კვ. საუ; დაფა 4 დაფზე (?) – 512 ც; ჭერის კოჭები ორ ოთახში ზედა

სართულის – 20 ც.; ლარტყები – 60 ც.; დაჭედება (№№10, 11 12 და 13); ლურსმნები; საერთო შავი ჭერის ამოგოზვა – 250+32 კვ. საჟ.; მაუერლატი გრძ. საჟ. 233 ორივე სართულზე, ან ძელები –78 ცალი; ნივნივები (стропили) } დგარები (стойки) 90, მოპირკეთება (?) } დაფები – 200ც.; ლარტყები – 500ც.; ჩამოთვლილია დაჭედება, კავი /გამირი/ (скона), ლურსმანი და საერთო თანხაა ნახევნები; ფურცლოვანი რკინა – 350 კვ.საჟ.; დაჭედება, შეღებვა და ლურსმნები – გარკვეული თანხის;

შემდეგ ასევე ჩამოთვლილია პლინტუსები, ტიხრები, ძელები – საერთო თანხის ჩვენებით; შეღესვა და შეთეთრება შიგნით და გარეთ – 1000 კვ. საჟ.; ფანჯრები და კარები – 60 ცალი ხელსაწყო; ღუმელები და ქურები – 9 ცალი; ქვაბები; პარმალი (крылец) – 11 (?); კარების, ფანჯრების, იატაკის და ჭერი შეღებვა – 450 კვ. საჟ., ეს საქმე ერთი კვ. საჟ. შეფასებულია 1 მანეთად, მთლიანობაში 1000 მანეთი; ორი კიბე – 250 მანეთი; მასალებისა და კოჭების ატანა ზევით, ცალკეა გამოყოფილი და შეფასებულია 850 მანეთად; ფიცარნაგები (подмости) – 500 მანეთი; მოურავი – 2, სამუშაოების წარმოების მთელ მანძილზე – 800 მანეთი. მთლიანად ეს მშენებლობა შეფასებულია 26023 ვერცხლის მანეთად.

ცალკეა დაანგარიშებული ზოგად თანხებში გამოსატული სამი შენობის ღირებულება:

1. მთავარი კორპუსი – 44.893 მან.
2. ფლიგელი – 26.023 მან.
3. სამზარეულო – 4663 მან.

დაანგარიშებულია **სამზარეულოს** მშენებლობისთვის საჭირო მასალების რაოდენობა და შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი – კედლები (70 კვ. საჟ.); იატაკისა და ჭერის კოჭები და ნივნივები – 126 ძელი; შავი და სუფთა ჭერი და იატაკი – 144 კვ. საჟენი (1 საჟ. – 4 დაფა) 576 დაფა; დაჭედება ლარტყების, ჭერია და იატაკის – 80 მან.; ლარტყები შავი იატაკისთვის – 150ც.; მაუერლატი (33 გრძივი საჟენი) 12 ძელი; ამოგოზვა შავი იატაკისა და ჭერის – 80 მან. სამზარეულოს სახურავის შეფიცვრისთვის დაანგარიშებულია: დაფები – 64ც.; ლარტყები – 200ც.; ფურცლოვანი რკინა – 124 ფუთი. ფურცლების დაჭედება და შეღებვა – 130 მან.; ლურსმნები. ამას გარდა: ფანჯარა და კარი – 11 ცალი; ღუმელი და ქურა მოწყობილობით – 3 ცალი; კარ-ფანჯრისა და იატაკის შეღებვა, პლინტუსები; შეღესვა-შეთეთრება შიგნითა და გარეთ – 150 კვ. საჟენი;

პარმლი (крыльцо) – 1ც.; სარდაფი – დაახლოებით 300 მან; ჩანს, სამზარეულო ცალკე მდგომი, ან ფლიგელზე მიდგმული დამოუკიდებელი ნაგებობა ყოფილა.

საქმეში ჩაკერებული, მთავარი კორპუსის დასამთავრებლად საჭირო მასალისა და ღირებულების მიახლოებითი გამოთვლები ასე გამოიყურება:

ქვედა სართული – იატაკის კოჭები სიგრძით 3.1/2 საუენი – 166 ცალი; ლარტყები მისთვის – 300ც.; შავი იატაკი 174 კვ. საუ.; – დაფები (1 საუ. – 4 დაფა) – 696; ამოგლესვა /ამოგოზვა/ (отмазка) შავი იატაკის – 174 კვ.საუ.; დაჭედება შავი იატაკის (ლარტყები) – 174 კვ. საუ.; თეთრი იატაკის დაგება – დაფები 696; თეთრი იატაკის დაჭედება – 174 კვ. საუ.; ლურსმნები თეთრი იატაკისა და შავი იატაკის ლარტყების დასაჭედებლად. **ჭერის შეფიცვრა ნაღესობის ქვეშ:** დაფები 696 ცალი; ყავარი /ტკეჩი/ (драни) – 174 კვ. საუ.; ლურსმნები დაფებისა და ყავრის დასაჭედებლად; აღებასტრი – 1820 ფუთი;

ზედა სართული: კოჭები იატაკის და ასევე ჭერის – 166; მისთვის ლარტყები – 300; შავი იატაკი – დაფები 696 ცალი; შავი იატაკის ლარტყების დაჭედება 174 კვ. საუ.; შავი იატაკის ამოგოზვა; სუფთა იატაკის დაგება – 696 დაფა; დაჭედება სუფთა იატაკის – 174 კვ. საუ.; ლურსმნები შავი იატაკის ლარტყებისა და თეთრი იატაკის დასაჭედებლად; ზედა სართულის კედლების წყობა 92 კვ. საუ.; თლილი ქვის პლინტუსები შუა ფასადის ფრონტონის ქვეშ – 2 კვ. საუ. 10კვ. საუ.; აგურის კოლონები და თაღები წინა ფასადზე – 8 ცალი; კოლონების შუა ფასადზე – 5ცალი; შაბლონის მიხედვით გათლილი ზედა კარნიზი 4 მსრიდან სიგრძით 80 გრძივი საუენი, სიგანით 1/3 საუენი; верхи (?) ქვის ოთხი აივნის – 20 კვ. საუ.; კბილანები – 7 გრძივი საუენი; ფრონტონი – 5 კვ. საუ.; თლილი ქვის ბოძები ფრონტონის ქვეშ – 30 ცალი. **ზედა სართულის ჭერი (ასევე ქვედა სართულში):** კოჭები, ლარტყები, შავი ჭერი, მიჭედება, ამოგოზვა, მთელი ჭერის შეფიცვრა, ლურსმნები. (თანხები ნაჩვენებია რაოდენობის გარეშე). შიდა კედლების შეღესვა ორივე სართულზე; გარე კედლების შეღესვა – 275 კვ.საუ.; ხის ტიხრების მოწყობა, . . . ადგილები და სხვა წვრილმანები; კარები 37 ცალი მოწყობილობით, ფანჯრები 71 მოწყობილობით; კაკლის დაფების რაფები 71; ღუმელები და ბუხრები მოწყობილობით 18; უკანა აივნები 2; წინა და გვერდითი აივნები 6; პარმლი 1; პარადული კიბე; კიბე ბუფეტთან (თუჯის); მაუერლატები ორივე სართულზე გრძივი საუენი 268

(на 3 = брусьев 90); ნივნივები: ა) ძელები ბ) დაფები გ) ლარტყები დ) გამირები და ლურსმნები; ფურცლოვანი რკინა სახურავისთვის – 420 ფუთი; სახურავის დაგება და შეღებვა /1500 ფურცელი/; ფიცარნაგი. სულ მთავარი ნაგებობის ღირებულება 40123 მანეთი.

გალერეა: ცოკოლი 84 კვ.საჟ; ფილა –84 კვ. საჟ; გრძივი ძელი (ქვედა) სიგრძით 38 საჟ. (3 ძელი) = 13 ძელს; ბოძები –30 ცალი; ზედა გრძივი ძელი; ძელები სახურავის შეფიცვრისთვის (ფარდულის) 62; დაფები შეფიცვრისთვის 366; ფარდულის შეფიცვრა და შეღებვა 1260 ფურცელი; თუნუქი 252 ფუთი; ლურსმნები გალერეაში ყველაფრისთვის; სულ გალერეის ღირებულება 4070 მანეთი. ბოლოს გაკეთებულია განმარტება, რომ სამუშაოთა წარმოების მანძილზე საქმის ზედამხედველობისთვის საჭირო იქნება ორი მოურავი 700 მანეთი ხელფასით.

შემდეგ დაჯამებულია ეს ყველაფერი და გამოყვანილია მთავარი კორპუსის მშენებლობის მთლიანი ღირებულება – 44893 მანეთი. ბოლოს გაკეთებულია მინაწერი, რომ ამ თანხაში არ შედის: 1. შპალერის გაკვრა ოთახებში; 2. კარნიზის მოქროვილი /მოვარაყებელი/ თამასები (ВЫСОЛОЧЕННЫЕ ПЛАНКИ) და პლინტუსები; 3. იატაკების შეღებვა ორივე სართულზე.

როგორც საბუთებიდან ჩანს ა. ქიქოძესა და ზ. პეტრუხოვს სამუშაოს დაწყებიდან ივნისამდე ნაწილ-ნაწილ მიუღიათ გაწეული შრომის ანაზღაურება, თუმცა არასრულად.

ამავე წლის (1882) კიდევ ერთი საქმე (5451) უკვე გარდაცვლილი დედოფლის სასახლის დამთავრებისთვის საჭირო მასალების, სამუშაოების ჩამონათვალსა და გამოთვლებს შეიცავს, რომელიც მენარდე ქიქოძესა და ბერნეკს შეუდგენიათ. აქ ბევრი რამ მეორდება. განსხვავებული არის ასეთი პუნქტი: – კიბე 55 ფეხის დადგმა; თითო „პადელის“ კარები.

ერთ-ერთი საბუთით, 1883 წლის 11 იანვარს საფრანგეთის ქვეშევრდომი, თბილისელი ვაჭარი ეგგენი ბერნეკსი თბილისელი ნოტარიუსის ივ. პოლტორაცკის მეშვეობით ატყობინებს კნიაზ ნიკოლოზ მინგრელსკის რწმუნებულს, პრაპორშნიკ თომა ახვლედიანს, რომ 1882 წლის 17 ივლისს მას კნიაგინია ეკატერინე დადიანთან დაუდია ხელშეკრულება და უკისრია მთავარი კორპუსის მოსაპირკეთებელი და მოსაკაზმი სამუშაოები, რომელიც უნდა დაემთავრებინა 1883 წლის მარტში და უგანათლებულეს კნიაგინია დადიანს მისთვის 1882 წლის ნოემბერში

უნდა გადაეხადა 4 ათასი რუბლი. იმავე წლის აგვისტოში კნიაგინიას გარდაცვალების გამო მისმა მემკვიდრემ, ფლიგელ ადიუტანტმა ნიკოლოზ დადიანმა დამავალა შეთანხმებული სამუშაოების შესრულება, მაგრამ დათქმული ვადის გასვლიდან დღემდე, მიუხედავად წერილობითი შეპირებებისა, თქვენი მხრიდან ვერ მივიღე აღნიშნული თანხაო. ამ თხოვნაზე უარი შესაძლებლობას მისკობს ნაკისრი სამუშაოების დროზე დასრულებისასო და იქვე, ხსენებული შეთანხმების დარღვევაზე პასუხისმგებლობას მთლიანად კნიაზ მინგრელსკის აკისრებს.

ამას მოსდევს 1883 წლის 23 იანვრის წერილი თომა ახვლედიანისა ე. ბერნეკისადმი, იმის თაობაზე რომ მიიღო თბილისელი ნოტარიუსისგან ბერნეკის 11 იანვრის მიმართვა თანხის გადაუხდელობის შესახებ და იმის შესახებ, რომ ამ მიზეზით ვერ დაამთავრებს სამუშაოს დათქმულ ვადაში. აქვე ირკვევა, რომ თომა ახვლედიანი ბერნეკს შეხვედრია თბილისში და მოულაპარაკიათ სამუშაოს გადავადებაზე. იგი საყვედურით შენიშნავს, ვიმედოვნებ, ეს წერილი ჩვენს შეხვედრამდე იყო გამოგზავნილიო. მინგრელსკის რწმუნებული ისევ უხსნის ფულის მიუცემლობის მიზეზებს და ახსენებს თქვენ არ შეასრულეთ 7 პუნქტიანი შეთანხმებაო – დღემდე არ არის ჩამოტანილი ზუგდიდში უცხოური წარმოების ხელსაწყო-მოწყობილობები (приборы), ხოლო დეკემბრიდან დაწყებული კედლის ნალესობა უკვე დაზიანებულია, თითქმის მთლიანად ჩამოყრილია და მთელი სამუშაო 600 მანეთიც არ ღირსო. იგი სთავაზობს ბერნეკს ზამთრის პერიოდში სამუშაო შეაჩეროს და უხსნის, რომ შესაბამისად შეიცვლება ჩაბარების ვადაც. უთანხმდება წარმოებისა და ანაზღაურების ვადების ცვლილებების ნოტარიულად გაფორმაზე 15 თებერვლისთვის, ქუთაისში.

1883 წლის 16 თებერვალს ქუთაისიდან ნიკოლოზ დადიანს ატყობინებენ, რომ შეთანხმება ვერ მოხდა, ჩანს ბერნეკს ფულის მიღების იმედი რომ არ ჰქონდა ბათუმს წასულაო.

მომდევნო მიმოწერა 1883 წლის თებერვლის ბოლო დღეებში ეხება დამატებითი პირობების პროექტს, ხოლო 1883 წლის 20 თებერვალს ნიკოლოზ დადიანის რწმუნებულ პრაპორშნიკ ახვლედიანს და თბილისელ ვაჭარ ბერნეკს შეუდგენიათ ეს პროექტი.

1883 წლის 22 თებერვალს რწმუნებული ახვლედიანი ზუგდიდიდან უგზავნის თავად ნიკოლოზ მინგრელსკის რაპორტს, სადაც სთხოვს

გადაწყვიტოს სამუშაოს დამთავრების ვადების, თანხის გადახდის და ჯარიმის საკითხი. ეს თქვენს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

1883 წლის 28 ივლისის საქმიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ მინგრელსკის თავის რწმუნებულად ნიკოლოზ მალიშევი დაუნიშნავს, რომელსაც იგი პეტერბურგიდან უგზავნის პირობის ტექსტს, დადებულს მისი გარდაცვლილი დედის რწმუნებულს თ. ახვლედიანსა და საფრანგეთის ქვეშევრდომ ე. ბერნეკს შორის ეკატერინე დადიანის კუთვნილი სახლის მშენებლობის დასრულების შესახებ. ნიკო დადიანი სთხოვს მალიშევს ღრმად გაეცნოს ბერნეკის მხრივ ნაკისრის შესრულების საკითხს, გაერკვეს რამდენად აზრიანი და სასარგებლოა ნ. მინგრელსკისთვის თ. ახვლედიანისა და ე. ბერნეკის მიერ შედგენილი დამატებითი ხელშეკრულების პროექტი. ასევე სთხოვს გაეცნოს შესრულებულ სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში **სპეციალისტი არქიტექტორიც ჩართოს** და საქმის საჭიროების გამორკვევის შემდეგ მისწეროს თავისი დასკვნა როგორ შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა უკეთესი დასრულებისკენ. შეახსენებს, ასევე, რომ მალიშევმა ამ დასკვნასთან ერთად დააბრუნოს თანდართული ქაღალდები და წარმოადგინოს პროექტები ყველა პირობაზე, რომელსაც ის მიიჩნევს აუცილებელი და სასარგებლო ხელშეკრულების დასადებად.

1883 წლის 12 ოქტომბერს ნ. მალიშევი თავად ნ. მინგრელსკის 21 აგვისტოს ბარათის დამატებად უგზავნის ვრცელ წერილს შესწავლილი საკითხის ირგვლივ. რწმუნებული მალიშევი თავადის დავალებით, საქმეში გარკვევის მიზნით რამდენჯერმე შეხვედრია თბილისში ბერნეკს, განუხილავს მასთან ერთად დედოფალთან დადებული კონტრაქტი და აღნიშნავს, ბერნეკის პირველ ყოვლისა უარყოფს მე-7-ე პუნქტის შეუსრულებლობას და ამტკიცებს, რომ ნოემბრის თვეში უცხოური საქონელი ხელთ ჰქონდა, მაგრამ დედოფლის გარდაცვალების გამო გაურკვეველი იყო მშენებლობის გაგრძელების საკითხი. მალიშევი ეჭვობს, დღეს გაჭირდება საპირისპიროს მტკიცება, რადგან ბერნეკის მიმართ თავის დროზე საჩივარი არც აქტივით, არც ნოტარიულად არ გაკეთებულა აღნიშნული ფაქტის დასაფიქსირებლად (როგორც სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, ამ დროს დედოფლის შთამომავლები დაკავებული ყოფილან მისი ქონების გადაფორმებით), ახლა კი, მას თბილისში აქვს საჭირო მასალა, როგორცაა ბუხრები, შპალერები, ბალუსტრადები, კარ-ფანჯრის

ხელსაწყო-მოწყობილობები და ა. შ. მაღიშევს, ასევე გაუკითხავს ბერნეკის შესახებ და გაურკვევია, რომ ის საქმის მცოდნე, ენერგიული, საკმაოდ მდიდარი და ძუნწი ადამიანია. მისი დაანგარიშებისა და გამოთვლების შემოწმება რთულია, ხოლო რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულებს საქმეს, ამის განსაზღვრაც ძნელია წინასწარ, 24311 ვერცხლის მანეთი კი, რასაც იგი ითხოვს, საკმაოდ სოლიდური თანხაა და ამიტომ მაღიშევი თავადისგან ინსტრუქციებს ითხოვს; ასეთი თანხის გაცემისას აუცილებლად მიაჩნია, რომ არქიტექტორის, ან, თუნდაც მისი მეთვალყურეობით, მოთხოვნილი იყოს კონტრაქტის შესრულება მთელი სიზუსტით. მაღიშევი წერილს თან ურთავს იმ უცხოური საქონლის ჩამონათვალს, რომელიც ბერნეკს ჩამოუტანია ხელშეკრულების შესაბამისად (ტექსტის ენა დაცულია, იმ სიტყვების ადგილას, რისი წაკითხვაც რთული ხელწერის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, დატოვებულია ინტერვალები):

Заграничные товары

1 Ватер-Клозет (უნიტაზი) №1-180 руб.; 1 Ватер-Клозет №2-35 руб; 1 мраморная ванна - 480 руб. Куб - 125 руб.; 1 железный резервуар в 120 ведер - 180 руб.; 2 жел. рез. для Ватер-Клозет – 50 руб. 105 футов железных труб 1,5 дюим - 157 руб.; 1 насос - 150 руб.; 455 футов маленьких труб 1 дюим - 455 руб.; 3 крана - 36 руб.; 42 фута цынка вих труб 3 дюим - 105 руб.; 1 ваза со статуей купидона - 300 руб.; Розетки (?) для труб; 3 крана ... 45руб.; 30 арш. чугунной болюстрада для перила лестницы – 1050 руб.; 60 пуд колонны и столбов чугунной для балкона – 600 руб.; 4 камина чугунных полных – 1000 руб.; один камин мраморный в салон - 400 руб.; 1 камин в уборную - 150руб.; 3 очага каминных для персидской залы, спальни и столовой – 240 руб.; 3 убранства для каминов распашныя – 120 руб.; 5 убранств для каминов обыкновенных – 50 руб.; 2 доски со щетками при входе для чистки ног - 40 руб.; 48 медных прутьев со столбиками - 168 убр.; 30 отливок медных для; 17 паркету; Полный прибор для дверей, и окон, для ~~Еатг~~ большой лестницы, зимнего сада, салона, еще салона, персидской залы, уборной, спальни, купальни, коридора, кабинета и столовой.

3 системы внутренних звонков с орнаментом и один звонок из ручкой. – 300 руб.;

4 умывальника - 40 руб.

Всего : иностранных товаров на 8004 руб.

Работа с материалом 11785 руб.

Скидки 1789

18000 руб.

Распределение предметов и работ означенных в условии /27 марта 1882 г./

Entrée

1. Сделать дубовую входную дверь натурального цвета с прибором чугунной расписной (узорчатый)
- 2 Сделать свод заграничного кирпича
- 3 Сделать штукатурку стен и свода
- 4 Сделать пол из плит *Le beton agglomeré*
- 5 Сделать оклейку стен обоями и украшения под мрамор

Большая лестница

1. Сделать верхнюю площадку для подъема лестницы из железа с внутренней стороны из кирпичного свода для поддержки ступень лестницы
2. Выложить ступени ум.....вья, принадлежащая Княгине
3. Сделать Багдад с потолком, штукатурку
4. Поставить бронзовый барьер к большой лестнице, сделать перила и позолотить барьер /раму/.
5. Поставить полный чугунный камин /печку/
6. Украсить стенки и обоями с рисунками под мрамор

Зимний сад

1. Сделать штукатурку стен и потолка, деревянные своды и Багдад
2. Сделать пол из цементовых плит
3. Доставить бассейн с мраморной статуей купидона
4. Украсить стены и консоли с рисунками маслянными красками

Передний зал

1. Потолок Багдад и штукатурка стен и потолка

2. Украшение стен и потолка обоями Помпейском вкусе
3. Поставить чугунный камин полный Помпейском вкусе

Большой салон

1. Потолок Багдад и штукатурка сней на потолке
2. Сделать украшение потолка из *Papier-mache* стиль *Марии Антуанеты*, также стены оклеить в стиле *Марии Антуанеты*, с пилястрами из *Papier-mache*
3. Поставить большой камин в том же стиле из белого мрамора, ширина 2 арш. 8 верш., глубина 10 верш.

Персидская зала

1. Сделать деревянный свод в потолке Багдад, штукатурку стен и потолка
2. Сделать украшение стен и потолка в Персидском вкусе из белого алебаstra во вкусе рабочего кабинета занимаемого в тифлисе Вел. Кн. Михаила
3. Сделать камин в Персидском вкусе в ровень(?) того который находится в означенном кабинете только из кирпичей с Персидским орнаментом
4. Приспособить к етому камину выступ чтобы поставить часы
5. Сделать вокруг комнаты этажерку персидскую, чтобы ставить на ней

Туалетный кабинет

1. Потолок Багдад, штукатурка стен и потолка
2. Поставить полный мраморный камин
3. Украшение стен и потолка обоями во вкус Людовика XV

Спальня

1. Потолок Багдаг штукатурка стен и потолка
2. Каменный камин поставленный Княгинею
3. Украсить стены обоями цвета *Jaumon* (желторозовый) с бисерами черными с золотом

Комната для купания

1. Поставить Вотер- клозет №1 и стелаж
2. Сделать к нему шкаф
3. Поставить и устроить мраморную ванну
4. Устроить куб для нагревания воды

5. Поставить чугунный камин полный
6. Сделать фаянсовые украшения стен и потолка маслянными картинами
7. Багдад и штукатурка стен и потолка
8. Устлать пол цементовыми плитами
9. Поставить чугунный камин

Столовая

1. Потолок Багдад, штукатурка стен и потолка
2. На холсте украшения из *Papier-mache* вкусе как камин
3. Сделать цоколь из натурального дуба как камина и этажерку со стеклами
4. Украшение стен из *Papier-mache* и обоями цвета *Cuir le Coeb*.
5. Поставить камин, дуба у княгини
6. Устроить резервуар и проести воду по трубам из Ватер-клозета (?) ванна сад.

Работа с материалами

1. 29 арш. столярных работ на чугунных болванок
2. 5 арш. орнаменту арабского
3. 114 саженой потолка багдад
4. 104 саж. потолка *revitement*
5. 30 саж. сводов деревянных
6. 900 саж. штукатурки
7. Обои и карнизы в 9 комнатах
8. Своды кирпичные в прихожей
9. Своды кирпичные и чугунные столбы для большой лестницы
10. Постановка лестницы
11. Работы из *Papier-mache* в большом салоне
12. Работы в персидском салоне
13. Столовая
14. Работы с клей из *Papier-mache*
15. Устройство водопроводов
16. Постановка перил большой лестницы
17. Устройство балконов чугунного и арабского (?)
18. Устройство полов из цементных плит

Всего - 11780 руб.

1884 წლის 24 მარტის ერთი წერილი, რომელიც თავად ნ. მინგრელსკის საოჯახო საბჭოს ბლანკიან ქაღალდზეა შედგენილი და რომლის ადრესატი თავადის რწმუნებული ნ. მაღიშევია, კვლავ თ. ახვლედიანსა და ე. ბერნეკს შორის 1883 წელს შედგენილ დამატებითი პირობების პროექტს ეხება. აქედან ჩანს, რომ ამ დროისთვის საკითხი ისევ გაურკვეველი ყოფილა.

1884 წლის 23 აპრილის წერილის ტექსტიც იგივე საკითხის ირგვლივ ტრიალებს, მენარდე ბერნეკსი დადიანის რწმუნებულ ნ. მაღიშევისთვის გაგზავნილ წერილში, კვლავ ეხება ეკატერინეს სასახლის მორთვა-გაწყობის მის მიერ ნაკისრი სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზს და აღნიშნავს, რომ შეთანხმების მე-7 პუნქტის მიხედვით ის ვალდებული იყო 1882 წლის ოქტომბერში კარ-ფანჯრების ხელსაწყო-მოწყობილობები გადაეცა ადგილობრივი მენარდეებისთვის ადგილზე მათ მოსარგებად, თუმცა დედოფლის გარდაცვალებისა და თანხის მიუღებლობის გამო მათ უარი განაცხადეს სამუშაოების გაგრძელებაზე. 1882 წლის სექტემბერში მას თავადი ნ. მინგრელსკის ნებართვით უწარმოებია მოლაპარაკება მენარდე ა. ქიქოძესა და ზ. პეტრუხოვთან, მიუღია გადაწყვეტილება შეეწყვიტა მათი კონტრაქტი და რწმუნებულ თომა ახვლედიანის ხელით გაუსწორებია მათთვის ანგარიში.

ამის შემდეგ მას თ. ახვლედიანთან ერთად შეუდგენია ახალი პირობა და მენარდეებთან დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულებაზე 6310 რუბლი მოუთხოვია დამოუკიდებლად მისი ძირითადი კონტრაქტისა. ამაზე თავად მინგრელსკის უპასუხია, რომ მას არ ჰქონდა მიღებული დამატებითი სამუშაოების პროექტი და ეს საქმე აქამდე არ მოგვარებულაო.

საგულისხმოა შენობის მდგომარეობის აღწერა, რომელსაც 1884 წლის აპრილის წერილში ბერნეკსი კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნისას ეხება: „Черного пола нет, паркета нет, дверей нет, окон нет. Осмеливаюсь спросить вас: какия чистыя работы и украшения могу я производить? Даже и крыща во многих местах протекает.“

წერილის ამ ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, კვლავ რა სავალალო მდგომარეობაში ყოფილა სასახლე. 1890 წელს მინგრელსკის საქმეთა რწმუნებული, ნიკოლოზ მაღიშევი ქუთაისში სწერს სასამართლოს რწმუნებულ დავით ლორთქიფანიძეს, თავადს სურს, თუ გვაქვს მოგების

შანსი, აღძრათ დაწესებული წესის მიხედვით საჩივარი ბერნეკსისგან 10000 რუბლის ამოღების თაობაზე %-ებით, რომელიც მან მიიღო ზუგდიდის სახლების დასრულებისთვის. ამავე დროს თავადს სურს გადმოუგზავნოს სასამართლო საქმეების სიები და აუხსნათ როდის დაიწყო და რით დამთავრდა ისინი, ან რომელიც არ დამთავრებულა სადაა მათი წარმოება, ან რატომაა გაჩერებული. იქვე ირკვევა, რომ 1888 წელს წარმოებული საქმეების სია ლორთქიფანიძისგან შეტყობინებული მალიშევს უკვე გადაუცია თავადი დადიანისთვის.

მთელი ამ დაუსრულებელი მიმღწერის მიხედვით აშკარა ხდება დედოფალ ეკატერინეს გარდაცვალების გამო მშენებლობის საქმე როგორ დაბრკოლდა. ჩანს, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, ერთი უმთავრესი ნიკოლოზ მინგრელსკის დაკავებულობაც იქნებოდა; ქართველი თავადი, რომელიც 1878 წლიდან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი იყო, ხოლო 1886 წელს მას იმპერატორი ბულგარეთის მთავრის კანდიდატადაც კი განიხილავდა, ხშირად საქართველოში არ იმყოფებოდა; უმნიშვნელო არც ბერნეკსის ფაქტორი ყოფილა, რაც აშკარად იკვეთება შემორჩენილ საბუთებსა და კორესპოდენციებში. სასახლეების მშენებლობასთან დაკავშირებული იმ საბუთების გარდა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, მე-20 საუკუნის დამდეგამდე სხვა არაფერი შეგვხვედრია.

1901-1902 წლების საქმე (5445) – Дело поверенного Светлейшего Князя Мингрельского по селениям Зугдидского Уезда Владимира Константиновича Алшибая, О расходах по реставрации Екатерининского дворца, გარდა სხვადასხვა ხელწერილებისა შეიცავს სასახლის რესტავრაციისთვის გამოყენებული მასალების ჩამონათვალს, მათ შორისაა: ცემენტი, ბაწარი, ლურსმანი, არშინი მარლა, კაუჭები, ხრახნები, საღურგლო წებო, ფანჯრის შუშა, თუჯი, სკიპიდარი, ზეთუნის ზეთი, ლაკი ზეთზე, ფურცლოვანი რკინა, თხელი რკინა, თვალი სარკე, კლიტე „ამერიკანსკი“, ტილოს ზუმფარა (шкурка), ნიჩაბი, თუჯის პატარა კარი (ალბათ ღუმელის), მწვანე საღებავი, მუყაო, საღებავის ჯაგრისი, ფანქარი, ძმარი (ბავრჯერ მეორდება), ცარცე 10 გირი (ალბათ გირვანქა), გირი საჟი, გირი კალა, გირი ფქვილი, გირი წებო, თოფი შპალერი, გირი ოხრა, გირი კუპაროზი (შაბიამანი), ბელილა, უღტრამარინი, ბ. ესენცია, საპონი, ზეთი მოხარშული, თეთრი თუნუქის ფურცელი; ზოგი მოთხოვნა ჩანს გაკეთებულია ერთი ტიპის სამუშაოსთვის; ასე უნდა იყოს 4 თებერვალს

მოთხოვნილი მასალები: 10 გირი კუპაროზი, 1 ბ. ესენცია; 5 თებერვალი: 3 გირი ულტრამარინი, 6 გირი ფქვილი; 6 გირი საპონი; მოსატან მასალებში არის ცემენტიც.

არის საბუთი ღუმელების ნაწილების ჩამოტანაზე ახალი სენაკიდან; მითითებულია თოკი მიღებისთვის, ბლოკისთვის; არის საბუთი გამირების, კირის შექმნაზე; სამწუხაროდ, ჩანაწერს – ანდრია ჩაგინავას ზამასკის მომზადებაზე – მხოლოდ ამისთვის გამოსაყენებელი მასალების ჩამონათვალი არ მოჰყვება; მოთხოვნილია ასევე, ღუმელი ალებასტრის გამოსაწვავად, შეშა ამისთვის; ცარცი, მარილი და ულტრამარინი შესათეთრებლად; ტყვია, მუავა იატაკისთვის („კისლატა პოლისთვის“), მარილი, ნარმა, ნახშირი, თაფლის სანთელი (სამთელი), სარკე, მუავა („კისლატა“) და ნახშირი, ნიშადური, კიბის „პეტლები“, ქლიბი, „შპილკა“, თაფლის საწური და სხვა.

შემდეგი პატარა საქმე (5447) – Дело поверенного Светлейшего Князя Мингрельского по селениям Зугдидского Уезда Владимира Константиновича Алшибая, О расчете с материалом по устройству водопровода Екатерининского дворца, ეხება სასახლის წყალგაყვანილობას, რომელშიც 1901 წელს ჩართული ყოფილა ვინმე გრიგორი გაბუნია და მას ანაზღაურება მიუღია ვ. ალშიბაიასგან.

5459 საქმეში ჩართულია პატარ-პატარა ხელწერილები სასახლის სარესტავრაციო მასალების შესყიდვაზე მოსახლეობისგან. მაგალითად არის ასეთი ხელწერილი: „1901 წელსა აპრილის 13 დღესა მე მიხაილ ქარდავამ მივიღე თქვენს სამეგრელოს თავადის ვეჭილის ვლადიმერ ალშიბაიასგან ასი მანეთი ამის წაბლის ფიცრებისათვის. ერთადვე გადმოტანისა სოფელი ჯვარიდან ს. რუხს და მას შინა ხელს ვაწერ. მიხაილ ქარდავა. რადგან მან წერა არ იცის მისის თხოვნით მისს მაგიერ ხელს ვაწერ ვანო ქავთარაძე.“

ვ. ალშიბაიას წაბლის ფიცრები კიდევ ბევრი პირისგან შეუქმნია სხვადასხვა ფასად, სხვადასხვა სოფელში.

აქვე არის ანგარიში აგურისა და კირის შექმნაზე, ასევე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა რაოდენობით.

არის 1902 წლის ხელწერილები სარესტავრაციოდ დიდი რაოდენობით ცემენტის შექმნაზე – 6 „ბოჩკა“, 1, 10 და ა. შ.

დაანგარიშებულია გასავალი სასახლის სარესტავრაციოდ სარკეების შექმნაზე.

ჩართულია შესაძენი საღებავების ანგარიშები: ბელილა, ულტრამარინი, მოხარშული ზეთი, ол. масло (ზეითუნის ზეთი?); ამას გარდა ტყვია, თუჯი, კიბის „საკლიტავი“, სკიპიდარი.

ცალკეა დაანგარიშებული სარესტავრაციოდ საჭირო რკინის მასალა ასეთი ჩამონათვალით: რკინა „რეზნოი“, ურმის რკინა, „გრანიცის“ რკინა, კიბის რკინა, რკინა რუსული და წვრილმანები: „პეტლი ამერიკანსკი“, ლურსმანი, ხელის ხერხი, ქლიბი, „შკურკა“ და ა. შ.

ცალკეა ასევე: Дело о покупке и постановке балконных и лестничных периев, 1901 წლის.

ერთ საქმეში (5450) ჩართულია რესტავრაციაში მონაწილე ხელოსნებთან წარმოებული ანგარიშები. არის მაგალითად ხარატის ხელწერილი „ძველი კლიტეების გასაპაჩინებლად“.

მუზეუმის არქივში ასევე, დაცულია 1902 წლის გასაველების ჟურნალი, სადაც არის ჩანაწერი: „Запложено технику Кутайской почтово-телеграфной канторы Кн. Илье Цулукидзе, по счету его за проведением электрических звонков в канторе и покупку новых элементов.“ ჩვენთვის უცნობია სად იყო კანტორა, რომელიმე სასახლეში, თუ დამოუკიდებლად მდგარ შენობაში, თუმცა 1902 წლისთვის ელექტრო-ზარების გაყვანის ფაქტი მინგრელსკის მამულში, თავისთავად საინტერესოა.

2. ტექნიკური მდგომარეობის აღწერა და ტექნიკური რეკომენდაციები

2.1 აღწერა და არსებული ფიზიკური მდგომარეობა

სასახლის შენობის მზიდი კედლების კონსტრუქცია წარმოადგენს წითელი აგურის და ნაწილობრივ გათლილი ქვის წყობას, რომელიც შესრულებულია კირის ხსნარზე. შენობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ცენტრში ისტორიულ უბანში.

შენობა მთლიანად და მისი მზიდი კედლებიც საკმაოდ კარგ კონსტრუქციულად მდგრად მდგომარეობაშია, თუმცა არსებობს მთელი რიგი დაზიანებებისა, რომლებიც მოითხოვს საკმაოდ დიდი აღდგებითი სამუშაოების ჩატარებას.

აღსანიშნავია, რომ სასახლის შენობის კომპლექსი წარმოადგენს ორ სხვადასხვა დროს აგებული ნაგებობების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კონსტრუქციულ კავშირშია; ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი და აღიქმება როგორც ერთი ნაგებობა. მიუხედავად ამისა შენობას ჯდენითი და სეისმური ზემოქმედების შედეგად მიღებული დეფორმაციები არ აღენიშნება.

შენობას უმნიშვნელო ჯდენითი დეფორმაციები აღენიშნება ცენტრალური შესასვლელის თაღის შეისრული კამარის ცენტრში. სავარაუდოდ თაღის კამარის დეფორმაცია გამოწვეულია შესასვლელის მარჯვნივ მდებარე კოლონის საძირკვლის გამორეცხვით, სახურავიდან წვიმის წყალი ჟოლობით პირდაპირ ჩაედინება ამ საძირკვლის უშუალო სიახლოვეს.

იგივე სიტუაციაა ამ უბნის სიახლოვეს შენობის კუთხეში ბადის მხარეს, აქაც დეფორმირებულია კედლის ცოკოლის ნაწილი, ზუსტად იგივე მიზეზებით.

სასახლის შენობის აგებისას არ ყოფილა მიღებული რაიმე ანტისეისმური ღონისძიება. თუმცა მისი ორივე ნაწილი აგებულია საკმაოდ მყარად და ხარისხიანად.

ჩემს მიერ ვიზუალური დაკვირვებისა და შესწავლის შედეგები:

1. შენობას არ გააჩნია ერთიანი სარტყელი, რომელიც შეკრავდა მის კედლებს და სახურავთან ერთად ერთიან სივრცით კონსტრუქციას

შექმნიდა. თუმცა იგი აგებულია მყარად და ხარისხიანად. შენობას სეისმური ზემოქმედებისაგან წარმოქმნილი დეფორმაციები არ აღენიშნება.

2. შენობის მზიდი კედლები აგებულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასალით: მის წყობაში გამოყენებულია აგური და დამუშავებული ქვის მცირე ზომის ბლოკებით. წყობა შესრულებულია კირის ხსნარზე. კედლის წყობას დეფორმაციები და ბზარები არ აღენიშნება.

3. სასახლის ძირითადი ნაწილის ფასადი მოპირკეთებულია თლილი და ბუნადირებული ბუნებრივი ქვით. შემდეგ აშენებული ნაწილის ფასადის კედლები შელესილია, ძირითადად ქვიშა-ცემენტის ხსნარით. ქვით მოპირკეთებული ფასადი ერთი შეხედვით ონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია, თუმცადა შეიმჩნევა ფრაგმენტალური დაზიანებები, რაც ძირითადადში გამოწვეულია კედელში ჩატანებული ლითონის ანკერების კოროზიით. საჭიროა მიმანია მხოლოდ გაწმენდა და დამუშავება კოროზიის საწინააღმდეგო ხსნარებით. მაგრამ ფასადის ის ნაწილი, რომელიც ქვიშა-ცემენტის ხსნარით არის შელესილი, დაზიანებულია, მთლიანად გასაწმენდი და ხელახლა შესალესია.



21. ფასადის მოპირკეთება თლილი და ბუნადირებული ბუნებრივი ქვით

4. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასახლის შენობის სართულშუა გადახურვები – ეს არის სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული კონსტრუქცია:

ა) გადახურვა ხის კოჭებზე – გვხვდება შენობის მთავარ, ცენტრალურ ნაწილში; აგურის მზიდ კედლებს შორის გადებულია დიდი ზომის ხის კოჭები და მათზე მოწყობილია იატაკის ფენილი ზემოდან,

იატაკის ფენილის ქვეშ კი ე.წ. შავი იატაკი დათბუნებითა და ბგერაიზოლაციითაა გაკეთებული (აქ არის მიწის ნაყარი ხის ფენილზე). ხის გადახურვები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, გარდა აივნებისა. აივნის კონსტრუქციები მოითხოვს საფუძვლიან რესტავრაციასა და გამაგრებას. ზოგან აუცილებელია მათი მთლიანად შეცვლა.

ბ) თაღოვანი გადახურვები, შესრულებული აგურის წყობით, კლასიკური მეთოდით – გამოყენებულია მიშენებული ნაწილის და ორი შენობის შემაერთებელი უბნის პირველი სართულის გადასახურად. აღსანიშნავია, რომ თაღური გადახურვები შენარჩუნებულია კარგ კონსტრუქციულ მდგომარეობაში, ბზარები და დეფორმაციები არ აღენიშნება. აგურის თაღები შელესილია კირის ხსნარით. ლესვის ძირითადი ნაწილი დანესტიანებული და დაზიანებულია, მოითხოვს შეკეთებას და განახლებას.



22. აივნის კონსტრუქცია

გ). რკინაბეტონის მონოლითური ფილები ლითონის კოჭებზე – ძირითადად განლაგებულია მიშენებული ნაწილის პირველ სართულზე და კიბის უჯრედებში. იგი დამაკმაყოფილებელ, კარგ კონსტრუქციულ მდგომარეობაშია, მაგრამ საჭიროებს შეკეთებას, კონსტრუქციის ლითონის ნაწილის რევიზიას და დამუშავებას ანტიკოროზიული საშუალებებით. აუცილებელია რკინაბეტონის კონსტრუქციაში მოყოლილი ხის ელემენტების ანტისეპტიკური საშუალებებით დამუშავება.



23. ჭარბი ტენიანობის გამოვლინება

5. მიუხედავად იმისა, რომ შენობის მზიდი კედლების კონსტრუქციული მდგრადობა დღესდღეობით ეჭვს არ იწვევს, საგანგაშოა მისი ინტენსიური დატენიანება. ჭარბი ტენის გამო დაზიანებულია ფასადის კედლის ცოკოლის ნაწილები, განსაკუთრებით, შენობის მოგვიანებით მიშენებულ ნაწილში. აგურის წყობის ფასადის მხარე იშლება შეხებისაგან. უცილებელია კედლების ფრაგმენტული გამაგრება არმატურის ბადეებითა და ქვიშა-ცემენტის შელესვით, რის შემდეგაც შესაძლებელია მთლიანი კედლის შელესვა კირის ხსნარით.

ჭარბი დატენიანების პრობლემები ჩანს შენობის ყველა ოთახში, ყველა სართულზე. ეს აიხსნება ბუნებრივი განიავეების არარსებობით, შენობის მზიდ კედლებში მშენებლობის დროს გაყვანილი სავენტილაციო და საკვამლე არხები დღეისათვის დაგმანული და გაუქმებულია და არ ფუნქციონირებს. უნდა მოხდეს მათი აღდგენა და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი განიავეების მოწყობა, რისთვისაც აუცილებელია ვენტილაცია-კონდიციონერების პროექტის დამუშავება.

6. ასევე აღსანიშნავია, რომ მშენებლობის დროს სასახლის გარშემო მოწყობილი იყო სადრენაჟო სისტემა სახურავიდან ჩამოდინებული წვიმის წყლის ტერიტორიიდან გასაყვანად, მაგრამ დროთა განმავლობაში, მოუვლელობის გამო, მისი ფუნქციონირება დაირღვა და წვიმის წყალი ტერიტორიიდან სერიოზული შეფერხებებით გადის. საჭიროა შენობის მთელ პერიმეტრზე სადრენაჟო გაღერვის მოწყობა სავენტილაციო დიოებით. ამისათვის აუცილებელია კონსტრუქციული და სანტექნიკური

პროექტის დამუშავება. ასევე აუცილებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა, იგულისხმება შენობის გარშემო სარინელის აღდგენა.



24. სადრენაჟო სისტემა

7. სასახლის შენობის თუნუქის ბურული ახალი შეცვლილია, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, წვიმის წყალს არ ატარებს, კონსტრუქციულადაც დამაკმაყოფილებელია, თუმცა სავენტილაციო და საკვამლე არხების ყველა მილს არ აქვს თუნუქის ქუდი, არის ჰერმეტიკულად დახურული, რაც ხელს უშლის ბუნებრივ განიავებას.

2.2 ტექნიკური რეკომენდაცია

შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლამ აჩვენა კონსტრუქციულად დამაკმაყოფილებელი, მდგრადი ვითარება. მის აღსადგენად და შემდგომი აქტიური ექსპლოატაციისათვის პირველ რიგში უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

1. დამუშავდეს ვენტილაცია-კონდიციონირების პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს შენობის ყველა სათავესა და ოთახის საკმარისად განიავებას.

2. დამუშავდეს პროექტი შენობის მთელ პერიმეტრზე სადრენაჟო გალერეის მოსაწყობად.

3. დამუშავდეს არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი აივნების ხის კონსტრუქციების რესტავრაციისა და გამაგრების სამუშაოების ჩასატარებლად.

4. საჭიროა გამაგრება-გაჯანსაღება და კედლის ბზარების შევსება-დამუშავება კირის ხსნარით. შენობის ფასადი და მისი ინტერიერის დიდი ნაწილის კედლებიც ახლიდან არის შესალესი.

5. აუცილებელია სახურავზე სავენტილაციო და საკვამლე მილების თავზე ქუდების აღდგენა.

6. შენობის პირველ სართულზე გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა იატაკის მოწყობის თავდაპირველი კონსტრუქცია, იატაკი მოკირწყლული ყოფილა რიყის დაუმუშავებელი ქვით. სასურველია მისი აღდგენა ზედმეტი ზედა ფენის მოხსნით.

7. განსაკუთრებით აღსანიშნავია სანიაღვრე სისტემა ეზოში, რომელიც ახლიდან არის მოსაწყობი.

8. აუცილებელია ეზოს კეთილმოწყობა, რადგან ასფალტის საფარის დაზიანება და სახურავიდან დადვრილი წვიმის წყალი საფრთხეს უქმნის შენობის საძირკველს.

2.3 დასკვნა

შენობის დაფერვის ზოგადი აღწერილობა	სასახლის მთავარი ფასადი ძირითადად ნაშენია დეკორატიულად დამუშავებული, რუსტიკული ქვით. არქიტექტურულ-მხატვრული სახის უკეთ გამოსავლენად და გასაძლიერებლად ფასადების გარკვეული ნაწილები შესრულებულია სუფთად, თლილი ქვით. სასახლეს აქვს შიდა ეზო, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისა და ორი – მარჯვენა გრძელი და მარცხენა – ფლიგელისაგან. ეზოს ცენტრალური ფასადის კედელი შედგებილია ღია ცისფერი ემულსიური საღებავით. მარჯვენა ფლიგელის აივნის ორივე სართულის კედლები შედგებილია ცისფერი საღებავით. ორივე ფლიგელის ფასადი შელესილია ცემენტის ხსნარით და დაფარულია თეთრი ფერის საღებავის ფენით. სასახლის ცენტრალური ნაწილის ხის არქიტექტურული დეტალები, როგორცაა კარები, ფანჯრები, ეზოს ცენტრალური ნაწილის აივნის ხის სვეტები, გაწმენდილია ძველი საღებავის ფენისაგან და დაფარულია ლაქით. შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის პირველი სართულის კარები და აივნის დეტალები, სვეტები, მოაჯირი, თითქმის ყველა, დაფარულია მუქი მოვარდისფრო ნაცრისფერი ზეთის საღებავის ფენით.
გამოკვლევის მიზანი	ფერის ქრონოლოგიის განსაზღვრა.
ჩატარებული ანალიზი	1. ადგილზე, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სურათის დაკვირვება და შესაბამისი დამუშავება, ფოტოდოკუმენტაცია. 2. დამუშავებული ზონდაჟის ანალიზი და ფოტოდოკუმენტაცია. 3. თავდაპირველი ფერის განსაზღვრა.

ზონდაჟი 25. კვლევა, საღებავის ფენების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სტრატოგრაფიის დაკვირვება

- არსებული მდგომარეობით ფანჯრის ღიობი ფასადის მხარეს დაფარულია ყავისფერი ზეთის საღებავით, ხოლო ინტერიერში – თეთრი ზეთის საღებავის ფენით.
- ზონდაჟი, თანაბარი ზედაპირის – 16 სმ. სიგრძის.
- ზონდირებით მიღებულ სურათში ჩანს სხვადასხვა პერიოდის საღებავის 6 ქრონოლოგიური ფენა.



ანალიზი, ფოტო დოკუმენტაცია



დამუშავებული ზონდაჟი №25

სტრატოგრაფია ქვემოდან ზემოთ:

1. მუქი მოწითალო ყავისფერი;
2. მუქი ყავისფერი;
3. ღია ცისფერი;
4. ყავისფერი მოწითალო;
5. ნაცრისფერი, ოდნავ მომწვანო;
6. ახლანდელი – თეთრი.

ქრონოლოგიური ზონდაჟი №26	
სინჯის ადების ადგილი	ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლეთა ისტორულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა. სასახლის მარჯვენა ფლიგელი, პირველი სათოული, მეცნიერთა ოთახი. კარის წირთხლი ინტერიერში.
შენობის დაფარვის ზოგადი აღწერილობა	სასახლის მთავარი ფასადი ძირითადად ნაშენია დეკორატიულად დამუშავებული, რუსტირებული ქვით. არქიტექტურულ-მხატვრული სახის უკეთ გამოსავლენად და გასაძლიერებლად ფასადების გარკვეული ნაწილები შესრულებულია სუფთად, თლილი ქვით. სასახლეს აქვს შიდა ეზო, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისა და ორი – მარჯვენა გრძელი და მარცხენა – ფლიგელისაგან. ეზოს ცენტრალური ფასადის კედელი შედგებილია ღია ცისფერი ემულსიური საღებავით. მარჯვენა ფლიგელის აივნის ორივე სართულის კედლები შედგებილია ცისფერი საღებავით. ორივე ფლიგელის ფასადი შელესილია ცემენტის ხსნარით და დაფარულია თეთრი ფერის საღებავის ფენით. სასახლის ცენტრალური ნაწილის ხის არქიტექტურული დეტალები, როგორცაა კარები, ფანჯრები, ეზოს ცენტრალური ნაწილის აივნის ხის სვეტები, გაწმენდილია ძველი საღებავის ფენისაგან და დაფარულია ლაქით. შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის პირველი სართულის კარები და აივნის დეტალები, სვეტები, მოაჯირი, თითქმის ყველა, დაფარულია მუქი მოვარდისფრო ნაცრისფერი ზეთის საღებავის ფენით.
გამოკვლევის მიზანი	ფერის ქრონოლოგიის განსაზღვრა.
ჩატარებული ანალიზი	1. ადგილზე, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სურათის დაკვირვება და შესაბამისი დამუშავება, ფოტოდოკუმენტაცია. 2. დამუშავებული ზონდაჟის ანალიზი და ფოტოდოკუმენტაცია. 3. თავდაპირველი ფერის განსაზღვრა.

ზონდაჟი 26. კვლევა, საღებავის ფენების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სტრატოგრაფიის დაკვირვება

- არსებული მდგომარეობით კედელი დაფარულია თეთრი ფერის ზეთის საღებავის ფენით.
- ზონდაჟი – 14სმ. სიგრძის, თანაბარი ზედაპირის.
- ზონდირებით მიღებულ სურათში ჩანს სხვადასხვა პერიოდის საღებავის 6 ქრონოლოგიური ფენა.


ანალიზი, ფოტოდოკუმენტაცია



დამუშავებული ზონდაჟი №26

სტრატოგრაფია ქვემოდან ზემოთ:

1. გრუნტი – ცემენტი;
2. ცისფერი;
3. ღია ცისფერი;
4. თეთრი, მოყვითალო;
5. მოვარდისფრო ნაცრისფერი;
6. ახლანდელი – თეთრი.



დასკვნა: თავდაპირველი ფერი კარის კედელთან ცისფერი ზეთის საღებავია.


შენიშვნა: ამ ოთახის კედელზე გაკრულია შპალერი, რომელიც დაიბეჭდა ისტორიული ფოტოს მიხედვით, მუზეუმის ცენტრალური დარბაზისათვის. მონაცრისფრო ვარდისფერი საღებავი ხშირად გამოიყენებოდა. რადგან საღებავი დატანილია ცემენტის ხსნარით გალესილ კედელზე, შესაძლოა არსებული საღებავის ფენა არ არის თავდაპირველი.

ქრონოლოგიური ზონდაჟი №27	
სინჯის ადების ადგილი	ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლეთა ისტორულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა. სასახლის ინტერიერი, სარდაფის სართული, ბუხრიანი ოთახი, ფანჯრის დიობი, მთავარი ფასადის მხარეს, ფანჯრის ჩარჩო.
შენობის დაფერვის ზოგადი აღწერილობა	სასახლის მთავარი ფასადი ძირითადად ნაშენია დეკორატიულად დამუშავებული, რუსტირებული ქვით. არქიტექტურულ-მხატვრული სახის უკეთ გამოსავლენად და გასაძლიერებლად ფასადების გარკვეული ნაწილები შესრულებულია სუფთად, თლილი ქვით. სასახლეს აქვს შიდა ეზო, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისა და ორი – მარჯვენა გრძელი და მარცხენა – ფლიგელისაგან. ეზოს ცენტრალური ფასადის კედელი შედგებილია ღია ცისფერი ემულსიური საღებავით. მარჯვენა ფლიგელის აივნის ორივე სართულის კედლები შედგებილია ცისფერი საღებავით. ორივე ფლიგელის ფასადი შელესილია ცემენტის ხსნარით და დაფარულია თეთრი ფერის საღებავის ფენით. სასახლის ცენტრალური ნაწილის ხის არქიტექტურული დეტალები, როგორცაა კარები, ფანჯრები, ეზოს ცენტრალური ნაწილის აივნის ხის სვეტები, გაწმენდილია ძველი საღებავის ფენისაგან და დაფარულია ლაქით. შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის პირველი სართულის კარები და აივნის დეტალები, სვეტები, მოაჯირი, თითქმის ყველა, დაფარულია მუქი მოვარდისფრო ნაცრისფერი ზეთის საღებავის ფენით.
გამოკვლევის მიზანი	ფერის ქრონოლოგიის განსაზღვრა.
ჩატარებული ანალიზი	1. ადგილზე, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სურათის დაკვირვება და შესაბამისი დამუშავება, ფოტოდოკუმენტაცია. 2. დამუშავებული ზონდაჟის ანალიზი და ფოტოდოკუმენტაცია. 3. თავდაპირველი ფერის განსაზღვრა.

ზონდაჟი 27. კვლევა, საღებავის ფენების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სტრატოგრაფიის დაკვირვება

- არსებული მდგომარეობით ფანჯრის ჩარჩო დაფარულია ღია ოხრა ფერის ზეთის საღებავით.
- ზონდაჟი – 10სმ. სიგრძის, ზედაპირი – თანაბარი.
- ზონდირებით მიღებულ სურათში ჩანს სხვადასხვა პერიოდის საღებავის 5 ქრონოლოგიური ფენა.

ანალიზი, ფოტოდოკუმენტაცია



დამუშავებული ზონდაჟი №27

სტრატოგრაფია ქვემოდან ზემოთ:

1. გრუნტი – ყავისფერი;
2. სალათისფერ-ფირუზისფერი;
3. ცისფერი;
4. მონაცრისფრო-ვარდისფერი
5. ახლანდელი – ღია ოხრა.



დასკვნა: თავდაპირველი ფერი –

სალათისფერი-ფირუზისფერი ზეთის საღებავი.



39. სარდაფის სართული, ზონდაჟის ადგილი

შენიშვნა: თავდაპირველი ფერი (2), იმავე ზეთის საღებავით არის შეღებილი მესამე სართულის ფანჯარაც; ასევე მეორდება ცისფერი (3) ფერიც.

დამუშავებულ ზონდაჟში საღებავის ფენები ძნელად განცალკევდა.

ფანჯრის ჩარჩოს სხვა გადაფხეკილ მონაკვეთებში უფრო კარგად იკითხება საღებავის ფერები (სასურველია ადგილზე ნახვა).

ქრონოლოგიური ზონდაჟი № 28	
სინჯის აღების ადგილი	<p>ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლეთა ისტორულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა.</p> <p>ეზოს მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის განაპირა კარი, რომელიც ამჟამად შეცვლილია ახლით. ძველი ხის კარი, ინახება ეზოს კიბის უჯრედის ქვეშ სათავსოში. ძველი კარები დაფარულია მუქი მოწითალო ყავისფერი სქელი ზეთის საღებავის ფენით.</p>
შენობის დაფერვის ზოგადი აღწერილობა	<p>სასახლის მთავარი ფასადი ძირითადად ნაშენია დეკორატიულად დამუშავებული, რუსტირებული ქვით. არქიტექტურულ-მხატვრული სახის უკეთ გამოსავლენად და გასაძლიერებლად ფასადების გარკვეული ნაწილები შესრულებულია სუფთად, თლილი ქვით.</p> <p>სასახლეს აქვს შიდა ეზო, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისა და ორი – მარჯვენა გრძელი და მარცხენა – ფლიგელისაგან.</p> <p>ეზოს ცენტრალური ფასადის კედელი შედგებილია ღია ცისფერი ემულსიური საღებავით. მარჯვენა ფლიგელის აივნის ორივე სართულის კედლები შედგებილია ცისფერი საღებავით.</p> <p>ორივე ფლიგელის ფასადი შელესილია ცემენტის ხსნარით და დაფარულია თეთრი ფერის საღებავის ფენით.</p> <p>სასახლის ცენტრალური ნაწილის ხის არქიტექტურული დეტალები, როგორცაა კარები, ფანჯრები, ეზოს ცენტრალური ნაწილის აივნის ხის სვეტები, გაწმენდილია ძველი საღებავის ფენისაგან და დაფარულია ლაქით.</p> <p>შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის პირველი სართულის კარები და აივნის დეტალები, სვეტები, მოაჯირი, თითქმის ყველა, დაფარულია მუქი მოვარდისფრო ნაცრისფერი ზეთის საღებავის ფენით.</p>
გამოკვლევის მიზანი	ფერის ქრონოლოგიის განსაზღვრა.
ჩატარებული ანალიზი	<ol style="list-style-type: none"> 1. ადგილზე, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სურათის დაკვირვება და შესაბამისი დამუშავება, ფოტოდოკუმენტაცია. 2. დამუშავებული ზონდაჟის ანალიზი და ფოტოდოკუმენტაცია. 3. თავდაპირველი ფერის განსაზღვრა.

ზონდაჟი 28. კვლევა, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სტრატოგრაფიის დაკვირვება

- თანაბარი ზედაპირის მქონე 7 სმ. სიგრძის ზონდაჟი.
- კარებზე საღებავის ფენის თანამიმდევრული გადაფხეკის შემდეგ გამოვლინდა საღებავის 4 ფენა.
კარი ინახება მუზეუმის ავტოფარეხში.

ფოტოდოკუმენტაცია



დამუშავებული ზონდაჟი № 28

სტრატოგრაფია ქვემოდან ზემოთ:

1. ხე;
2. ღია ოხრა, მომწვანო, თხელი (ზეთის საღებავი);
3. ღია მონაცრისფრო ვარდისფერი;
4. მოყვითალო თეთრი სქელი ფენა (ზეთის საღებავი);

ახლანდელი – მუქი მოწითალო ყავისფერი (ზეთის საღებავი);

დასკვნა: თავდაპირველი ფერი – ღია ოხრა ზეთის საღებავი.

შენიშვნა: კარების თავდაპირველი ფერი არის ღია ოხრა. იმავე ფერით, ღია ოხრა, შეღებილია შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის ხის სვეტი კედელთან (დირექტორის კაბინეტის გვერდზე).

პირველი ორი ფერი (2 და 3) ერთმანეთში არის გადასული. სავარაუდოდ, შუალედი შეღებვიდან შეღებვამდე არ ყოფილა დიდი.



ქრონოლოგიური ზონდაჟი №29	
სინჯის ადების ადგილი	ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლეა ისტორულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა. სასახლის ინტერიერი, სარდაფის სართული, მთავარი დარბაზის ფანჯრის ღიობი, ფანჯრის ჩარჩო.
შენობის დაფერვის ზოგადი აღწერილობა	სასახლის მთავარი ფასადი ძირითადად ნაშენია დეკორატიულად დამუშავებული, რუსტირებული ქვით. არქიტექტურულ-მხატვრული სახის უკეთ გამოსავლენად და გასაძლიერებლად ფასადების გარკვეული ნაწილები შესრულებულია სუფთად, თლილი ქვით. სასახლეს აქვს შიდა ეზო, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისა და ორი – მარჯვენა გრძელი და მარცხენა – ფლიგელისაგან. ეზოს ცენტრალური ფასადის კედელი შედგებილია ღია ცისფერი ემულსიური საღებავით. მარჯვენა ფლიგელის აივნის ორივე სართულის კედლები შედგებილია ცისფერი საღებავით. ორივე ფლიგელის ფასადი შედგებილია ცემენტის ხსნარით და დაფარულია თეთრი ფერის საღებავის ფენით. სასახლის ცენტრალური ნაწილის ხის არქიტექტურული დეტალები, როგორცაა კარები, ფანჯრები, ეზოს ცენტრალური ნაწილის აივნის ხის სვეტები, გაწმენდილია ძველი საღებავის ფენისაგან და დაფარულია ლაქით. შიდა ეზოს მარჯვენა ფლიგელის პირველი სართულის კარები და აივნის დეტალები, სვეტები, მოაჯირი, თითქმის ყველა, დაფარულია მუქი მოვარდისფრო ნაცრისფერი ზეთის საღებავის ფენით.
გამოკვლევის მიზანი	ფერის ქრონოლოგიის განსაზღვრა.
ჩატარებული ანალიზი	1. ადგილზე, ფერების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სურათის დაკვირვება და შესაბამისი დამუშავება, ფოტოდოკუმენტაცია. 2. დამუშავებული ზონდაჟის ანალიზი და ფოტოდოკუმენტაცია. 3. თავდაპირველი ფერის განსაზღვრა.

ზონდაჟი 29. კვლევა, საღებავის ფენების თანამიმდევრული გადაფხეკით მიღებული სტრატოგრაფიის დაკვირვება

- არსებული მდგომარეობით ფანჯრის ჩარჩო დაფარულია ღია ოხრა ფერის ზეთის საღებავით. კარ-ფანჯრები უმეტესად შეღებილია ღია ოხრა და ყავისფერი ფერის ზეთის საღებავით.
- ზონდაჟი - 17სმ. სიგრძის, თანაბარი ზედაპირი.
- ზონდირებით მიღებულ სურათში ჩანს სხვადასხვა პერიოდის საღებავის 7 ქრონოლოგიური ფენა.

ანალიზი, ფოტოდოკუმენტაცია



დამუშავებული ზონდაჟი №29

სტრატოგრაფია ქვემოდან ზემოთ:
გრუნტი

1. ღია მწვანე, მონაცრისფრო, ჭაობისფერი;
2. მუქი მოწითალო ყავისფერი, თხელი ფენა;
3. ცისფერი;
4. ღია კაკაოსფერი (მონაცრისფრო-ვარდისფერი);
5. მონაცრისფრო თეთრი;
6. ქათქათა თეთრი სქელი ფენა;
7. ახლანდელი – ღია ოხრა, მოყვითალო.

დასკვნა: სარდაფის ცენტრალური დარბაზის ფანჯრის თავდაპირველი ფერია ღია მოცისფრო მწვანე, ჭაობისფერი.

შენიშვნა: შემოწმების მიზნით მოხდა საღებავის ფენების გადაფხეკა, სადაც ჩანს ზონდირებული ფენების სტრატოგრაფიის თანამიმდევრობა.



სავარაუდოა, რომ თავდაპირველ საღებავის ფენას ფერი შეუცვალა შემდგომ დატანილმა ყავისფერმა (რომელიც მასში გაიჟონა). ეს ორივე ფერი ბუნებრივი საღებავებია.

დადიანების სასახლე – თავდაპირველი ფერის კვლევა

დაკვირვების შედეგები

სამერცხლური

სასახლის სამერცხლური შეღებილია მუქი მოწითალო ყავისფერი ზეთის საღებავით, რომლის ქვეშ გადახეხილ მონაკვეთში კარგად ჩანს ღია ცისფერი ზეთის საღებავის ფენა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახურავი სულ ორჯერ იყო შეღებილი, ცისფერი სამერცხლურის თავდაპირველი ფერია.



დადიანების სასახლე – თავდაპირველი ფერის კვლევა რეკომენდაციები ინტერიერის რესტავრაციისას

დადიანების მუზეუმის საცავში ინახება შპალერის კატალოგი, რომლითაც დადიანები სარგებლობდნენ სარემონტო სამუშაოების დროს. სასურველია რესტავრატორი გაეცნოს კატალოგს და სასახლის რესტავრაციის დროს ამ კატალოგიდან გამოიყენოს შპალერის ნიმუშები.



40. შპალერის ნიმუშები

80-იან წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს სასახლის კედელზე ნაპოვნი იყო ძველი შპალერის ნიმუში. ნიმუშის

მიხედვით დაუკვეთეს ახალი შპალერი, რომელიც გაკრულია სასახლის ცენტრალურ დარბაზში.



41. ეკატერინეს დარბაზი, კედელზე გამოყენებულია ძველი ნიმუშებით დამზადებული შპალერი


სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს აკრული ბიაზის ქვეშ გამოჩნდა მოხატული ჭერი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩამოიხსნა და გაიკრა თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი.



42. ძველი ჭერის დაზიანებული ფრაგმენტი

სარდაფის სართულში კედლის სიბრტყეები დაფარული იყო მცენარეული ორნამენტებიანი ნახატით. ახლანდელი მდგომარეობით კედლები დაფარულია თეთრი ემულსიური საღებავის ფენით, რომლის მოცილება კედლის ზედაპირიდან ისე, რომ მის ქვეშ არსებული ფენები არ დაზიანდეს, არ ხერხდება. შესაძლებელია მხოლოდ აღდგეს ორნამენტების ნახატის სქემა, რომლის მიხედვითაც დამზადდება ტრაფარეტი, რომელსაც

შემდგომ დაიტანენ კედლის სიბრტყეზე ან, შესაძლებლობის ფარგლებში, გაიხსნას და გამაგრდეს ძველი მოხატული კედლის ფრაგმენტი.



43. სარდაფის ბუხრიანი ოთახის ინტერიერი

3.2 დადიანების დედა დედოფლის სასახლეზე ჩატარებული ფერის კვლევის შედეგები

დადიანების დედა დედოფლის სასახლის ნაგებობაზე ჩატარებული დაკვირვებისა და ზონდაუების შემდეგ შესაძლებელია შევაჯამოთ შედეგები.

ფასადები. მთავარი ფასადი, როგორც აღვნიშნეთ, ქვის კვადრებისაგან არის ნაგები, რომელიც დროთა განმავლობაში დაზიანდა, დაიფარა ხავსით და საჭიროებს გაწმენდასა და დაზიანებული ნაწილების რეაბილიტაციას. გვერდითა მარჯვენა და მარცხენა ფლიგელების ფასადები გალესილია ცემენტის ხსნარით და შეღებილია თეთრი ფერის საღებავით. საჭიროა გამოფიტული ნაღესობის მოხსნა და კედლის სიბრტყის ხელახალი შეღესვა.



44. ფასადების მდგომარეობა

შიდა ეზოს ფასადები ამჟამად მკრთალი ცისფერი ფერია. მარჯვენა ფლიგელის აივნის კედლის ნაღესობა რესტავრაციის დროს მთლიანად არის მოხსნილი და ამიტომ ამ მონაკვეთში თავდაპირველი ფერის დადგენა შეუძლებელია.

სასახლის ეზოს ცენტრალური ნაწილის (აივანზე) კედელი ოხრა ფერის ზეთოვანი საღებავით იყო შეღებილი.

ფასადებზე ფანჯრები და ხის არქიტექტურული ელემენტები – მთავარი ცენტრალური ფასადის ფანჯრები, დარაბები, კარები, შიდა ეზოს ცენტრალური აივნის ხის სვეტები, აივნის მოაჯირები 80-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციის დროს გაიწმინდა საღებავის ფენისაგან და

დაიფარა ხის ლაქით, რომელიც ამჟამად გადაცლილია და გამოფიტულია იმ ადგილებში, სადაც ხვდება ატმოსფერული ნალექი.

საღებავი შერჩენილია მხოლოდ სასახლის კიბის უჯრედის მეორე სართულზე, რის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფანჯრის ჩარჩოს თავდაპირველი ფერი მუქი მოწითალო ყავისფერია.

ჩრდილიეთის და სამხრეთის ფლიგელების ფასადებზე კარ-ფანჯრების ხის ჩარჩოების ფერი არის ღია მკრთალი ცისფერი.

ეზოს მხარეს აივნის სვეტები და მხატვრული არქიტექტურული დეტალები 80-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციის დროს გაიფხიკა საღებავის ფენისგან, რის გამოც ვერ მოხერხდა ფერის დადგენა, თუმცა არსებობს ძველი ფოტო, რომელზედაც ჩანს, რომ აივნის ხის სვეტები ღია ფერის საღებავით იყო დაფარული.



45. აივნის ძველი ფოტო

მიუდგომელი აივნის ფრონტონზე შერჩენილია საღებავი და სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებისას, როცა მოეწყო ხარაჩოები, შესაძლებელი გახდება ზონდაუის ჩატარება.

ინტერიერში ხის კარები, სასახლის ფლიგელებში, ხშირად შეღებილია ღია ოხრა ფერის ზეთის საღებავით.



46. აივნის ფრონტონზე შერჩენილი საღებავი

კიბის საფეხურების ხის მოაჯირები მუქი ყავისფერი ფერია.

ინტერიერის კედლები. სასახლე შედგებოდა მთავარი ოთახებისაგან – დარბაზებისაგან, საცხოვრებელი, სასტუმრო, მომსახურე პერსონალისა და სამეურნეო დანიშნულების ოთახებისაგან. შესაბამისად, ინტერიერიც ფუნქციის მიხედვით იყო შერჩეული – გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ ოთახის დანიშნულება.

ცენტრალური ოთახების დარბაზებში გაკრული იყო ძვირად ღირებული შპალერი; ნაკლებმნიშვნელოვან ოთახებში – შპალერის იმიტაცია, ტრაფარეტით მოხატული კედლები.

სასახლის ცენტრალური ნაწილის სარდაფში კედლების ქვედა ნაწილი დაფარულია ერთი ფერის საღებავით და გარშემო მხატვრულად არის გაფორმებული ორნამენტებიანი კანტებით. საღებავის ფერებია: ღია ცისფერი, აგურისფერი, ოხრა.

ამჟამინდელი მდგომარეობით, გარდა დარბაზებისა, მუზეუმის თითქმის ყველა ოთახში კედლებზე აკრულია დე-ეს-პე, მუყაო და მაუდი.

ოქროს საცავში, როგორც ვიცი, სარემონტო სამუშაოების დროს კედლებიდან მოიხსნა დე-ეს-პე და ნაღესობა აგურს დონემდე ჩამოიფხიკა, რის შემდეგაც კედლებს ააკრეს თაბაშირ-მუყაო. კედლების შეფიცვრის და ჭერზე ბიაზის ჩამოხსნის შემდეგ ოთახის ჭერზე გამოჩნდა დაზიანებული მოხატული ჭერი. შესაძლებელია სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობის დროს, კედლების გახსნის შემდეგ, გამოვლინდეს ანალოგიური ძველი კედლებისა თუ ჭერის მოხატულობა ან მათი ფრაგმენტები. ამიტომ სარესტავრაციო სამუშაოების დროს, როცა მოხდება კედლებისა და ჭერის სიბრტყეებიდან მიკრული მასალის მოხსნა, აუცილებელია სიფრთხილე, რათა არ მოხდეს ავთენტური ნაწილების დაზიანება. სასურველია ეს ჩატარდეს რესტავრატორის მეთვალყურეობით.

სარდაფი. სასახლის ცენტრალურ ნაწილში სარდაფი ამჟამად დაფარულია თეთრი ფერის ემულსიური საღებავით, რომელიც ფარავს,

ტრაფარეტით დატანილ მცენარეულ ორნამენტებთან კედელს, მის ქვეშ მუქი ლურჯი ულტრამარინის ფერით შეღებილი კედელია (ბუხრიანი ოთახი).

ტექნიკურად თავდაპირველი ფერის გამოვლენა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან თეთრი ფერის ემულსიური საღებავი ძალიან მკვერივია და ძნელად სცილდება კედელს.

სასურველია კედლის სიბრტყეზე შეირჩეს ადგილი და თვალსაჩინოებისათვის გაიწმინდოს და აღდგეს მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტი.

გვერდითა მთავარ, სვეტებიან დარბაზში კედლის ქვედა ნაწილი მკვეთრი აგურისფერია.

მარჯვენა ფლიგელის სარდაფის სართულზე, ინტერიერში, ნაღესობა მთლიანად ჩამოფხეკილია, ამჟამად გაღესილია ცემენტის ხსნარით და შეღებილია თეთრად.

შენიშვნა: ფერის კვლევას სირთულეს უქმნიდა ორი გარემოება: 1. სასახლეში ამჟამად განთავსებულია მუზეუმი და საექსპოზიციო დარბაზები. 2. ოთახებში, რომელთა კედლებიც შემოსილია დე-ეს-პე-ზე გადაკრული მაუდით, ვერ მოხერხდა ფერის კვლევა. იმ ოთახებში, სადაც შესაძლებელი იყო ზონდაჟების ჩატარება, მაქსიმალურად მოხდა ამ შესაძლებლობის გამოყენება.

3.3 რეკომენდაციები¹⁸

- სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებიდანვე უნდა გაიხსნას კედლის და ჭერის სიბრტყეები, რადგან შესაძლებელია ფერის კვლევისთვის გამოვლინდეს დამატებითი მასალა.
- სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებიდანვე უნდა მოეწეოს ხარაჩო შიდა ეზოს აივნის ფრონტონთან და ჩატარდეს ხის აივნის თავდაპირველი ფერის დასაზუსტებელი ზონდაჟი.
- ფიზიკური სარესტავრაციო სამუშაოები უნდა მიმდინარეობდეს არქიტექტორ-რესტავრატორის ზედამხედველობით, მუშაობის პროცესში შესაძლებელია გამოვლინდეს ახალი მასალა, რომელიც უნდა დაფიქსირდეს და შეიქმნას დამატებითი საბუთი – ფერის კვლევის დანართი.

¹⁸ ფერს კვლევის დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, აუცილებელია ელექტრონული ვერსიის გაცნობა, ასევე, ზონდაჟის ადგილების დათვალიერება, რათა ზუსტად შეირჩეს საღებავის ფერი. სამუშაოების წარმოების დროს არ უნდა მოხდეს ზონდაჟის ადგილების ჩამოიფხეკა, რათა შესაძლებელი იყოს უფრო ზუსტად შეირჩეს საღებავის ფერები.

4. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა

გეოლოგიური კვლევის მიზანს წარმოადგენდა დედოფლისეული სასახლის რეაბილიტაციის პროექტისთვის სამუშაო-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. კვლევა ჩატარდა 2014 წლის ივლის-აგვისტოში.

ქ. ზუგდიდი გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხოუშის (ენგურის აუზი) ნაპირებზე, ზღვის დონიდან 110 მ-ზე, თბილისიდან 318 კილომეტრზე.

ზუგდიდის რეგიონში სუბტროპიკული ჰავაა, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, კარგად გამოხატული მუსონური ქარებით.

საშუალო წლიური ტემპერატურაა +13,8C, იანვრის საშუალო ტემპერატურა – +4,9C, აგვისტოს – + 22,7 C, ნალექების რაოდენობა – 1620 მმ. წელიწადში. ყველაზე უხვნალექიანია სექტემბრის თვე, მცირენალექიანია მაისი.

გეომორფოლოგიურად ქ. ზუგდიდი მიეკუთვნება ვაკეთა და ბორცვიანი მთისწინეთის ლანდშაფტურ ჯგუფს. სწორედ ერთ-ერთ ბორცვზეა განთავსებული დადიანების სასახლის კომპლექსი და ბოტანიკური ბაღი. ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ნეოგენური ზღვური და მეოთხეული პერიოდის კონტინენტური ნალექები (თიხები, კონგლომერატები). ამ ადგილების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისათვის მოხდა სასახლის ტერიტორიის დათვალიერება და ვიზუალურად შეირჩა ის წერტილები, რომლებიც მოითხოვდა საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიზნით გაყვანილია ერთი შურფბურღილი და სამი შურფი. სამუშაოს მთლიანი მოცულობა შეადგენს 11,8 გრძივ მეტრს.

თიხოვანი გრუნტის ფიზიკური თვისებების შესასწავლად კვლევითგამონამუშევრებში, სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში, აღებულია გრუნტის ნიმუშები (ნიმუშების აღების კონკრეტული სიღრმეები მოცემულია დართულ გრაფიკულ მასალაში, გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებზე). ლაბორატორიული კვლევის მასალები ერთვის წინამდებარე დასკვნას. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ გამონამუშევრები ლიკვიდირებულია ამოღებული გრუნტით.

სასახლის უბანზე გვხვდება თიხოვანი გრუნტი (ფენა 2), რომელიც გადაფარულია ნაყარი გრუნტით (ფენა 1). სიღრმეში თიხები შემოფენილია რიყნარი გრუნტით (ფენა 3). საკვლევი უბნისა და მასზე განთავსებული ნაგებობის დათვალიერებით ირკვევა შემდეგი: ეკატერინე დადიანის

სასახლე აშენებულია XIX საუკუნის დასაწყისში და შემდეგ – ამავე საუკუნის 60-იან წლებში. შენობა გადაუკეთებია გერმანელ არქიტექტორ რაისს, მიუშენებიათ ფლიგელები და ხის აივანი.

შენობას, კონსტრუქციული თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები არ აქვს, მასზე დაკვირვებით არ ჩანს დეფორმაციული ბზარები. დაზიანებულია ზემოთ ხსენებული ხის აივნის ცალკეული დეტალები. დანესტიანებულია პირველ სართულზე არსებული დარბაზების კედლები.

მცირე ბზარები შეინიშნება შესასვლელის თაღურ ნაწილებში, გაშავებულია ფასადის მოპირკეთებული ფილების დიდი ნაწილი.

სასახლის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მისი დანესტიანება, რომელიც გამოწვეულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სასახლის მიმართულებით ზედაპირული წყლების მოქმედებით. ზედაპირული წყლები, როგორც წყალსაწრეტი მილებიდან, ისე მიწის ზედაპირიდან, უშუალოდ ეცემა სასახლის წინა კედელს, ჩაიჟონება კედლის გასწვრივ დარბაზის სივრცეში. როგორც ჩანს, თავის დროზე კარგად მუშაობდა შენობის ირგვლივ მოწყობილი სადრენაჟო სისტემა, რომლის საშუალებითაც წყალი გადადიოდა შენობის ჩრდილო-დასავლეთით ეზოში არსებულ ჭაში და შემდგომ განიტვირთებოდა მდ. ჩხოუშში. სისტემა ახლაც მუშაობს სასახლის შიდა ეზოში, მაგრამ სასახლის წინა ტერიტორიის რეკონსტრუქციის დროს სისტემა დაზიანდა. ამჟამად იქ გაკეთებული წყლის ძაბრები არ არის ეფექტური ჭარბი ნალექების მისაღებად და გასატარებლად.

შენობა ძალიან დააზარალა ფასადის მხარეს რეკონსტრუქციისას მიწის აწევამ, რამაც გამოიწვია პირველი სართულის დარბაზების ძლიერი დანესტიანება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ზოგადად აგური ხასიათდება კარგი ჰიდროსკოპულობით, რომელიც კიდევ უფრო იზრდება შესაბამის გარემოში შენობის ხანგრძლივი ექსპლუატაციისას.

შენობის საძირკვლის კვლევა განხორციელდა სასახლის უკანა კედლის გასწვრივ, სარდაფში. კედლების ზომები მასიურია და უზრუნველყოფს სასახლის მდგრადობას. საძირკვლები დაფუძნებულია ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვან გრუნტზე. ლაბორატორიაში შესწავლილ იქნა თიხოვანი გრუნტის როგორც ფიზიკური, ისე დეფორმაციული მახასიათებლები.

№	ფიზიკური მახასიათებლები		განზ.-ბა	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა		
1	პლასტიკურობის რიცხვი	I_p	-	0,18-0,24	0,21		
2	ტენიანობა	W	%	24,4-30,9	27,2		
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ ³	1,88-1,92	1,90	
		მშრალი გრუნტის			ρ_d	1,44-1,52	1,49
		გრუნტის ნაწილაკების			ρ_s	2,72	2,72
4	ფორიანობა	n	%	44,1-47,1	45,2		
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0,789-0,889	0,826		
6	დენალობის მანვენებელი	I_L		0,26-0,42	0,36		
7	ტენიანობის ხარისხი	S_r		0,84-0,95	0,89		

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების თანახმად, თიხოვანი გრუნტი (ფენა 2)

ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხაა ($I_p=0,21$). ($I_L=0,36$). გრუნტის ტენიანობა $W=24,4-30,9\%$ ($\bar{W}=27,2\%$), სიმკვრივე $\rho = 1,88-1,92$ გ/სმ³ ($\bar{\rho} = 1,90$ გ/სმ³), მშრალი გრუნტის სიმკვრივის $\rho_d = 1,44-1,52$ გ/სმ³ ($\bar{\rho}_d=1,49$ გ/სმ³) მნიშვნელობის დროს.

ფენა 2-ის გრუნტი, ტენიანობის ხარისხის მიხედვით, სრულად წყალგაჯერებულია ($\bar{S}_r=0,89>0,80$).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ. როგორც აღინიშნა, ჩატარდა ორი კომპრესიული გამოცდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე. გამოცდა შესრულდა 0,5 კგ/სმ² დატვირთვის საფეხურებით, დატვირთვის 4,0 კგ/სმ²-მდე აყვანით.

ქვემოთ, ცხრ. 2-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტის ჯდენის მოდულის მნიშვნელობები 3,0 კგ/სმ² დატვირთვაზე (დატვირთვა, რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ϵ_p -ს მიხედვით), აგრეთვე, დეფორმაციის თავისუფალი მოდულის მნიშვნელობები დატვირთვის საწყის ინტერვალში (1,0-2,0 კგ/სმ²).

რიგ. №№	გამონამუშევრის №№	ნიმუშის ადების სიღრმე h მ	გრაფიკი №№	ჯდენის მოდული $\rho_{3,0}$ მმ/მ	დეფორმაციის მოდული E_{1-2} კგძ/სმ ²
			ლაბ. №№		
1	შ/ბ №1	3,0		59	$\frac{9.5 - 12.3 - 14.2}{3} = 120$
2	შ №4	1,5		50	$\frac{10.8 - 15.0 - 17.4}{3} = 144$
საშუალო მნიშვნელობა				55	132

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, თიხოვანი გრუნტი მიეკუთვნება მომეტებულად კუმშვადის კატეგორიას ($\bar{c} = 3.0 = 55$ მმ/მ და 20-60 მმ/მ-ის ფარგლებშია).

დეფორმაციის თავისუფალი მოდულის საშუალო მნიშვნელობა 132 კგძ/სმ². ზემოთ მოცემული საშუალო მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

ჩატარდა სამ ძვრაზე გამოცდა, 1,0-2,0-3,0 კგძ/სმ² დატვირთვებზე. მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

ხვედრითი შეჭიდულობა $C=32-48$ კპა (0,32-0,48 კგძ/სმ²) ($\bar{C}=41$ კპა);

შინაგანი ხახუნის კუთხე $\phi = 18-210$ ($\bar{\phi}=190$).

ზოგადად რეგიონი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით.

ეკატერინეს სასახლის ეზოში არსებულ ჭაში წყლის დონე 11.0 მეტრზეა (2014 წლის ივლისი).

დასკვნა

ზემოთ განხილულის საფუძველზე, შეიძლება გააკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სასახლის ტერიტორია არ ხასიათდება არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ. 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

2. ტერიტორია აგებულია ნეოგენური ასაკის თიხებითა და რიყნარით. უბნის გეოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა ერთი საინჟინრო გეოლოგიური

ელემენტი: I სვე – თიხები, მოყვითალო ფერის (ფენა 2); სასახლე დაფუძნებულია აღნიშნულ საინჟინრო გეოლოგიური ელემენტზე.

3. ნაგებობების საძირკვლები ღენტურია, აგურითა და ყორე-ქვით ნაგები. ზომები, კონფიგურაცია, ფუძე-გრუნტი მოცემულია გრაფიკულ დანართში (ნახაზ 2-ზე). საძირკველი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

4. სინესტე, რომელიც ამჟამად აზიანებს ნაგებობას, გამოწვეულია ფასადის მხარეს აწეული მიწის ფენით, რომელიც სველდება ზედაპირული წყლების ინფილტრაციით, ამას ემატება წყალსაწრეტი მიწებიდან გადმოსული წყლებიც.

ყოველივე ამის სალიკვიდაციოდ, საჭიროა მოიხსნას მიწის ამადლებული ფენა ფასადის კედლის ძირამდე, მისი გამოშრობისა და განიავების მიზნით. ისე უნდა მოხდეს ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს ზედაპირული წყლების ორგანიზებული გადაყვანა სანიაღვრე კოლექტორში სასახლის მთელი ტერიტორიიდან.

საჭიროა, აგრეთვე, შენობების ირგვლივ მოეწყოს წყალგაუმტარი მოკირწყლული ზოლები, საძირკვლებისა და ფუძე-გრუნტის ჩანაუონი წყლებისაგან დასაცავად. ასევე უნდა გაიწმინდოს და აღდგეს სადრენაუო სისტემა, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა თავის ფუნქციას.

შენობის მარცხენა ფლიგელში წინა წლებში ჩატარებული რემონტის დროს ხის ფანჯრები მეტალოპლასტმასის ფანჯრებით შეიცვალა. ზოგადად, ჭარბი ტენიანობის პირობებში, მეტალოპლასტმასის ფანჯრებმა კიდევ უფრო დაამძიმა შენობის გამოშრობისა და განიავების პრობლემა. თუ გავითვალისწინებთ მუხეუმში დაცულ მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატებს და რელიგიურ სიწმინდეებს, მიზანშეწონილია შენობაში დამონტაჟდეს ტენშემწოვი დანადგარი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში დაარეგულირებს ტენიანობის სასურველ დონეს სასახლეში.

5. ფუძე-საძირკვლების ანგარიშებისათვის მიღებულ იქნეს ფუძე-გრუნტის მახასიათებლების შემდეგი საანგარიშო-ნორმატიული სიდიდეები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, სნ და წ. პნ 02.01-08 მე-3 დანართის ცხრილი 3-ის და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე.

6. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. ზუგდიდი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

- ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) - III კატეგორიას,
 ბ) თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) – II კატეგორიას.

ცხრილი 2

№	გრუნტის მახასიათებლები	ბანზომილევა	I სბმ (ფენა 2)
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³
2	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა (კგძ/სმ ²)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე	ϕ	გრადუსი
4	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კპა (კგძ/სმ ²)
5	დეფორმაციის მოდული	E	მპა (კგძ/სმ ²)
6	საგების კოეფიციენტი	k	კგძ/სმ ³
7	პუასონის კოეფიციენტი	μ	

7. დამუშავების სიძნელის მიხედვით საჭიროებისას, სნ და № IV-2-82-ის 1-1 ცხრილის თანახმად, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) - სამივე სახით (ექსკავატორით, ბუღლოზერით, ხელით) დამუშავებისას –II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ³ (რიგ. №24ა);

ბ) თიხა (ფენა 2) – ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – III ჯგუფს, ბუღლოზერით – II ჯგუფს, სიმკვრივით 1900 კგ/მ³ (რიგ. №8გ).

5. საკვლევი-საფიქსაციო დოკუმენტაცია

არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი

(მაშტაბში გამოხაზული ნახაზები)

NN	ნახაზის დასახელება
1	გენ-გეგმა მ.- 1:200
2	სარდაფის გეგმა (დასავლეთის ფლიგელი) მ.- 1:100
3	I სართულის გეგმა მ.- 1:100
4	II სართულის და აღმ. ფლიგელის სხვენის გეგმა მ.- 1:100;
5	სახურავის გეგმა მ.- 1:100;
6	ჭრილი 1-1 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100;
7	ჭრილი 2-2 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100
8	ჭრილი 3-3 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100
9	ჭრილი 4-4 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100
10	ჭრილი 5-5 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100
11	ჭრილი 6-6 (ცენტრალური ნაწილი), მ.- 1:100
12	ჭრილი 7-7 (დასავლეთის ფლიგელი), მ.- 1:100
13	ჭრილი 8-8 (ცენტრალური და დასავლეთის ფლიგელი), მ.- 1:100
14	სამხრეთის (მთავარი) ფასადი მ.- 1:100
15	ჩრდილოეთის ფასადი (ეზოს მხრიდან) მ.- 1:100
16	დასავლეთის ფასადი მ.- 1:100
17	აღმოსავლეთის ფასადი მ.- 1:100
18	აივნის ფრაგმენტი - დეკორატიული ტიხარი კარით მ.- 1:25
19	დასავლეთის ფლიგელის აივნის ფრაგმენტი მ.- 1:25
20	მეორე სართულის კარი და ფანჯარა მ.- 1:25
21	მეორე სართულის აივნის ჭერის ნახაზი მ.- 1:50
22	მეორე სართულის აივნის ჭერის ფრაგმენტი ფერში

6. სამშენებლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის კვლევა და გამაგრებითი სამუშაოების მეთოდოლოგია


6.1 დედოფლისეული სასახლის სამშენებლო ტექნიკა

სამშენებლო მასალა და ტექნიკა, რომელსაც დედოფლისეული სასახლის შემთხვევაში ვხვდებით, საკმაოდ იშვიათი და ნაკლებად დამახასიათებელია ქართული სამშენებლო ტრადიციისათვის.



47. დედოფლიეული სასახლის ქვის ფასადები


ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ სამშენებლო მასალად გამოყენებულია საკმაოდ იშვიათი ფსევდოლითური კირქვის თლილი და დეკორირებული კვადრები (იხ: მინერალოგიურ-



პეტროგრაფიული კვლევა), რომელთა საშუალებით კედლები, კოლონები, თაღები, სარკმლის თავსართები და სხვადასხვა სიმაღლის შპილები დეკორატიულად არის დამუშავებული, შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადის ნაწილები და ჩრდილოეთი ფასადი კი წითელი აგურით და ჰიდრაულიკური კირის დუღაბითაა ამოყვანილი. ჰიდრაულიკური კირია გამოყენებული ქვის ფასადების შემთხვევაშიც.

48. კედლის წილების კრილი

კონსტრუქციული მდგრადობისათვის კირქვის კვადრები ერთმანეთთან დაკავშირებულია მეტალის კავეებით, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამაზიანებელი ფაქტორია.



49. მეტალის სამაგროთ დამაგრებული კვადრები

სავარაუდოდ მოგვიანებით სასახლის აგურის ფასადები შელესილია რამანცემენტით, რასაც ადასტურებს აგურის წყობის და ნაკერების შევსების ხასიათიც. ასევე მოგვიანებით შეუღებავთ თხელი კირსხნარით. სწორედ ასეთი სახით მოაღწია შენობამ ჩვენამდე.



50. აგურის ფასადები

სასახლე თუნუქითაა გადახურული, თუნუქია გამოყენებული სანიაღვრე მილებისათვის. დღესდღეობით ნაგებობას არ გააჩნია გამართული სადრენაჟე სისტემა. ქვის ფასადის გარშემო მოწყობილ ქვიშა-ცემენტის მომზადებაზე დაგებულია ხელოვნური მცირე ზომის ფილები (ე.წ. „ბრუსჩატკა“).

6.2 სამშენებლო მასალის დაზიანება

ამ დროისათვის ეკატერინეს სასახლის სამშენებლო მასალის მდგომარეობა საკმაოდ რთულია, გვხვდება ოლითური კირქვის, აგურის, ჰიდრაულიური კირის და რამანცემენტის (რომანცემენტის) დაზიანების სხვადასხვა ტიპები, როგორცაა: ბზარი და ქვის განცალკევებული ნაწილები, ფერის დეფორმაცია და ნადები, მასალის დაკარგვის გამოწვეული დაზიანება, ბიოლოგიური დაზიანება და ამ დაზიანებების სხვადასხვა ქვეტიპები: ზედაპირულ და სტრუქტურული ბზარები, ქვის დიდი მასების ატკეჩვა, ქვის კედლების მასიური ჩამოტეხვა, სხვადასხვა ტიპის და წარმოშობის ნადები, ზედაპირული გამომარილება და ინკრუსტაცია, მექანიკურ დაზიანება, ალვეოლიზაცია, წყალმცენარეების და სხვადასხვა ბიოლოგიური კოლონიზაციის ფართო სპექტრი.

დაზიანების ტიპების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზაციისათვის გამოყენებულ იქნა ICOMOS-ის ქვის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის მიერ დამუშავებული ქვის დაზიანების ილუსტრირებული ლექსიკონი¹⁹.

დაზიანებები დაყოფილია ჯგუფებად და შესაბამის ტიპებად.

ამასთან, სასახლის ფასადზე არსებული დაზიანებები დატანილია გრაფიკულ სქემებზე, რომელიც დოკუმენტს დანართის სახით ახლავს.

¹⁹

(http://www.icomos.org/publications/monuments_and_sites/15/pdf/Monuments_and_Sites_15_ISCS_Glossary_Stone.pdf).

6.2.1 დაზიანებების იდენტიფიცირება და ფოტო დოკუმენტაცია

ბზარი



51. ზედაპირული

სტრუქტურულ-კონსტრუქციული

მცირე ზომის ბზარები > 1მმ ზომის

ბზარი რომელიც სრულად კვეთს ქვის წყობას



52. ჭარბი წნევის განვითარების შედეგად წარმოქმნილი ქვის სიგრძივი ბზარი

ნაპობი ბზარი

განცალკეება



53. ატკეზვა

შენიშვნა: ატკეზას ზოგჯერ წინ უძღვის ზედაპირის ვარსკვლავისებური ფორმით დაბზარვა (დასკდომა). დაზიანების ეს ფორმა გამოწვეულია ქვაში ბუნებრივად არსებული შემადგენელი მინერალების (თიხები, რკინის შემცველი მინერალები და ა.შ.) მოცულობითი გაფართოვებით. ატკეზა შეიძლება გამოიწვიოს ლითონის სამაგრების კოროზიამ.²⁰



54. ატკეზა - ამოტეხვა

შიდა წნევით გამოწვეული ქვის ზედაპირის არასწორი კრატერის ფორმის ლოკალური დანაკარგები



55. გაფხვიერება – დეზინტეგრაცია

ცალკეულ მარცვლებათ ან მარცვალთა აგრეგატებად ჩამოშლა ძირითადად ვხვდებით ფქვილისებრ გაფხვიერებას.

²⁰ სხვა შენიშვნები: ქვის დაზიანების ილუსტრირებული ლექსიკონი (ქართული ვერსია) - საერთაშორისო იკომოსის ქვის სამეცნიერო კომიტეტი



56. კირქვის თხელი ფენების აფცქვნა

ზედაპირული ფენების ნაწილობრივი განცალკევება რომელთა ზომა არ აღემატება 1-2 მმ

ფრაგმენტაცია



57. ქვის კიდეების ჩამოტეხვა

ქვის ბლოკების გვერდებიდან და კუთხეებიდან მცირე ზომის ნატეხების ჩამოშლა, მზგავსი ტიპის დაზიანებას უმეტესად ვხვდებით შემობის კარნიზზე.



58. ქვის წყობის ნაკერების შემაჯსებლი - დუღაბის გამოფიტვა



59. ალვეოლიზაცია

ალვეოლიზაცია- ქვის ზედაპირზე მცირე ზომის ღრმულების (ალვეოლების) წარმოქმნა, რომელთაც განსხვავებული ფორმა და ზომა აქვთ.

ეროზია - თავდაპირველი (ორიგინალი) ზედაპირის დაკარგვა - ამოჭმა, ამოგლეჯვა, რომელიც ფორმას უცვლის ზედაპირს.



60. ეროზია

მექანიკური ზეწოლის შედეგად წარმოქმნილი დაზიანება.



61. დაკარგული ნაწილები



62. შავი ქერქი

ეგზოგენური დანალექი და ქვის ზედაპირული ნაწილის კომბინაციის შედეგად წარმოქმნილი მოშავო მოლურჯო ფერის ქერქი. სასახლის შემთხვევაში შავი ქერქის წარმოქმნის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ბიოლოგიური აგენტების არსებობა.



63. მასალის ფერის სახეცვლილება გამოწვეული ბინებრივი ან ხელოვნური დაბეჭდვებით



64. ნაღები-დებოზიტი

ცვალებადი სისქის ეგზოგენური დანაგროვი



65. ფერის დეფორმაცია - ცვლილება

ინკრუსტაცია - მკვრივი
კომპაქტური მინარაღური ფენა,
რომელიც ქვის ზედაპირზეა
მიმაგრებული



66. ინკრუსტაცია

ბიოლოგიური კოლონიზაცია



67. ლიქენები



68. ხავსი და ბალახები



69. ციანობაქტერიები

აღნიშნული დაზიანება ძირითადად გვხვდება ფასადის ზედა ნაწილში, და ქვის ქსოვილში დაახლოებით 2 -2.5 სამტიმეტრ სიღრმეშია განვითარებული.

გვიანი დანამატები, ძველი სარესტავრაციო ჩარევა – შეკეთება

აღნიშნული შევსებებს ვხვდებით იმ მონაკვეთებში სადაც სავარაუდოდ რკინის დაჯანგული სამაგრეს არსებობის შედეგად მოხდა ქვის ნაწილობრივი ატკეჩვა და დაკარგვა.



70. დანაკარგების შევსება



ცემენტით შეღესილ აგურის ფასადებზე ადვილი შესამჩნევია აღმავალი ნესტის კვალი, რომელიც ერთი და იგივე სიმაღლეზე მთელს პერიმეტრზე გასდევს აღმოსავლეთ ფასადს. რის შედეგადაც გარკვეულ მონაკვეთებში გამეფებული და დაკარგულია დუღაბის მაკავშირებელი, რაც ხსნარის გაფხვიერება- დაშლით გამოიხატება. დუღაბი მექანიკური შეხების შედეგად ადვილად იშლება.

რაც ყველაზე მეტად შეიმჩნევა, ხსნარით დაფარული აგურისა და დუღაბის მაღალი ტენიანობაა. აღმავალი ნესტის კვალს ვხვდებით ქვის ფასადებზეც.

6.3 სამშენებლო მასალის ლაბორატორიული შესწავლა

სამშენებლო მასალის შემადგენლობის და ტიპოლოგიის განსასაზღვრად, ასევე მისი თვისებების და მდგომარეობის შესასწავლად

ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები, რაც გულისხმობდა ქვის, დუღაბისა და ბათქაშის მინერალურ პეტროგრაფიულ ანალიზებს.

მასლის მომზადება საანალიზოდ



ნიმუში №1 N1ZDPE ცემენტის შეღვსილობა
ნიმუშის აღების ადგილი: აღმოსავლეთი ფასადი.
ნიმუშის აღების მიზანი: მასალის შემადგენლობის დადგენა.



ნიმუში №2 /387 გაფხვიერებული სამშენებლო ქვა
ნიმუშის აღების ადგილი: სამხრეთი ფასადი.
ნიმუშის აღების მიზანი: მასალის შემადგენლობის დადგენა.




ნიმუში №3 №388 - სინჯი N3. z. დადიანი. ZDS 3
სამშენებლო ქვა
ნიმუშის აღების ადგილი: ცენტრალური შესასვლელის
სამხრეთი ბურჯი.
ნიმუშის აღების მიზანი: მასალის შემადგენლობის დადგენა.



ნიმუში №4 №389 - ZDP დუღაბი
ნიმუშის აღების ადგილი: ცენტრალური შესასვლელის
სამხრეთი ბურჯი.
ნიმუშის აღების მიზანი: მასალის შემადგენლობის დადგენა.



ნიმუში №5/390 - სინჯი N5. ZDP 5. აგურის წყობის
დუღაბი
ნიმუშის აღების ადგილი: აღმოსავლეთი ფასადი.
ნიმუშის აღების მიზანი: მასალის შემადგენლობის დადგენა.





71. ნიმუშების ადგობის ადგილები

6.4 მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევა

ნიმუში N1ZDPE – 1. საფასადო
შელესილობა.

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს საშუალომარცვლოვან ნალესობას, სავარაუდოდ, რამანცემენტს. ბაზალური ცემენტის ძირითადი მასა კარბონატით - კალციტითაა წარმოდგენილი. შემავსებლის ფენოკრისტალებში ჭარბობს კვარცი, მინდვრის შპატები, პიროქსენები, ქარსები (გრანიტ-პეგმატიტური მასალა). ცემენტში აღინიშნება ფორები, დეზინტეგრირებული უბნები, რაც მასალის ძლიერ გამოფიტვაზე მიუთითებს.



ფრაქციის ზომა. მმ	ფრაქციის წონა. გ	%
საწყისი	20,890	100
+3	0,026	0,124
+2	0,162	0,775
+1	2,502	11,977
+0,5	5,200	24,892
+0,25	6,714	32,140
+0,1	3,017	14,442
+0,05	1,755	8,401
-0,05	1,502	7,190
ჯამი	20,878	99,941

ბინოკულარული შესწავლით დასტურდება შლიფის აღწერის შედეგები – მჭიდრა მასალაში ჭარბობს კრისტალური CaCO_3 .

შემავსებელი წარმოდგენილია გრანიტ-პეგმატიტური შემადგენლობის ქვიშით, გრანულომეტრული (საცრითი) ანალიზის მიხედვით, გრანულომეტრული ანალიზის მიხედვით, მასალა წარმოადგენს საშუალომარცვლოვან ნალესობას. შემავსებლის ფარდობა მჭიდთან ტოლია 2:1.



ნიმუში 2/387 - სინჯი 2.


ბინოკულარული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს ძლიერ გამოფიტულ-გაფქვილებულ კირქვას, რომელშიც სრულიად გაფქვილებულ მასასთან ერთად გვხვდება მუხუდოს მარცვლის ზომისა და ფორმის ფრაგმენტები:

განზავებულ მარილმუხავაში (20% HCl) მთელი მასალა იშლება ძლიერი შიშხინით, უნარჩუნოდ. გრანულომეტრული ანალიზის მიხედვით, დაუშლელი სფერული ფორმის გრანულების ფარდობა სრულიად გაფქვილებულ მასასთან ტოლია 1:1.


ფრაქციის ზომა, მმ	ფრაქციის წონა, გ	%
საწყისი	5,300	100
{ +3 +2	0,500	9,434
{ +1 +0.5 +0.25	2,207	41,642
{ +0.1 +0.05 -0.05	2,712	51,170
ჯამი	5,419	102,246

ნიმუში N3/388 სინჯი N3. ზ. დადიანი. ZDS 3

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით ნიმუშში გამოვლინდა კალციტის ოვალური და სფერული მარცვლების გულში ნაჭუჭისებრ-კონცენტრული აგებულება არ შეიმჩნევა, ცემენტი წმინდამარცვლოვან კალციტს წარმოადგენს. ნიმუშში არ არის ორგანული ნაშთები. აღწერილობიდან გამომდინარე, ქანი ფსევდოოლითურ კირქვას წარმოადგენს.



სასახლის კედლებზე დაფიქსირებული უბნები, მრგლოვან-ოვალური ფორმის გამოფიტვით, სავარაუდოდ, გაპირობებულია ქანის ოლითური აგებულებით – სფეროლითები რჩება მეტ-ნაკლებად შეუცვლელი, ჭვრილკრისტალური კალციტის ცემენტი კი, როგორც ნაკლები სიმტკიცის მქონე, განიცდის გაფქვილებას. ამ მოსაზრებას ამყარებს ნიმუშ 2/387-ზე დაკვირვებაც.




ნიმუში 4/389 - სინჯი N4. დუღაბი ZDP 4.

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით ნიმუში წარმოადგენს ჰიდრაულიკურ კირს (ჰიდრაულიკურობის დაბალი ხარისხით), გრანიტ-პეგმატიტური შემადგენლობის შემავსებლით.

ბინოკულარული შესწავლით მასალის მჭიდში აღინიშნება დაკრისტალებული კალციტი და დიდი რაოდენობით თიხა: შემავსებელი წარმოდგენილია კვარცით, მინდურის შპატებით, პიროქსენებით, ქარსებით (მუსკოვიტით), მადნეული მინერალის (მაგნეტიტის) ერთეული მარცვლებით.

გრანულომეტრული ანალიზის მიხედვით, მასალა წარმოადგენს საშუალომარცვლოვან ჰიდრაულიკურ კირს.

შემავსებლის ფარდობა მჭიდთან ტოლია 3:1. მასალა ძლიერ გამოფიტული და გაფხვიერებულია.





ფრაქციის ზომა, მმ	ფრაქციის წონა, გ	%
საწყისი	29,080	100
+5	1,242	4,271
+3	1,307	4,494
+2	2,004	6,891
+1	5,100	17,538
+0,5	5,483	18,855
+0,25	7,150	24,587
+0,1	4,350	14,959
+0,05	1,632	5,612
-0,05	0,800	2,751
ჯამი	29,068	99,928

ნიმუში №5/390 - სინჯი N5. აგურის ფასადის დუღაბი ZDP 5.

გამჭვირვალე პეტროგრაფიული შლიფის მიკროსკოპული შესწავლით მოცემული ნიმუში მსგავსია ნიმუში N4/389-ის, ანუ წარმოადგენს ჰიდრაულიკურ კირს გრანი-პეგმატიტური შემადგენლობის შემავსებლით.

გრანულომეტრული (საცრითი) ანალიზის მიხედვით, მასალა წარმოადგენს საშუალომარცვლოვან დუღაბს. შემავსებლის ფარდობა მჭიდთან ტოლია 3:1.

ფრაქციის ზომა,მმ	ფრაქციის წონა, გ	%
საწყისი	22,080	100
+7	0,204	0,924
+5	0,057	0,258
+3	0,354	0,568
+2	0,500	2,264
+1	3,488	15,797
+0,5	4,306	19,502
+0,25	7,700	34,873
+0,1	3,651	16,535
+0,05	1,200	5,434
-0,05	0,603	2,731
ჯამი	22,063	98,886



6.5 სასახლის სამშენებლო მასალის დამაზიანებელი ფაქტორები

ბეგლზე ჩატარებული ვიზუალური დაკვირვების და ლაბორატორიული კვლევების შედეგების გაანალიზებით ირკვევა, რომ რთული გარემოპირობები და მოუწესრიგებელი კომუნიკაცია წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან დამაზიანებელ ფაქტორებს, რომლებიც განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ეკატერინეს სასახლის სამშენებლო მასალის დაზიანების პროცესში.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო, განსაკუთრებით კი სამგრელოს რეგიონი, მაღალი ფარდობითი ტენიანობით ხასიათდება. ეს ფაქტორი კიდევ უფრო აგრესიული და მძაფრი ხდება მაშინ, როდესაც შენობას, როგორც ეს ეკატერინეს სასახლის შემთხვევაშია, არ გააჩნია სადრენაჟო სისტემა და გაუმართავია სანიაღვრე ქსელი, რის გამოც შენობა და სამშენებლო მასალა განიცდის ატმოსფერული ნალექის პირდაპირ და აგრესიულ ზემოქმედებას, წვიმის წყლები აღმავალი ნესტისა და მასალის ფორიანობის მეშვეობით ადვილად ხვდება სამშენებლო მასალაში, რაც ხელს უწყობს ხსნადი მარილების მოძრაობას მის ქსოვილში და ასტიმულირებს და აჩქარებს ფსევდოოლითური კირქვის, აგურისა და ჰიდრაულიკური კირის ბუნებრივი დაბერების პროცესს და იწვევს სამშენებლო მასალის ქიმიური გამოფიტვის და მდგომარეობის გაუარესების დაჩქარებას.

გარდა აღნიშნულისა, კლიმატური პირობები და ტენით გაჯერებული მასალა ხელსაყრელ სუბსტრატს ქმნის ბიოლოგიური აგენტებისათვის, რომელთაც მრავლად ვხვდებით სასახლის ქვის ფასადების ზედა და ქვედა ნაწილებში. ფასადის ზედა ნაწილები ყველაზე მეტად განიცდის მზის და წვიმის წყლის პირდაპირ ზემოქმედებას, ხოლო ქვედა ნაწილებში ბიოლოგიური კოლონიზაციის არსებობა ზოგ შემთხვევაში აღმავალი ნესტის და ზოგ შემთხვევაში ჰაერის ნაკლები ცირკულაციის (ჰაერის განიავების და მზის სხივის მოქმედების ნაკლებობა) შედეგია.

ასევე მაღალი ტენიანობის შედეგია ქვებს შორის არსებული ხსნარის – დუღაბის გაფხვიერება-გამოფიტვა, რაც დამატებით ზეწოლას ახდენს ქვის და აგურის წყობის პირობებში და იწვევს წყობის დარღვევას და კირქვის კვადრების კიდეების ჩამოტეხვას, რაც, საბოლოო ჯამში, კონსტრუქციული პრობლემებით გამოიხატება.

მაღალ ტენიანობას უკავშირდება ასევე სასახლის კედლებზე დაფიქსირებული მრგვლოვან-ოვალური ფორმით გამოფიტული უბნების არსებობა, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია ქანის ოლითური აგებულებით – სფეროლითები რჩება მეტ-ნაკლებად შეუცვლელი, წვრილკრისტალური კალციტის ცემენტი კი განიცდის გაფქვილებას, როგორც ნაკლები სიმტკიცის მქონე. მსგავსი ტიპის დაზიანებები ძირითადად სასახლის ქვედა ნაწილებში გვხვდება.

დამაზიანებელი ფაქტორებიდან საგულისხმოა ასევე მშენებლობის დროს წყობის კონსტრუქციაში გამოყენებული მეტალის სამაგრები, რაც ძლიერი ოქსიდაციის გამო მნიშვნელოვნად აზიანებს კირქვის კვადრებს.

მაღალი ტენიანი კლიმატის პირობები და ძლიერი ტუტე გარემო, რომელიც კირქვასა და კირის დუღაბს ახასიათებს, ხელს უწყობს და აჩქარებს რკინის ოქსიდაციის პროცესს. შედეგად ვიღებთ შეუქცევად დაზიანებებს, რაც სხვადასხვა ტიპის პატინით და ქვის ნაწილების ატკენვა-ამოტეხვით გამოიხატება. დანაკარგები უმეტესად ფასადის იმ ნაწილებში გვხვდება, სადაც გამოყენებულია წმინდად დამუშავებული კირქვის კვადრები.

მანამ, სანამ აღნიშნული ფაქტორის შედეგად გამოწვეული დაზიანება ხილული გახდება, დაზიანების პროცესი რამდენიმე ეტაპს გადის:

1. უხვი ტენიანი და ტუტე გარემო იწვევს რკინის სამაგრის შეკუმშვა-გაფართოებას, ამ დროს კირქვა არის მაღალი სტრესის და ზეწოლის ქვეშ, რაც კირქვის კვადრის ქსოვილში წარმოშობს თმისებრ მიკრობზარებს.
2. მიკრობზარებში მოხვედრილი წყალი და გარემოს ტემპერატურული ცვალებადობა (გაყინვა-გაშრობის ციკლი) ბზარის გაფართოების დამატებითი პირობაა.
3. ამავდროულად მეტალის სამაგრი, რომელიც ქვის შუაგულშია, განაგრძობს ძლიერი ოქსიდაციის პროცესს.



4. აქ უკვე დაზიანება ხდება ხილული, იხსნება ბზარები და იტკინება ქვის საკმაოდ დიდი ზომის ნაწილი.



5. გარკვეული პერიოდის შემდეგ ატკეხილი ნაწილი სცილდება ქვის ძირითად ნაწილს, რის შედეგადაც ვკარგავთ კირქვის კვადრის დაახლოებით 1/3-ს.

გარდა ზემოთ აღნიშნული დამაზიანებელი ფაქტორებისა, სასახლის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების ფიზიკურ მდგომარეობას ართულებს ძალიან დაბალი ხარისხის „რამანცემენტის“ შელესილობის არსებობა აგურის ფასადების ზედაპირზე, რომელიც, როგორც ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, თავად განიცდის შლას (იხ. მინერალოგიურ პეტროგრაფიული კვლევა). ამას ემატება გაუმართავი სანიაღვრე ქსელი და სადრენაჟე სისტემის არარსებობა.



ხსნადი მარილებით გაჯერებული „რამანცემენტის“ ხსნარი და რთული გარემოპირობები, რაც ჰაერში მაღალი ფარდობითი ტენიანობით გამოიხატება, ასტიმულირებს და ხელს უწობს კირის დუღაბის დაშლას. ცემენტის



ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, ის აგურის კედლის ზედაპირზე ერთგვარი ტუმბოს ფუნქციას ასრულებს, წვრილი, თვალით უხილავი ბზარების საშუალებით უხვად ისრუტავს ტენს და მას აღარ აძლევს ზედაპირზე გამოსვლის და გაშრობის საშუალებას. შედეგად, ჰაერში არსებული ტენი აკუმულირდება აგურისა და დუღაბის ქსოვილში და იწვევს მის დაშლა-გაფხვიერებას.

6.6 დასკვნა

დადიანების სასახლეთა კომპლექსის მთავარი ნაგებობის – ეკატერინეს სასახლის სამშენებლო მასალის კვლევის, დაზიანებების იდენტიფიცირების და დამაზიანებელი ფაქტორების დადგენის შედეგად გაირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის არსებობის გამო სამშენებლო მასალაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ფსევდოლოითური კირქვის და ღულაბის გამოფიტვისა და გაუარესები პროცესები. ამ პროცესს შეიძლება გეოლოგიური დაზიანებაც ეწოდოს, რაც გულისხმობს ისეთი ტიპის დაზიანებებს, რომლებიც გამოწვეულია ქანის წარმომავლობიდან ან მისი ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლებიდან. მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის დროს ქიმიური გარდაქმნების ხარჯზე მიმდინარეობს სამშენებლო მასალის გამოფიტვა. ამ გარდაქმნების მთავარი მონაწილე აგენტებია: წყალი, ჟანგბადი, ნახშირორჟანგი და ის ორგანული მჟავები, რომლებსაც გამოყოფენ ბიოდამაზიანებლები. ნებისმიერი არასასურველი ცვლილება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების მოქმედებითაა გამოწვეული, განიხილება, როგორც ბიოლოგიური დაზიანება. მასალაზე ცოცხალი ორგანიზმების ზრდა შეიძლება ქმნიდეს არასასურველ ესთეტიკურ ეფექტს ან იწვევდეს მასალის სტრუქტურული და ფუნქციონალური მახასიათებლების ცვლილებას და ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებას.

ცოცხალი ორგანიზმებით მასალის დაზიანება ხდება ორი ძირითადი მექანიზმით:

1. მექანიკური, ანუ ფიზიკური პროცესი – მასალის ფიზიკური დაზიანება ორგანიზმების ან მისი ორგანოების (ფესვები, ტოტები, ჰიფები და ა.შ.) მიერ სუბსტრატზე განვითარებული წნევის გამო;
2. ქიმიური პროცესი – ცოცხალი ორგანიზმები მეტაბოლიზმის პროცესში გამოყოფენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს – მჟავებს, ფუძეებს, ფერმენტებს, ნახშირორჟანგს და ა.შ., რომლებიც რეაქციაში შედიან მასალის კომპონენტებთან და იწვევენ მასალის მახასიათებლების სხვადასხვა ტიპის და სიმძიმის გაუარესებას.

სწორად ეს პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს და მისი შეჩერება შეუძლებელია, თუმცა სწორი საკონსერვაციო მიდგომისა და მეთოდის შერჩევის შედეგად შესაძლებელია მისი ინტენსივობის, ხარისხის და დინამიკის შენელება.

გარდა იმ პროცესებისა, რაც ქვის ბუნებრივ დაბერების პროცესს ახასიათებს, საგულისხმოა ის დამატებითი ფაქტორები, რაც ასტიმულირებს და აჩქარებს ქანის დეტერიორაციას და თვისებრივ გაუარესებას. იქნება ეს მექანიკური დაზიანება, არასათანადო რესტავრაცია-შეკეთება თუ მშენებლობისას გამოყენებული შეუსაბამო მასლა.

იმისათვის, რომ შეჩერდეს სამშენებლო მასალაში მიმდინარე დამაზიანებელი პროცესები, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს და შემცირდეს ზემოაღნიშნული დამაზიანებელი ფაქტორების აგრესიული მოქმედება.

7. რეკომენდაციები ეკატერინეს სასახლის ქვისა და აგურის ფასადების საკონსერვაციო სამუშაოებისათვის

7.1 გასათვალისწინებელი პარამეტრები

- ნებისმიერი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევა უნდა იყოს ეფექტური და ნაკლებად ინვაზიური;
- ყველა სარესტავრაციო მასალა და მეთოდი უნდა იყოს წინასწარ გამოცდილი ძველზე, სხვადასხვა, თუნდაც მარტივი, ტესტირებების საფუძველზე;
- ყველა სარესტავრაციო მასალა უნდა იყოს სუბსტრატთან თავსებადი, არ უნდა იწვევდეს შემდგომ დაზიანებებს: არასასურველ ვიზუალურ ეფექტს, სუბსტრატის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების ცვლილებას, არ უნდა იყოს მგრძობიარე ბიოლოგიური აგენტების მიმართ.
- დაცული უნდა იყოს საკონსერვაციო მასალის ეფექტური მოქმედებისთვის მისაღები ტემპერატურაც (არანაკლებ +10 გრადუსისა და არაუმეტეს +30 გრადუსისა);
- საკონსერვაციო მასალა უნდა იყოს უსაფრთხო როგორც ძველისთვის, ასევე მომუშავე პერსონალისთვის;
- სამუშაოების მიმდინარეობისას მკაცრად უნდა იყოს დაცული დადგენილი საკონსერვაციო სამუშაოების თანმიმდევრობა.

